# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 11 მაისი 2000 №87 (1109) | ფასი 50 თეთრი





თბილისში მეორედ ხართ, უთხრა ბერნდ შუსტერს ჟურნალ „სარბიელის“ კორესპონდენტმა და 21 წლის წინანდელი ამბავი გაახსენა — ინტერვიუ ლეგენდარულ გერმანელ ფეხბურთელთან.

რონი კინმა საკუთარ კარშიც კი კაცურად დაარტყა, ამტკიცებს ჟურნალ „სარბიელის“ მიმომხილველი — ჩემპიონთა ლიგა აპრილში.

ინგლისელი ფანები ხიფათს პირველად სტამბოლში როდი გადაეყარნენ — მკვლელობის ამბები, ინგლისელთა ფათერაკების ქრონიკა და ვეფას თასი ჟურნალ „სარბიელში“.

სალონიკში ვნახე მწვანე ნეხვი და ერთი უბრალო გენიოსი, გვიამბობს ჟურნალ „სარბიელის“ რეპორტიორი — ევროლიგის ოთხთა ფინალი კალათბურთში.

კიდევ ბევრი სხვა და „სხვადასხვა“

## ჟურნალ სარბიელის

მესამე, 28-გვერდიან ნომერში, რომელსაც ორშაბათიდან შეიძენთ

**ფასი 2 ლარი**

## ვინ ჩაამთავრებინებს სეზონს დინამოს?

უკორღალიძეოდ დარჩენილი ჩემპიონები ახალ მწვრთნელს ელიან

## ბექჰემშუა ანგელოზი




როგორ მფარველობს ბექემი შვილს

# თეთრი ძაძები კამპ ნოუზე



REUTERS ბარსელონიდან

წამი წამებიდან: რივალდო (მარჯვნივ) ამაოდ დაშვრა, ფარინოსი და მისიანები კი ფინალში არიან

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ნახევარფინალი. II წრე

10 მაისი

**ბარსელონა 2:1 ვალენსია**

პირველი მატჩი 1:4

ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, ფ. დე ბური, აბელარდო (ლიტმანენი 77), ხავი, გვარდიოლა (სერხი 69), ზენდენი (სიმაო 63), კოკუ, ფიგუ, რივალდო, კლუივერტი
ვალენსია: კანისარესი, ანგლომა (ხერარდო 86), ჯუკიჩი, პელეგრინო, კარპონი, ფარინოსი (სანჩესი 90), ხერარდი, მენდიეტა, კილი გონსალესი (ალბელდა 74), ანგულო, კლაუდიო ლოპესი
გაფრთხილება: კლაუდიო ლოპესი, კარბონი, გვარდიოლა
მსაჯი: ვიქტორ მანუელ პერეირა (პორტუგალია)
მაყურებელი: 95 000

# კუპერი vs დელ ბოსკე



თეთრი ცხვირსახოცი ესპანეთში გმობას ნიშნავს „კამპ ნოუმ“ თავის გმირებს სირცხვილი აჭამა.

თეთრი მაისურა „ვალენსიას“ ემოსა ეჰტორ რაულ კუპერის გუნდმა დიდ მეტოქეს დიდი სიმწარე აგემა.

თეთრი ფერი „რეალისაა“ ვალენსიელებს 24 მაისს საკუთარ დედაქალაქთან, მის „სამეფო გუნდთან“ და ვისენტე დელ ბოსკეს პროლეტარულ უდიდებულესობასთან შეხვედრა პარიზის „სტად დე ფრანსზე“ მოუწევთ.

„ბარსელონამ“ კი ვერაფრით გააკვირვა მეტოქე და მაყურებელი. მისგან მორიგ სასწაულს ელოდნენ, მაგრამ სასწაული ყოველთვის არ ხდება, მაშინაც კი, როდესაც ეს კატალონიელებს სურთ.



# ვინ ჩაამთავრებინებს სეზონს დინამოს?



ოთარ კორღალიძე

გუშინწინ ქუთაისში, „ტორპედოსთან“ საქართველოს თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩის შემდეგ, თბილისის „დინამო“ მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა — ოთარ კორღალიძემ ქუდი დაიხურა და გუნდს დაემშვიდობა.

ჩემპიონები თბილისში უმწვრთნელოდ დაბრუნდნენ. ისინი გუშინ პირველ საათზე დილმის საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბნენ. კლუბის დირექტორატის წევრებს ფეხბურთელთათვის ახალი მწვრთნელი უნდა წარ ედგინათ, მაგრამ შეხვედრა რატომღაც დღეისთვის გადაიდო — სავარაუდოდ, დღესვე გაცხადდება, ვისი თავკაცობით ჩაამთავრებენ დინამოელები ამ სეზონს. თუ დირექტორატმა შესაფერისი კანდიდატურა ვერ მოძებნა, ჩემპიონატის დარჩენილ ოთხ თამაშში „დინამოს“ კორღალიძის თანაშემწეები — გია გეგუჩაძე, ჯემალ ჩიმაკაძე და გელა ჭანტურია უხელმძღვანელებენ.

შევიტყვეთ, რომ „დინამოს“ მწვრთნელად შესაძლოა ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი მურთაზ ხურცილავა დააბრუნონ, თუმცა მისი დანიშვნა დირექტორატის ყველა წევრს არ სურს. „დინამოდან“ სხვა არაფერი ისმის. პრეზიდენტი მერაბ რატიანი გუშინ კახეთში იმყოფებოდა და მასთან შეხმიანება ვერ მოვახერხეთ, სხვებს კი კითხვებზე კონკრეტულად არ უპასუხიათ.

ერთი სიტყვით, დღეს „დინამოს“ მწვრთნელის სავარძელი თავისუფალია. ვინ ჩაიბარებს ჩემპიონობის ძალიან მცირე შანსდარჩენილ ჩემპიონებს? ვნახოთ...

ისე, ერთიც სათქმელია: „დინამოს“ უფროსობას უთქვამს, მწვრთნელობის კანდიდატთაგან ერთი რომელიღაც გუნდს თავკაცობს, მეორე უმუშევარიაო.

„დინამოს“ ყოფილმა მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ კი გუშინ ეს გვითხრა:

— არავითარ შემთხვევაში გუნდში მიმბრუნებელი აღარ ვარ. „დინამოს“ დატოვებას ჯერ კიდევ 6 მაისს, ბათუმში თამაშის შემდეგ ვაპირებდი, მაგრამ გადავიფიქრე. ორი დღის მერე ქუთაისში უნდა ჩავსულიყავით და გუნდის მიტოვება უხერხული იყო. „ტორპედოსთან“ მატჩის მერე კი... მიზეზს, უფრო სწორად მიზეზებს, ვერ დაგიკონკრეტებთ, ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული.

**ჭობა ინასარიძე**

### ეს ჩვენი ფეხბურთია

# ვანდალიზმის ქარიშხალი

როდის და როგორ უნდა დაესვას წერტილი იმ ვანდალიზმს და უზნეობას, რაც ქართულ ფეხბურთში ხდება? თავს ნუ ვიტყუებთ. კი, ბატონო, გვაქვს ინტრიგაშერჩენილი ჩემპიონატი, გვყავს სტაბილურობის გზაზე შემდგარი (ჯერჯერობით საქმეს ასეთი პირი უჩანს) ეროვნული ნაკრები, ახალგაზრდულ ნაკრებსაც არა უშავს, 18-წლამდელებშიც გარკვეული სამუშაოები ტარდება და თითქოს იმედის ნაპერწკალიც ღვივის, მაგრამ თუ ჩვენს ფეხბურთში არსებულ სიტუაციას ჩავუღრმავდებით, მეტად სავალალო სურათს მივიღებთ.

გინება, ცემა, მტვრევა, ლეწვა ჩაშლილ-ჩაწყობილი მატჩები, გათამაშებიდან მოხსნილი გუნდები, ყოველივე ეს დღითი დღე ახლობელი ხდება ქართული ფეხბურთისთვის. სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის სხდომებიც ნელ-ნელა მძაფრსიუჟეტიანი ფილმების სცენარებზე მომუშავე ჯგუფს ემსგავსება.

ასე თუ გაგრძელდა, ეს კომიტეტი უფუნქციოდაც დარჩება, რადგან დარჩელში მომხდარ ფაქტს (ასეთები კი ბოლო დროს საგრძნობლად მოუმრავლდა ქართულ ფეხბურთს) კრიმინალის ელფერი დაჰკრავს და სხვა ინსტანციის გასარჩევია.



რა გველოდება? გურამ ჩიგოგიძე, სერგო კვარაცხელია და კახაბერ მესხი

### მოკვდი, შენი!

ვანდალური ფაქტი, რომელზეც მოგითხრობთ, რეგიონალური ლიგის დასავლეთის „ბ“ ზონის კალენდარულ მატჩში მოხდა. დარჩელის „ჩელა“ „ზუგდიდს“ მასპინძლობდა. სფფ-მ გაითვალისწინა, რომ დარჩელი ზუგდიდის რაიონს ეკუთვნის და მატჩზეც ზუგდიდელ მსაჯთა ბრიგადა მიავლინა კახა მესხის მეთაურობით.

სტუმრები ორ საუკეთესო გუნდში მოხვედრის შანსს ინარჩუნებდნენ და, ბუნებრივია, უმოტივაციოდ დარჩენილ მასპინძლებთან მატჩში ფავორიტებად ითვლებოდნენ. შეხვედრა ზუგდიდელთა გამარჯვებით (3:1) დასრულდა, მაგრამ ვაი, ასეთ დასასრულს. მატჩის ბოლოს ორასამდე მაყურებელი შევარდა მოედანზე. ისინი სამ ნაწილად დაიყვნენ და მსაჯებს შეესივნენ. სიკვდილის პირას მიიყვანეს დარჩელელებმა შავოსნები, გონდაკარგულებსაც ურტყამდნენო, იხსენებენ თვითმხილველნი. სტკ-ს თავმჯდომარე გაოგნებული კითხულობდა სასწაულებრივად გადარჩენილი მესხის მოხსენებით ბარათს. მესხის საქმე მატჩის დაწყებამდეც ცუდად ყოფილა, იქაურები დაჰპირებიან შავოსანს, თუ შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ არ დამთავრდება, აუცილებლად მოგკლავთო.

უაქტიურიათ „ჩელას“ პრეზიდენტს ედემ ხუფენიას და გუნდის უფროს ლერი აბსანძეს. მათი გინება მთელი მატჩის განმავლობაში მესმოდა, ხუფენია იმასაც დამპირდა, თუ პენალტს დანიშნავ, სტადიონზე დაგმარხავო — წერს მესხი. დასრულებულა მატჩი და მოკვდი, შენიო — ულრიალია ერთ-ერთ ვაი-ქომაგს, ეს მოწოდება საკმარისი აღმოჩენილა დანარჩენებისთვის და ჯოჯოხეთი დატრიალდა დარჩელის სტადიონზე. მოედანზე შევარდნილ ბრბოს სამად სამი წესრიგის დამცველი აღდგომია წინ. ისინიც უცემიათ. რამდენჯერმე გონება დავკარგე. ორმოცდაათამდე კაცი მირტყამდა, ხელით, ფეხით, სხვადასხვა საგნებით. ვინც ვერ მწვდებოდა, რიგს იკავებდა, ცდილობდა, გული ეჯერებინა ჩემი ცემით — ამბობს მესხი.

უკეთესი დღე არც თანამსაჯებს დადგომიათ, ნაცემ-ნაგვემნი ღვთისნიერმა ხალხმა გადაგვარჩინაო, იტყობინებიან შავოსნები. ღვთისნიერნი კი „ჩელას“ მთავარი მწვრთნელი იური ხუბუა და გუნდის ფეხბურთელები გამომდგარან. სწორედ მათი ძალისხმევით გაუღწევიათ სამშვიდობოს მსაჯებს.

### ოქმი ხომ შეივსო

მომხდარით აღშფოთებულმა სტკ-ს წევრებმა თავიდანვე გუნდის რეგიონალური ლიგიდან მოკვეთას დაუჭირეს მხარი. დარჩელი ფეხბურთის ღირსი არ არისო, თქვეს დისციპლინარებმა, საბოლოოდ ასეთ განაჩენზე შეთანხმდნენ. „ჩელას“ კალენდარული წლის ბოლომდე აუკრძალეს შინ თამაში. საჯარიმო თანხად კი 3000 ლარი დაუდგინეს. ამით სტკ-მ ორი კურდღელი დაიჭირა, თან ბოლომდე არ გაწირა გუნდი (გათამაშებიდან არ მოხსნა), თანაც დარჩელი უფეხბურთოდ დატოვა. ერთიცაა, „ჩელა“ ამ გადაწყვეტილებით ალბათ სხვის ჩაურევლადაც დაიშლება, რადგან 3000 ლარი არც ისე ადვილი გადასახდელია.

მოკლედ, ამაზრზენი ფაქტი მოხდა. საბედნიეროდ, ყველაფერი უმსხვერპლოდ დასრულდა, მაგრამ კოკა ხომ ყოველთვის ვერ მოიტანს წყალს. არადა, შესაძლებელი იყო, დარჩელის მატჩი მთელი ცხოვრების მწარე მოგონებად არ გაჰყოლოდათ მსაჯებს. ვაი-ქომაგთა უმსგავსოებას არც „ჩელა“ შეეწირებოდა, მატჩის ინსპექტორი მურთაზ მირცხულავა მოწოდების სიმაღლეზე რომ ყოფილიყო.

ათზე ნაკლები სამართალდამცავი არ უნდა ესწრებოდეს ჩვენი ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებს, ამას ჩვენი ბედოვლათი დებულება ითვალისწინებს. მირცხულავამ კი შეხვედრის ჩატარება სამი პოლიციელითაც შესაძლებლად მიიჩნია და სავალალო შედეგიც მიიღო. სამაგიეროდ, მანამდე პატივცემულმა ინსპექტორმა პირნათლად მოიხადა ვალი — ოქმი შეავსო. მორჩა, გეგმა შესრულდა... არადა, მას თავისუფლად შეეძლო, შეხვედრა არ ჩაეტარებინა, მეტიც, ვალდებულიც იყო ეს გაკეთებინა. სამწუხაროდ, ინსპექტორის შეცდომაზე არავინ არაფერი თქვა.

### იქ ისევ ქვის ხანაა

ასპინძა. 5 მაისი. „ვარძია“ — „იბერია“. რეგიონალური ლიგის კიდევ ერთი კალენდარული მატჩი, რომელიც ექსცესით დამთავრდა. შეხვედრა დასრულდა, არბიტრი ვახტანგ ჩოჩიშვილი კი მოედანს ვერ ტოვებს. ასამდე გაგულისებული მაყურებელი მსაჯ-ფედერაციის გინებაშია და დამცავ ლობეს ანგრევს. ჩოჩიშვილი როგორღაც გასახდელის კარს უახლოვდება, მაგრამ შესვლას ამაოდ ცდილობს. მომხვდური მის ცემას ასწრებს. პოლიციელთა დახმარებით მსაჯმა როგორღაც შეაღწია გასახდელში.

ვინ გალახა მსაჯი? — ეკითხება გასახდელის კარებთან მდგარ პოლიციელს ვიღაც. სირცხვილია, ეს როგორ შეიძლება, ვნახავ ერთი, როგორ არის — ამბობს უცნობი და პოლიციელიც კარს უღებს მოსულს. ჩოჩიშვილმა იფიქრა, ქომაგი გამომიჩნდაო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ისევ მუშტების და წიხლების სეტყვა დაატყდა თავს.

ასპინძაში ეს პირველი შემთხვევა არ არის. მსაჯები ბევრჯერ უცემიათ. გარწმუნებთ, იქ ისევ ქვის ხანაა, ფეხბურთის არაფერი გაეგებათ, სულ იმის ცდაში არიან რაიმე გავნონ. მადლობა ღმერთს, კიდევ იოლად გადავრჩიო — თქვა გუშინ ჩოჩიშვილმა.

სტკ-მ ასპინძის სტადიონს სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაციასთან ერთად ერთწლიანი პირობითი დისკვალიფიკაციაც მიუსაჯა. გუნდის ხელმძღვანელებს 500 ლარის გაღებაც მოუწევთ.

### ფორმამ უშველა

პოლკოვნიკი ჯემალ გაბისონია გემახსოვრებათ. იგი ამას წინათ გამართული „ზუგდიდი“ — „შუქურას“ მატჩის ინსპექტორი გახლდათ და იქაური გუნდის პრეზიდენტისგან და მთავარი მწვრთნელისგან ლანძღვა-გინების მოსმენაც მოუხდა. ბუკიას (პრეზიდენტი) და თუთბერიძის (მწვრთნელი) დარი ხალხი ფეხბურთში არ უნდა იყოს, მოკვეთეთ ისინი, სთხოვდა გაბისონია სტკ-ს წინა სხდომაზე დისციპლინარებს. ეს საკითხი გუშინ განიხილა სტკ-მ, მაგრამ ფიზკულტურის აკადემიას „ზუგდიდის“ წარმომადგენლები არც ამჯერად სწვევიან. ბუკიას და თუთბერიძეს ხმაშეწყობილი გინება არც ფოთში დავიწყებიათ, მორიგი კალენდარული მატჩის დროს შეურაცხმყოფელი შეძახილებით მიწასთან გაუსწორებიათ შავოსნები. შედეგად, ეს კლუბი 1000 ლარით დააჯარიმა სტკ-მ. დისციპლინარებმა „ზუგდიდს“ შინაურ სარბიელზე თამაში სეზონის ბოლომდე (ორი მატჩით) აუკრძალეს, პრეზიდენტს და მთავარ მწვრთნელს კი სასტიკი საყვედური გამოუცხადეს უკანასკნელი გაფრთხილებით... ისე, საზრიანი ყოფილა ჯემალ გაბისონია, თადარიგში გასულ პოლკოვნიკს, ჭკუა ეხმარა და ბედის წყალობით მატჩის ინსპექტორად ისევ ზუგდიდში ჩასულს პოლიციელის მუნდირი ჩაუცვამს. იქაურებზე გაბისონიას სამხრეებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, უბატონოდ ხმას არ მცემდნენ, ყველაფერმა იდეალურად ჩაიარაო, თქვა მან.

### აქანე ქუთაისია

რამდენიმე დღის წინ ორი იმერული გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს მიხეილ მესხის თასის ფინალური ეტაპის საგზურს. ქუთაისურ „დინამოს“ გადამწყვეტ მატჩში მეტოქედ წყალტუბოს „სამგურალი“ ჰყავდა. ამ გუნდების პირველი მატჩი წყალტუბოში მასპინძელთა გამარჯვებით დასრულებულა.

იმ შეხვედრაზე წყალტუბოური გუნდის მთავარ მწვრთნელს უმსაჯია. შეთანხმება ასეთი ყოფილა, რომ საპასუხო მატჩს ქუთაისში „დინამოს“ მწვრთნელი განსჯიდა, მაგრამ გადამწყვეტი მატჩის წინ სამაისო ქალაქში ჩასულ „სამგურალის“ მწვრთნელს პირი უტეხია, პრინციპული შეხვედრაა და ნეიტრალური მსაჯები მოვიწვიოთო. აქანე ქუთაისია, სიტყვა სიტყვააო, უთქვამთ მასპინძლებს და გუნდები მოედანზე „დინამოს“ მწვრთნელს გაუყვანია. მაგრამ მატჩს დასრულება არ ეწერა. 39-ე წუთზე ფეხბურთელებს შორის ჩხუბი ამტყდარა, შეხლა-შემოხლას და საქმის გარჩევას სტადიონის გარეთაც გადაუნაცვლებია და წყალტუბოელი ფეხბურთელები გაქცეულან, მატჩიც ჩაიშალა.

ლევან ყიფიანმა, სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თავკაცმა, სტკ-ს წინადადებით მიმართა, ორივე გუნდი სამაგალითოდ დავსაჯოთ და ტურნირს ჩამოვაშოროთო. ყიფიანის წინადადებას თავმჯდომარემ, ომარ გოგიაშვილმაც დაუჭირა მხარი და „დინამო“ და „სამგურალი“ გათამაშებას ჩამოაშორეს, ამასთან მწვრთნელებს მკაცრი საყვედური გამოუცხადეს, გუნდის ფეხბურთელებს კი გათამაშების ბოლომდე სხვა კლუბებში თამაში აუკრძალეს.

### ამას სიკვდილი, იმას ჩამოხრჩობა

გუშინდელი სტკ-ს სხდომა სამ საათს გაგრძელდა. ამას თავის მიზეზიც ჰქონდა. მართალია, ამჯერად არ აფეთქებულა ბომბი აკადემიის შენობაში, მაგრამ დისციპლინართა ქვემოთ მოყვანილი, ორ კვირაში დაგროვილი დარღვევების ვერდიქტების გაცნობისას დარწმუნდებით, როგორი ბომბის წინაშე დგას ქართული ფეხბურთი.

გაგრელი თირქია მსაჯის გინებისთვის სამ მატჩს გამოტოვებს ჯარიმა 150 ლარი, ჯამში მისი გუნდი 450 ლარით დაზარალდა, რადგან თირქიას „მარგვეთთან“ მატჩში შეცვლილი ფეხბურთელი გორდაძე გამოექომაგა და მსაჯები ლანძღვა-გინებით აიკლო. გორდაძე სეზონის ბოლომდე დისკვალიფიცირებულია.

ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიეცა „მესხეთის“ ფეხბურთელს სიდამონიძეს, მან მოწინააღმდეგე გუნდის წევრი სცემა — სიდამონიძე 250 ლარითაც შეითხელებს ჯიბეს.

თავისებურად გამოხატა პროტესტი აგრარული უნივერსიტეტის ფეხბურთელმა ოსაძემ. მან მსაჯ აფციაურს სარმა დაუდო და მაყურებელი გვარიანად გაახალისა. ოსაძე ოთხი მატჩით და 200 ლარით დაჯარიმდა ისევე როგორც ზუგდიდელი ვახანია მრეტი ჩახვაძე და „რწმენას“ მუშკუდიანი 2-2 მატჩს გამოტოვებენ და 100-100 ლარს გაიღებენ.

„ივერიის“ მწვრთნელ ნოზაძეს არ დაუზარია და გამოთქმით უგინებია მსაჯთა ბრიგადისთვის, უდისციპლინო თავკაცს, დისციპლინარებმა 200-ლარიანი ჯარიმა და სასტიკი საყვედური არგუნეს.

2-2 მატჩს გამოტოვებენ ერთმანეთში წაკინკლავებული კარიაული (მერანი) და სუხიაშვილი (სამგურალი). ერაძე (თსუ), გუჩუა (დინამო) და ალანია (ხობი) კი შედარებით ადვილად გადარჩნენ, ისინი თითო მატჩს და 50-50 ლარს შეელევიან.

**პაატა ქვანტალიანი**

# სტუმრად რომის პაპთან



ვალერი ჩოლარია და მერაბ ჟორდანია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ამ დღეებში იტალიაში იმყოფებოდნენ. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ქვეყანას სფფ-ს ხელმძღვანელთა გარდა ევროპის დანარჩენი 49 ქვეყნის ფეხბურთის მამებიც სტუმრობდნენ. მასპინძელი კი იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ანტონიო მატარეზე გახლდათ.

ალბათ იკითხავთ, ექსპრეზიდენტი რა შუაშია, შუაში კი არა, თავშია. მატარეზეს მომავალშიც ფეხბურთში საქმიანობა განუზრახავს, ეგ კი არა, გულში უეფას პრეზიდენტობაც ამოუჭრია და ამ თანამდებობაზე ლენარტ იუჰანსონის შეცვლას აპირებს. ევროპის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების წარმომადგენლებთან შეხვედრაც თავისი წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისი ყოფილა.

მატარეზეს სტუმრები დიდი პატივით მიუღია, 8 მაისს კი ისინი ვატიკანსაც აწვია და რომის პაპ იოანე პავლე მეორესაც შეახვედრა.

ჟორდანიამ და ჩოლარიამ იტალიაში სულ სამი დღე დაჰყვეს, გუშინ კი წესით თბილისშიც უნდა დაბრუნებულიყვნენ.

რა და როგორ იყო იტალიაში, ამას პრეზიდენტ-გენერალური მდივნის დაბრუნების შემდეგ უფრო დაწვრილებით გაცნობებთ.

**ვანო ოქროპირიძე**

# აღმოსავლეთი დასავლეთის წინააღმდეგ

რამდენიმე თვეში საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები სერიოზული გამოცდის წინაშე დადგება. ჩვენებურებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ელით. წილისყრამ საქართველოს საკმაოდ ძლიერი მეტოქეები — ესპანეთი და ხორვატია არგუნა.

საქართველოს ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი შოთა ჭეიშვილიც სერიოზულ მუშაობას შესდგომია. მაისის დასაწყისში ჭეიშვილი დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა ფეხბურთელთა შესარჩევად. მისი მოთხოვნით, იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აჭარის 18-წლამდელთა ნაკრებები შეიქმნა. ორი მატჩიც შედგა — იმერეთი სამეგრელოს დაუპირისპირდა, გურია კი აჭარას. ამ თამაშების შემდეგ ჭეიშვილს 15 ფეხბურთელი შეურჩევია და დასავლეთის ნაკრების დაკომპლექტება განუზრახავს.

დასავლეთელები თბილისსაც ეწვევიან და 15 მაისს აღმოსავლეთის ნაკრებს გაეჯიბრებიან. მატჩი ორშაბათს, „შევარდენის" სტადიონზე გაიმართება 13 საათზე, ნაკრების ბირთვიც, ალბათ, ამ შეხვედრის შემდეგ ჩამოყალიბდება.

ასე რომ, ვისაც 18-წლამდელთა ნაკრების მაისურის მორგება სურს, ორშაბათს თავი არ უნდა დაზოგოს.

**ზვიად გაჩეჩილაძე**

# გუცაევი თავისუფალია

## ალანია საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელს დაშორდა

მოსახდენი მოხდა. გუშინ ვლადიკავკაზის „ალანიასა" და ვლადიმერ გუცაევის გზები გაიყარა. საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებების ყოფილი თავკაცი კვლავ უმუშევარი დარჩა. გუცაევისა და „ალანიას" თანამშრომლობა ძალიან ხანმოკლე გამოდგა.

გუშინ ვლადიკავკაზური კლუბის პრეზიდენტმა სერგეი ტაკოევმა თბილისელი სპეციალისტის თხოვნა დააკმაყოფილა და დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა. ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობის გამო გუნდის საწვრთნელ-მოსამზადებელ პროცესს ველარ გავუძღვები, ამიტომ გთხოვთ, კლუბის მთავარი მწვრთნელობიდან გამათავისუფლოთ — დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა გუცაევმა ტაკოევს. პრეზიდენტსაც ბევრი არ უფიქრია, მისი თხოვნა უმალ დააკმაყოფილა.

როგორც რუსული მასმედია ვარაუდობს, ვლადიმერ გუცაევს ტაკოევისთვის ზემოაღნიშნული წერილი რომ არ გაეგზავნა, „ალანიაში" მაინც აღარავინ გააჩერებდა, ეგ კი არა, თურმე პრეზიდენტს იგი უკვე გაშვებულიც ჰყოლია გუნდიდან, მხოლოდ მის ჩასვლას ელოდა.

მართლაც ცუდად წაუვიდა გუცაევს „ალანიაში" საქმე. საქართველოს ნაკრებიდან წასული მწვრთნელი ერთხანს უმუშევარი იყო, ამ ზამთარს კი სამსახურიც იშოვა — „ალანიის" ხელმძღვანელობამ მოსკოვის „დინამოში" წასული ვალერი გაზაევის ნაცვლად მიიწვია. გუცაევიც უყოყმანოდ დათანხმდა წინადადებას. თითქოს ყველაფერი კარგად აეწყო, ვლადიკავკაზში მშვენივრად მიიღეს, გუცაევიც მუშაობას შეუდგა, თითქოს ნაყოფიერადაც, ალანიელებს სეზონის წინ უცხოური შეკრებები არ დაჰკლებიათ, გუნდშიც ნორმალური ატმოსფერო სუფევდა, თუმცა დაიწყო რუსეთის ჩემპიონატი და...

„ალანიამ" თავისი ცუდი შედეგებით სპეციალისტები გააკვირვა. გუნდი თამაშს თამაშზე აგებდა, გუცაევი კი პრესკონფერენციებზე მისვლას თავს არიდებდა და თანაშემწე ვლადიმერ პანოვს აგზავნიდა. ამის გამო რუსეთის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა 10 ათასი რუსული რუბლითაც დააჯარიმა.

პირველი ექვსი ტურის შემდეგ „ალანია" ორი ფრითა და ოთხი მარცხით ბოლოსწინა ადგილზე დამკვიდრდა. გუნდის უფროსობა მდგომარეობის გამოსწორების იმედს არ კარგავდა, თუმცა მოსკოვის „დინამოსთან" საშინაო მარცხის შემდეგ მოთმინების ფიალა აევსო და პარტნიორთა კრების ჩატარება გადაწყვიტა, რომელიც არ შედგა — მიზეზი გუცაევის ვლადიკავკაზში არყოფნა გახლდათ. მწვრთნელმა მეექვსე ტურში „დინამოსთან" წაგების შემდეგ უმალვე თბილისს მოაშურა. ეს ისე გააკეთა, არავინ არაფერი იცოდა. შეუძლოდ ვარ და უახლოეს ხანში ჩამოვალო, შეუთვალა ნაკრების ექსთავკაცმა ვლადიკავკაზელებს. „სატურნთან" გუნდი გუცაევის კიდევ ერთმა თანაშემწემ, ალექსანდრ იანოვსკიმ მოამზადა. ვლადიკავკაზელთა ლოდინი ამაო გამოდგა — გუცაევის ჩასვლას არა და არ დაადგა საშველი. ბოლოს ტაკოევმა საზოგადოებას მწვრთნელის წერილისა და თავისი გადაწყვეტილების შესახებ ამცნო — გუცაევი „ალანიას" დაშორდა. გნებავთ, პირიქით.

ყოფილი თავკაცის გზას დაადგა ვლადიმერ პანოვიც, ვლადიკავკაზიდან ისიც წამოვიდა. გუნდი კი იანოვსკის დარჩა. პრეზიდენტის თქმით, მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ჯერჯერობით სწორედ ის შეასრულებს.

აქვე შეგახსენებთ, რომ „ალანია" რუსეთის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში მესამე კლუბია, რომელმაც წლეულს მთავარი მწვრთნელის გამოცვლა მოასწრო. პირველი ორი კლუბი სანკტ პეტერბურგის „ზენიტი" და ელისტის „ურალანი" არიან.

**ვანო ოქროპირიძე**

Perla პერლა

პ ე რ ლ ა

Perla პერლა

მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი ს  მ ა ღ ა ზ ი ა



# ქართველებიც ბრუნდებიან

მაისთან ერთად ევროპული ქვეყნების ჩემპიონატთა ფინიშიც დაიწყო და მეტ-ნაკლებად უკვე ჩანს, რომელი ქართველის გუნდი იბრძვის ლიგაში დასარჩენად, რომელი — ჩემპიონობისთვის, ევროტურნირთა საგზურისთვის და ზოგიც ზედა დივიზიონში გადასასვლელად არ ზოგავს ძალ-ღონეს.

ქართველ ლეგიონერებზე თვალისმადევნებელთ რა არ უნახავთ. უნახავთ ქინქლაძის „სიტის“ (განა ერთხელ) გავარდნა, ახსოვთ ცხადაძის „აინტრახტის“, რევაზ არველაძის „მეხელენის“, ნემსაძის „რეჯინას“, ანჩაბაძის და ყიზილაშვილის „აშქელონის“ და გიორგი დარასელიას „ცაფრირიმის“ დაქვეითება. არც რუსეთში მოთამაშე ლეგიონერების გუნდთა შავი დღეები დავიწყებიათ, რომ აღარაფერი ვთქვათ პირისაგან მიწისა აღგვილ შეპეტოვკის „ტემპზე“, რომელიც უკრაინულ უმაღლეს ლიგაში ვერც 13 (ნამდვილად თარსი რიცხვია) ქართველის მონდომებამ დატოვა და ვერც გუნდის მაშინდელი მწვრთნელის, რევაზ ძოძუაშვილის ცოდნა-გამოცდილებამ.

ერთხანს ქართველი ლეგიონერი სულაც გავარდნასთან ასოცირდებოდა, მაგრამ ახლა სიტუაცია ბევრად შეიცვალა. ცხადია, აუტსაიდერები ახლაც გვყავს (ფეხბურთში მარტო ლიდერები არ არიან), მაგრამ გავარდნა ცოტასლა ემუქრება და, რაც მთავარია, ლიდერ გუნდში მოთამაშენიც არ არიან ხალვათად.

მაგრამ სულ სხვაა ის, რისი შემსწრენიც წლეულს გავხდით. ახსოვს ვინმეს ქართველის გუნდი გავარდნილი და მერე ისევ უძლიერესთა შორის დაბრუნებული? ასეთ ფაქტს ერთის და ისიც უმნიშვნელოს გარდა, სამართლე გითხრათ, ვერ ვიხსენებ. მეორე კი ამ უქმეებზე მოხდა.

არჩილ არველაძის „ბრედა“ „როოსენდაალთან“ 2:0 მოგებით ჰოლანდიის პირველ დივიზიონს დაუბრუნდა. გეხსომებათ, გავარდა შარშან არჩილის „ბრედა“, მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ათი გოლი გაიტანა. უერთგულა ტყუპისცალმა „ბრედას“. 20-ჯერ გაიტანა მეორე დივიზიონში და აჰა, თუ კლუბი (ქვეყანა) არ გამოიცვალა, გაისად შოთას „აიაქსსაც“ გაეჯიბრება.

არჩილის „ბრედას“ აღზევების გარდა ამ კვირაში ყურადღება ინგლისში შემდგარმა ქართულმა დერბიმაც მიიპყრო.

გიორგი ქინქლაძის „დერბიმ“ თემურ ქეცბაიას „ნიუკასლს“ უმასპინძლა და უგოლოდ გაეყარა. ქინქლაძე, რომელიც საკმაო პრობლემებს უქმნიდა ჯორდებს და ერთხელ ფინტების კასკადის მერე ხარიხასაც მოურტყა ბურთი, შესვენებისას შეცვალეს. გიოს რობ ლი ეუხეშა და თამაში ამიტომ ვერ გააგრძელა, მაგრამ მისი გასვლა სტუმრებს თამაშის გაუმჯობესებაში არ დახმარებია. ქინქლაძისგან განსხვავებით, თითქმის ბოლომდე ითამაშა თემურ ქეცბაიამ, რომელმაც თავი ძლიერი დარტყმით გამოიჩინა, „დერბის“ გერმანელ შნურს მუცელში რომ მოხვდა.

ჰეთ თრიქი გაიტანა ვეზეტელმა ლაშა ჯაკობიამ, რომლის გუნდმაც „დეინზეს“ 3:2 მოუგო. მართალია, ჯაკობიას გოლები „ვეზეტს“ მეორე დივიზიონში დასარჩენად ველარ ეხმარება. მაგრამ სამაგიეროდ თავად ლაშას დაეხმარება, მის მეპატრონე „სტანდარტს“ ამ ბიჭის ძირითად გუნდში დაბრუნება რომ აფიქრებინოს.

ევროსაგზურისთვის ბრძოლაში პოზიციები გაიუარესეს გელა შეყილაძის „ლიერსმა“ და ლევან ქებაძის „ირაკლისმა“. სალონიკურმა კლუბმა ზედიზედ მეორედ წააგო 0:3.

მოიგო, მაგრამ გული მაინც ვერ დაიმშვიდა ჯამარაულის და ყაველაშვილის „ციურიხმა“, რომელსაც 12-გუნდიან ლიგაში დასარჩენად „ბელინცონას“ გადასწრება მართებს.

რუსეთში ტრავმას იშუშებს ზაზა ჯანაშია, კვლავ წარუმატებლად თამაშობენ გვარამაძე და ფოფხაძე. „ალანიას“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან წასვლით კი ვლადიკავკაზელი ქართველები დაობლა ვლადიმერ გუცაევმა.

უკრაინაში კახა კალაძემ კოჭი დაიშავა, გიორგი დემეტრაძემ კი რებროვს საგოლე პასი მიაწოდა. გატანა შოთა ჩომახიძემ შეძლო. მისმა საჯარიმო დარტყმამ ტერნოპოლის „ნივას“ უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი შეუნარჩუნა.

0:8 წააგო ბულგარულმა პეტრიჩის „ბელასიცამ“ რომელმაც როგორც იქნა წინა ტურში ათამაშა ყოფილი სტუდენტი კობა ნინუა. წინა ტურში „ბელასიცამ“ 1:3 წააგო ვარნის „სპარტაკთან“ და ახლა გასავარდნთა ზონას ქულაღა აშორებს.

რაკი ტრავმამოშუშებულ ნინუას პეტრიჩელები იშვიათად ათამაშებენ, კობა ერთხანს სამშობლოში დაბრუნებასაც ფიქრობდა. მაგრამ ვარნელებთან ნათამაშევი 90 წუთი მას ალბათ თავდაპირველ განზრახვაზე ხელს აალებინებს.

ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებენ მოლდოვაში ქართველთა გუნდები „შერიფი“ და „ზიმბრუ“. ორივემ გუშინ ითამაშა და ისვე როგორც წინა ტურში ორივემ მოიგო.

გუშინ საგოლე პასი გააკეთა, წინა მატჩში კი მეცხრე მოლდოვური გოლი გაიტანა დავით მუჯირმა.

გუშინვე ტრავმის გამიზეზებას მოერიდა ვაჟა თარხნიშვილი, რომელიც პირველი ტაიმის მერე დაასვენეს.

„შერიფს“ წინა ტურში დაუბრუნდა მძიმე ტრავმაგადატანილი გიორგი რევაზიშვილი, რომელიც გუშინ სათადარიგო იყო.

**ვახტანგ ბზიკაძე**



EMPICS ნიუკასლიდან

„დერბის“ ამადეო კარბონარი და ნიუკასლელი თემურ ქეცბაია

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ნიუკასლი | ს | დერბი 0:0 | 84 | შეცვალეს | 19 | 1 | 12 |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | ნიუკასლი 0:0 | 45 | შეცვალეს, ტრავმა | 17 | 1 | 16 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | არსენალი 1:2 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 5 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | შ | მაასტრიხტი 1:0 | 45 | შეცვალეს | 14 | 5 | 5 |
| მეორე დივიზიონი | | | | | | | | |
| არჩილ არველაძე | ბრედა | შ | როოსენდაალი 2:0 | 76 | შეცვალეს | 26 | 20 | 1 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | სენტ ტრუიდენი 1:2 | 90 | | 18 | 0 | 7 |
| მეორე დივიზიონი | | | | | | | | |
| ლაშა ჯაკობია | ვეზეტი | ს | დეინზე 3:2 | 90 | 3 გოლი | 17 | 15 | 17 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | ბადენი 1:0 | 90 | | 28 | 6 | 13 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | ბადენი 1:0 | 87 | შეცვალეს | 17 | 3 | 13 |
| **საბერძნეთი** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოდერძი ნატროშვილი | პანაჰაიკი | ს | ეთნიკოსი 2:2 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 16 | 1 | 11 |
| ლევან ქებაძე | ირაკლისი | ს | ქსანტი 0:3 | 21 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 1 | 8 |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | ლიეპაია 3:1 | 77 | 1 გოლი | 5 | 2 | 1 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | ლიეპაია 3:1 | 90 | | 5 | 0 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | ლიეპაია 3:1 | 0 | ტრავმა | 4 | 2 | 1 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | ლიეპაია 3:1 | 23 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 1 |
| ვალერი გაგუა | პოლიციასი | ს | ვალმეირა 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 5 | 0 | 6 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ს | ნ.ნოვგოროდი 1:0 | 0 | ტრავმა | 2 | 1 | 2 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | ს | სატურნი 0:2 | 58 | შეცვალეს | 7 | 2 | 15 |
| ლევან სილაგაძე | ალანია | ს | სატურნი 0:2 | 0 | | 6 | 0 | 15 |
| მამუკა წერეთელი | ალანია | ს | სატურნი 0:2 | 90 | | 3 | 0 | 15 |
| მიხეილ ფოცხვერია | ალანია | ს | სატურნი 0:2 | 0 | სათადარიგო | 5 | 0 | 15 |
| დავით გვარამაძე | კრილია | ს | ანჟი 0:1 | 90 | | 2 | -2 | 12 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრილია | ს | ანჟი 0:1 | 90 | | 2 | 0 | 12 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | ჩერნომორეცი 2:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 8 |
| ბადრი სპანდერაშვილი | ჩერნომორეცი | ს | როსტსელმაში 1:2 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 5 |
| ალეკო გოგობერიშვილი | ანჟი | შ | კრილია 1:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 4 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| მიხეილ ჯიშკარიანი | სოკოლი | ს | ამკარი 1:0 | 0 | ტრავმა | 3 | 0 | 2 |
| ზვიად ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | შ | არსენალი 0:2 | 90 | | 5 | 0 | 20 |
| გიზო ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | შ | არსენალი 0:2 | 70 | შეცვალეს | 6 | 0 | 20 |
| ბახვა ამბიძე | ვოლგარი | ს | გაზოვიკი 1:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 2 | 0 | 17 |
| გოჩა გოგრიჭიანი | ჟემჩუჟინა | შ | ლ.ჩიტა 3:2 | 83 | შეცვალეს | 5 | 2 | 13 |
| **უკრაინა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კახა კალაძე | დინამო | ს | მ.დონეცკი 4:0 | 24 | შეცვალეს, ტრავმა | 20 | 1 | 1 |
| გიორგი დემეტრაძე | დინამო | ს | მ.დონეცკი 4:0 | 25 | შეცვლაზე ითამაშა, საგოლე პასი | 8 | 4 | 1 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | კრივბასი | ს | ცსკა 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 5 | 5 | 2 |
| ვიტალი დარასელია | ცსკა | შ | კრივბასი 1:2 | 0 | სათადარიგო | ? | 0 | 10 |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | შ | ვორსკლა 1:1 | 90 | | ? | 8 | 15 |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | შ | ვორსკლა 1:1 | 90 | | ? | 2 | 15 |
| კახა დგებუაძე | ნივა | შ | ვორსკლა 1:1 | 53 | შეცვალეს | ? | 1 | 15 |
| ავთანდილ გვიანიძე | ნივა | შ | ვორსკლა 1:1 | 90 | | ? | 0 | 15 |
| ავთანდილ სიხარულიძე | ნივა | შ | ვორსკლა 1:1 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | ? | 3 | 15 |
| შოთა ჩომახიძე | ნივა | შ | ვორსკლა 1:1 | 37 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 5 | 1 | 15 |
| **პოლონეთი** | | | | | | | | |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | ს | გურნიკი 2:1 | 18 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 7 | 0 | 2 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი დარასელია | ჰ.ქფარ სავა | ს | ჰ.თელ ავივი 0:1 | 90 | | 33 | 7 | 12 |
| გიორგი გახოკიძე | მ.ჰაიფა | შ | ი.აშდოდი 0:0 | 90 | | 28 | 2 | 3 |
| **მოლდოვა** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| ლევან გვაზავა | ზიმბრუ | შ | აგრო 3:0 | 27 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 0 | 2 |
| | ზიმბრუ | ს | ნისტრუ 1:0 | ? | | 7 | 0 | 2 |
| დავით მუჯირი | შერიფი | შ | მოლდ გაზი 3:1 | 90 | 1 გოლი | ? | 7 | 1 |
| | შერიფი | შ | ენერგეტიკი 8:0 | 90 | საგოლე პასი | ? | 7 | 1 |
| გიორგი რევაზიშვილი | შერიფი | შ | მოლდ გაზი 3:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | ? | 0 | 1 |
| | შერიფი | შ | ენერგეტიკი 8:0 | 0 | სათადარიგო | ? | 7 | 1 |
| ვაჟა თარხნიშვილი | შერიფი | შ | მოლდ გაზი 3:1 | 90 | | ? | 0 | 1 |
| | შერიფი | შ | ენერგეტიკი 8:0 | 45 | შეცვალეს, ტრავმა | ? | 7 | 1 |
| თამაზ პერტია | შერიფი | შ | მოლდ გაზი 3:1 | 0 | ტრავმა | ? | 0 | 1 |
| | შერიფი | შ | ენერგეტიკი 8:0 | 0 | ტრავმა | ? | 7 | 1 |
| **ბულგარეთი** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| კობა ნინუა | ბელასიცა | ს | ლოვეჩი 0:8 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 11 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ძალიან გრძელი შარვალი, წყალში ჩაყრილი შრომა და ქარს გატანებული მილიარდები

„ᲗᲣ ამქვეყნად პატიოსანი ადამიანები არსებობენ ერთ-ერთი მათგანი ჩემი შვილია. ყველაფერში დამნაშავენი კი ჟურნალისტები არიან. ასეთი საშინელი გარემო სწორედ მათ შექმნეს. იმ ღამით, თამაშის შემდეგ, თვალს რული არ მომკარებია. ან კი რა დამაძინებდა, როდესაც სიკვდილით გვემუქრებოდნენ“ — ეს სიტყვები სინიორა დე სანტისს აღმოხდა. მისმა ვაჟმა, გასულ კვირას, ტურინის „სტადიო დელე ალპიზე“ „იუვენტუსის“ კარში პარმელი ფაბიო კანავაროს თავური გოლი არ ჩათვალა.

გოლი უნდა ჩათვლილიყო, ეს ფაქტია. მარსიო ამოროზომ კუთხური ჩააწოდა, კანავარო კი ყველაზე ზევით ახტა და ბურთი იტალიის ჩემპიონატის ლიდერის კარში შეაგდო. ყველაფერი წესების სურლი დაცვით მოხდა, რაც უამრავჯერ გადახვეულმა ვიდეოფირმაც დაადასტურა. მაგრამ დე სანტისს შეეშალა ისევე როგორც შემდეგ, როდესაც მსაჯთა ასოციაციის კოდექსი დაარღვია და სააგენტო ANS-ს განუმარტა, რატომ გადაწყვიტა ასე. მან თქვა, რომ კუთხურის ჩაწოდების დროს „იუვენტუსის“ საჯარიმოში პარმელი ფორვარდები პოზიციის მოპოვებას ხელის კვრით ცდილობდნენ.

„დე სანტისის გადაწყვეტილებამ იტალიის ჩემპიონატის ღირსება შებღალა“ —თქვა „ლაციოს“ მეკარემ ლუკა მარკეჯანიმ — „ტიტულის ასე დაკარგვა გამაღიზიანებელია. დღეს უკვე ყველაფერი ნათელია, ჩვენ იმედი გადაწურული გვაქვს. ბოლო ტურში ჩვენი და „იუვენტუსის“ მეტოქეები უსტიმულო გუნდები, „რეჯინა“ და „პერუჯა“ არიან. მოკლედ, მთელი ეს ისტორია სიმწარეს ტოვებს. სულაც არ ვგრძნობ თავს მორალურ ჩემპიონად, მხოლოდ და მხოლოდ გაბრაზებული ვარ“.

დიახ, მართალია გოლი „პარმას“ არ ჩაუთვალეს, მაგრამ ამით „ლაციო“ დაზარალდა. რომ ჩათვლილიყო დღეს ტურინელები და რომაელები ქულათა თანაბარი რაოდენობით დაელოდებოდნენ ბოლო ტურს, სადაც თუ მარკეჯანის პროგნოზს გავიზიარებთ ორივე მოიგებს და მაშინ, სკუდეტოს ბედი დამატებით შეხვედრაში, ეგრეთწოდებულ პლეი-ოფში გადაწყდებოდა.

„იუვენტუსის“ მწვრთნელს, კარლო ანჩელოტის ამტყდარმა დავამ სხვა რამეზე დაწყვიტა გული: „გამოდის, რომ ჩემი და მოთამაშეების მთელი წლის ჯაფა არაფერი ყოფილა და მისი წყალში გადაყრა ერთი ინციდენტით გამოწვეულ ხმაურს შესძლებია. რა ხდება, „იუვენტუსისთვის“ უხეშად ხელის წამოკვრა მოდად დამკვიდრდა?“

ანჩელოტის გულისტკივილი გასაგებია, მაგრამ ასევე გასაგებია „ლაციოს“ პრეზიდენტის, სერჯო კრანიოტის წყრომაც: „წარმოუდგენელია, მილიარდობით ლირას ვხარჯავ საჩემპიონო გუნდი რომ შევქმნა და ბოლოს სულელურ დღეში ვვარდები. აგერ უკვე მეორე სეზონია იტალიის ჩემპიონატის დასკვნითი ნაწილი ერთი ლოზუნგით მიმდინარეობს: ყველაფერი „ლაციოს“ წინააღმდეგ“.

ამაზე „იუვენტუსის“ გენერალურმა მენეჯერმა, ლუჩანო მოგიმ არ დაიზარა პასუხი: „სერჯო კრანიოტის დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ნუ დაივიწყებს, რომ იმავე ტურში მსაჯმა „ლაციოსაც“ უძღვნა საჩუქარი, როდესაც „ბოლონიასთან“ შეხვედრის პირველსავე წუთზე მათ კარში აშკარა პენალტი არ დანიშნა“.

ისევ ანჩელოტი: „დაგვანებეთ თავი. კანავარომ დარკო კოვაჩევიჩის წინააღმდეგ რომ იუხეშა კაციშვილს აღარ ახსოვს. დაუჩემებიათ მსაჯობის დონე დაბალიაო, მაგრამ არავინ ფიქრობს, რომ მსაჯები არანორმალურ ზეწოლას განიცდიან და მიუხედავად ამისა, კიდევ მოდიან ნიჭიერი ახალგაზრდები. საქმე ის იქნება მათ მუშაობის და განვითარების საშუალება რომ მივცეთ“.

მაგრამ აგორებულ ემოციას ვერაფერს მოუხერხებ. ერთმა რომაელმა გულშემატკივარმა სასამართლოშიც კი აღძრა სარჩელი, ხოლო „ფეხბურთში სამართლიანობის ხსნის კომიტეტის თავმჯდომარემ“ მარია კლარა რომანამ რკინის ქალამნები მოირგო და იდიომატური გამოთქმებით დაიწყო ლაპარაკი:

„ბოლო შარვლის შემოცვეთამდე ვითამაშებ. მერწმუნეთ, ძალიან, ძალიან გრძელი შარვალი მაცვია“.

რამსიგრძე შარვალი აცვია სინიორა რომანას გამოჩნდება, მაგრამ მანამდე, 16 მაისს, იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, ჯანი პეტრუჩიმ დე სანტისი დედაქალაქში, საქმის გარჩევაზე დაიბარა. გარჩევას დაესწრებიან ფეხბურთის ფედერაციისა და ლიგის პრეზიდენტები, ლუჩანო ნიცოლა და ფრანკო კარაროც.



7 მაისს ფაბიო კანავარო დე სანტისის გადაწყვეტილებამ აღაშფოთა

ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲫᲔᲓᲘᲐ



ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ [illegible]

**ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲚᲘ მცველი გეორგე პოპესკუ სეზონის ბოლოს „გალათასარაის“ დატოვებს. ფეხბურთელს თურქულ კლუბთან კონტრაქტი 2001 წელს უსრულდება, თუმცა ერთი წლით ადრე არჩია გუნდის გამოცვლა. „ბარსელონასა“ და „ტოტენჰემის“ ყოფილ მოთამაშეს თავისი ახალი კლუბის ვინაობა ჯერჯერობით არ გაუმხელია. წლეულს პოპესკუს ჰეთ თრიქის შესრულების კარგი შანსი აქვს — „გალათასარაიმ“ თურქეთის თასი უკვე მოიგო, თითქმის უეჭველია, რომ ქვეყნის ჩემპიონიც გახდება. 17 მაისს კი სტამბოლელები უეფას თასის ფინალში „არსენალს“ ხვდებიან. გარდა ამისა, პოპესკუ რუმინეთის ნაკრების წევრია და ევრო 2000-ზეც ითამაშებს.**

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠ გრანდ „ინტერს“ „აიაქსის“ დანიელი ლეგიონერის იესპერ გრონკიაერის შეძენა სურს. მილანური კლუბის გარდა ფეხბურთელს „არსენალიც“ ეპატიჟება. ვითარება ჯერჯერობით გაურკვეველია. სკანდინავიური პრესის მტკიცებით, თავად გრონკიაერი ამსტერდამიდან წასვლას არ აპირებს და „აიაქსში“ დარჩენა სურს. იტალიური სააგენტოების ცნობით, „ინტერი“ სეზონის ბოლოს, შესაძლოა კრისტიან პანუჩიმ დატოვოს და „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდეს. „დაცვის მარჯვენა ფლანგზე თამაში მსურს, „იუნაიტედის“ წევრობა ჩემთვის ძალიან საამაყოა“ — ამბობს თავად პანუჩი.

**ᲤᲠᲐᲜᲒᲛᲐ ნახევარმცველმა ოლივიე დაკურმა უახლოეს დღეებში, შესაძლოა „ლანსი“ დატოვოს და „ლიდს იუნაიტედში“ ჩაირიცხოს. ინგლისური სააგენტოების განცხადებით, „ლიდსი“ 24 წლის ფეხბურთელში 7,5 მილიონ გირვანქას იხდის. „პრემიერლიგაში თამაშის მსურს, „ლიდსი“ ჩინებული გუნდია, მის რიგებში ყოფნა დიდი პატივია“ — ამბობს ფრანგი ნახევარმცველი. „ლიდსის“ თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილი კი ამბობს: „დაკურით მართლაც დავინტერესდით, მასთან ოფიციალურ კონტრაქტს, ალბათ, მომავალ კვირაში გავაფორმებთ. მჯერა, მომავალ სეზონში ფრანგი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახდება“.**

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ჩემპიონ „გლაზგო რეინჯერსის“ გერმანელი ლეგიონერი იორგ ალბერტცი სეზონის ბოლოს სავარაუდოდ „მიუნხენ 1860“-ში გადავა. „ალბერტცი ერთობ ძლიერი ფეხბურთელია, თუ გაისად ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება მოვიპოვეთ, მისი გამოცდილება ნამდვილად წაგვადგება“ — განაცხადა მიუნხენელთა თავკაცმა ვერნერ ლორანტმა და დასძინა — იორგს ცოტა ხნის წინ ტელეფონით ვესაუბრე, ჩვენთან გადმოსვლა შევთავაზე, მან ჯერ ყველაფერი „რეინჯერსის“ ხელმძღვანელობასთან უნდა შეათანხმოს“.

**ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲛᲐ ფორვარდმა ილია არაჩიჩმა ბილეფელდის „არმინიას“ მიაშურა. ფეხბურთელი 1999 წლის იანვრის შემდეგ „ჰერტაში“ ირიცხებოდა, თუმცა კლუბს ვერ მოერგო და ბერლინიდან წასვლა გადაწყვიტა. გერმანული სააგენტოების ცნობით, „არმინიამ“ „ჰერტას“ 700 ათასი გირვანქა გადაუხადა. ოფიციალურ კონტრაქტს უახლოეს დღეებში გააფორმებენ.**

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚᲘ თავდამსხმელი არიელ ორტეგა იმუქრება, რომ „პარმას“ დატოვებს. ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება და გუნდზე გული აიცრუა. „თუ ვითარება არ შეიცვლება, „პარმადან“ წავალ — განაცხადა ორტეგამ — სულერთია, სად გადავალ, ოღონდ ვითამაშო. კლუბის ხელმძღვანელებს ვერაფერი გავუგე, თუ არ ვჭირდებოდი, რატომ მიყიდეს? სრული დატვირთვით ვვარჯიშობ, მაგრამ ეს არ კმარა. თამაში მსურს“. შეგახსენებთ, რომ არგენტინელი „სამპდორიადან“ „პარმაში“ სეზონის დასაწყისში გადაბარგდა.

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ „ჰანზას“ ეგვიპტელი ნახევარმცველი იასერ რადვანი დაშავდა და დაახლოებით 6 თვეს ვერ ითამაშებს. როსტოკული კლუბის ექიმების ცნობით, 28 წლის ფეხბურთელმა ერთ-ერთი ვარჯიშის დროს მუხლის მყესები დაიზიანა. სამკურნალოდ ოთხი თვე დასჭირდება, შემდეგ მინდორს დაუბრუნდება, თუმც თამაშის განახლებას მხოლოდ ორი თვის შემდეგ შეძლებს.**

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ პსჟ-ს ფორვარდი მიკაელ მადარი კლუბთან კონტრაქტს სავარაუდოდ არ გააგრძელებს და სხვა გუნდს მოძებნის. „პსჟ-ს ხელმძღვანელობამ ჩემთან კონტრაქის გახანგრძლივება არ ისურვა. გამიკვირდა, რადგან ცოტა ხნის წინ სრულიად საპირისპირო შეთანხმებას მივაღწიეთ“ — განაცხადა „ევერტონის“ ყოფილმა ფორვარდმა, რომელიც პარიზულ კლუბში 1998 წელს ჩაირიცხა — სეზონის დასრულებამდე მხოლოდ რამდენიმე დღე დარჩა, ამის შემდეგ, ალბათ, დავტოვებ კლუბს. თუ სად წავალ, ჯერჯერობით არ ვიცი“. მადარი ამჟამად დაშავებულია და საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩშიც, შესაძლოა ვერ ითამაშოს.

**ᲑᲔᲚᲒᲘᲔᲚᲛᲐ ნახევარმცველმა სტეფან ტანგემ მეტად რთული ტრავმა მიიღო და ბელგიის ნაკრებს ევრო 2000-ზე ვეღარ დაეხმარება. „მუსკრონის“ ექიმების ცნობით, ევროპის ჩემპიონატზე განცხადების შეტანის ბოლო ვადამდე ფეხბურთელი ვერ გამოჯანმრთელდება. „მთელი სეზონი უპრობლემოდ ჩავატარე, ახლა, როცა ევროპის ჩემპიონატი მოახლოვდა, დავშავდი. სამწუხაროა, ნამდვილად არ გამიმართლა“ — განუცხადა ფეხბურთელმა ერთ-ერთ ბელგიურ გაზეთს.**

ᲑᲔᲚᲒᲘᲣᲠᲛᲐ „სტანდარდმა“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ტომისლავ ივიჩი დააბრუნა, სპეციალისტმა თანამდებობა შარშან სექტემბერში დატოვა. მაშინ, როცა სეზონის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა და ლიეჟელებს ქვეყნის თასის ფინალური მატჩი ელით, ფეხბურთელებთან უთანხმოების გამო ჟან ტირენი გაათავისუფლეს. კლუბის ხელმძღვანელობამ შექმნილ პრობლემაზე იმსჯელა და ისევ ივიჩის მიწვევა გადაწყვიტა. იგი გუნდს ჯერჯერობით მხოლოდ დარჩენილ ორ შეხვედრაში უხელმძღვანელებს. ლიეჟელები დღეს „ჰარელბეკეს“ მასპინძლობენ, ხოლო კვირას ბელგიის თასის ფინალში „გენკს“ ხვდებიან.

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ მცველი იორგ ჰაინრიხი სეზონის ბოლოს შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს და ბერლინის „ჰერტაში“ ჩაირიცხოს. „ფიორენტინა“ ფეხბურთელის სანაცვლოდ 3,7 მილიონ გირვანქას ითხოვს, ბერლინური კლუბის პასუხი კი ჯერჯერობით უცნობია. ჰაინრიხი ფლორენციული გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა, გერმანიის ნაკრების მწვრთნელი ერიხ რიბეკი მას, ალბათ, ევრო 2000-ზეც მიიწვევს. „ცოტა ხნის წინ თავად რიბეკს ვესაუბრე — ამბობს ჰაინრიხი — გავუმხილე, რომ ევროპის ჩემპიონატზე თამაში მსურს და საამისოდ მზად ვარ. ნაკრების საბოლოო შემადგენლობის გამოცხადებამდე კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი.**

ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘᲡ თასის ფინალი: *ტეუტა* — დურეში 0:0 (პენ. 5:4)

**ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘᲡ თასის ფინალი: *ინტერი (ბრატისლავა)* — კოშიცე 1:1 (პენ. 4:2)**

ᲣᲔᲚᲡᲘᲡ თასის ფინალი: *ბანგორ სიტი* — ქუიმბრან თაუნი 1:0.

# ედმუნდოს გულის გასახეთქად

ᲠᲝᲛᲐᲠᲘᲝᲡᲐ და ედმუნდოს ერთმანეთი გულზე რომ არ ეხატებათ, მთელმა მსოფლიომ იცის. აი, სიძულვილის გაღვივების კიდევ ერთი საშუალება — ვანდერლეი ლუქსემბურგომ რომარიო ეროვნულ ნაკრებში მიიწვია. ბრაზილიელები ევროპაში მიემგზავრებიან, სადაც 23 მაისს უელსს, ხოლო 27-ში ინგლისელებს ხვდებიან. ორივე მატჩი ამხანაგურია.



რომარიო

1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გმირი რომარიო კარგა ხანს მივიწყებული იყო. ბოლო სანაკრებო მატჩი მან ორი წლის წინ აპრილში გამართა. მერე ტრავმის გამო საფრანგეთის მსოფლიოს პირველობაზეც ვერ მოხვდა. მტკივანი ფეხის მოშუშებას დიდი დრო არ დასჭირვებია, მაგრამ ფეხბურთელი ნაკრების ახალი მწვრთნელის გულის მოგებას ვერ ახერხებდა. მიზეზი? რომარიოს ქომაგები ამბობენ, ლუქსემბურგოს რომარიოსგან წყენა ჯერ კიდევ „ფლამენგოში“ მუშაობის დროიდან ახსოვდაო. ეს ამბავი კი 1995 წელს მოხდა. მაშინ ლუქსემბურგომ ვერა და ვერ შეძლო თავისი უდისციპლინო და ჭირვეული ვარსკვლავის მორჯულება. საქმე იქამდე მივიდა, რომ მათი გზები უნდა გაყრილიყო. კლუბმა რომარიოს მხარე დაიჭირა.

დღეს კი ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ამბობს: „რომარიო არასდროს დამვიწყებია. აი, ახლა დამჭირდა და დავუძახე“.

ბრაზილიელები რომარიოს ნაკრებში დაბრუნებით ფრიად კმაყოფილნი არიან.

*ლუქსემბურგომ ნაკრებში ესენი მიიწვია:*

*მეკარეები: დიდა (კორინთიანსი), კარლოს ჟერმანო (სანტოსი);*

*მცველები: ძაგო, ალდაირი, კაფუ (ყველა რომა, იტალია), ევანილსონი (დორტმუნდი, გერმანია), რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), სილვინიო (არსენალი, ინგლისი), ემერსონი (პორტუგეზა);*

*ნახევარმცველები: სეზარ სამპაიო (პალმეირასი), ფლავიო კონსეისაო (დეპორტივო, ესპანეთი), ემერსონი, ზე რობერტო (ორივე ლევერკუზენი, გერმანია), რივალდო (ბარსელონა, ესპანეთი);*

*თავდამსხმელები: მარსიო ამოროზო (პარმა, იტალია), ჯოვანი ელბერი (ბაიერნი, გერმანია), ფრანკა (სან პაულუ), რომარიო (ვასკუ და გამა)*

# როცა ერთი სამზე მეტია

## ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. II წრე

REUTERS მიუნხენიდან



ბრძოლის ეშხში შესულ პაულო სერჟიოს (მარჯვნივ) და ჟულიო სეზარს ბურთი განზე დარჩათ

**ბაიერნი**

**2:1 (0:2)**

**რეალი**

1:0 იანკერი (12), 1:1 ანელკა (32), 2:1 ელბერი (54)
ბაიერნი: კანი, ბაბელი (სალიჰამიჯიჩი 60), ანდერსონი, კუფური, ლიზარაზუ, შოლი, იერემისი (ფინკი 59), ეფენბერგი, პაულო სერჟიო, ელბერი, იანკერი (სანტა კრუზი 78)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
რეალი: კასილიასი, ელგერა, რობერტო კარლოსი, ჟულიო სეზარი, ივან კამპო, ჯერემი, რედონდო, მაკმანამანი (ბალიჩი 90), რაული, სავიო (კარემბუ 81), ანელკა (მანუელ სანჩისი 86)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: იერემისი, ელბერი, ლიზარაზუ, ჯერემი, სავიო
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)
60 000 მაყურებელი

| | | |
|---|---|---|
| 20 | კარისკენ დარტყმა | 8 |
| 12 | ასცდა | 3 |
| 21 | ჯარიმა | 14 |
| 10 | კუთხური | 5 |
| 2 | თამაშგარე | 4 |
| 28 | ბურთის ფლობა (დროში) | 24 |
| 53 | ბურთის ფლობა (%) | 47 |

**მატჩის** წინ მადრიდელთა ბანაკში უსიამოვნო შემთხვევა მოხდა — დილის ვარჯიშზე ფერნანდო მორიენტესი დაიმტვრა. ვისენტე დელ ბოსკეს სასტარტო შემადგენლობაში სასწრაფოდ ცვლილების გაკეთება მოუხდა. მორიენტესის ნაცვლად სავიო ითამაშებს — გადაწყვიტა მწვრთნელმა. აიტორ კარანკას და მიჩელ სალგადოს დისკვალიფიკაცია ჰქონდათ, ეხლა მორიენტესიც დაიმტვრა, ერთი სიტყვით, ცუდის ნიშანი იყო.

... 32-ე წუთი. საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთის დაუფლებას ნიკოლა ანელკა და სამუელ კუფური შეეცადნენ. ფრანგმა იმარჯვა და ოლივერ კანს შორეულ კუთხეში, ძელთან ახლოს ულამაზესი თავური გაუტანა. საგოლე პასი კი ანელკას მინდორზე „შემთხვევით" მყოფმა სავიომ მისცა. აი, ასეთი იღბლიანი აღმოჩნდა „რეალისთვის" მორიენტესის დაშავება.

თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძელთა შტურმით დაიწყო. ისინი უტევდნენ, მადრიდელები კი თავს იცავდნენ. ნათლად ჩანდა, რომ ესპანელები საკუთარი თამაშის პოვნას ცდილობდნენ და მოგვიანებით შეძლეს კიდეც. იქამდე კი მათ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი მეკარის მოედნის კუთხეში ჯოვანი ელბერმა თავით შუაში მყოფ კარსტენ იანკერს გადაულოცა. იანკერის აკრობატულ ნახტომში დარტყმა და 1:0. ამ დროისთვის მატჩის მხოლოდ მე-12 წუთი მიმდინარეობდა. „ბაიერნი" ფინალში გავა — „ოლიმპიაშტადიონზე" მისული მილეთის ხალხი ამაში დარწმუნებული იყო. ივან კამპომ კი მოგვიანებით განაცხადა: „იანკერის მეურვეობა ურთულესი საქმეა, მაგრამ შევძელი. იმ გოლის მერე მას ხეირიანი არაფერი გაუკეთებია".

თამაში კვლავ მიუნხენელთა შეტევებით გაგრძელდა. კიდევ თოთხმეტი წუთი და ელბერმა იკერ კასილიასს მეორე გაუტანა, მაგრამ გერმანელთა სიხარული ნაადრევი გამოდგა — დარტყმის მომენტში იანკერი თამაშგარე მდგომარეობაში იყო.

მერე დადგა 32-ე წუთი და ანელკამ თამაშის გაგრძელება უაზრობად აქცია. ეს თავად ფრანც ბეკენბაუერის სიტყვებია: „ანგარიშის გათანაბრების მერე ფინალში შესაძლო გასვლის ილუზია აღარ გვქონია".

„რეალი" გალაღდა. ერთი ასეთი მომენტიც იყო — მეტოქის ნახევარზე გადასული მადრიდელები მთელი ორი წუთი ერთმანეთში ათამაშებდნენ ბურთს, მასპინძლებს გაბრძოლებაც არ უცდიათ.

მეორე ტაიმი პირველის მსგავსად დაიწყო. ალბათ ოტმარ ჰიცფელდი თავისი პრეზიდენტის უიმედობას არ იზიარებდა და ფეხბურთელებს გოლების გატანა მოსთხოვა. მაგრამ როგორ? აღარ იყო „ბაიერნი" კიდევ სამი ბურთის გამტანი. 54-ე წუთზე ელბერის თავური უკვე ვეღარაფერს ცვლიდა.

მოგეწონათ ბავარიელთა თამაში? ალბათ, არა. მრისხანე შტეფან ეფენბერგისგან ლანდიღა დარჩენილიყო. ის თითქოს იმიტომ იყო მინდორზე, რომ ჯარიმები დაერტყა და ბურთი ცოცხალი კედლისთვის მოეხვედრებინა. მარკუს ბაბელიც აღიარებს, ბოლო 20 წუთი ძლივსღა დავლასლასებდითო. ბეკენბაუერის განცხადებით კი, ამის მიზეზი სამი დღით ადრე მთელი ენერგიის გერმანიის თასის ფინალში დახარჯვა გახდა. პრეზიდენტი ალბათ უსაყვედურებს კიდეც მწვრთნელს, ხომ ვამბობდი, „ვერდერთან" მატჩში სათადარიგოები გავიყვანოთო. გულმოკლული იყო ოლივერ კანიც: „რეალს" ოთხჯერ შევხვდით და სამჯერ მოვუგეთ. რაღა ერთადერთი მარცხი აღმოჩნდა საბედისწერო". ვისენტე დელ ბოსკე კი პარიზს მოინატრებს: „პირველი გოლი რომ გავუშვით, ძალიან გავნერვიულდი, მაგრამ მერე დავწყნარდი..."

ამ თამაშმა ორი ფეხბურთელის ბედზეც იმოქმედა. იენს იერემისმა ერთ-ერთ ორთაბრძოლაში ლავიწის ძვალი მოიტეხა და საეჭვოა, გერმანიის ნაკრებს ევრო 2000-ზე გაჰყვეს. ექიმთა თქმით, იერემისი ორი კვირით მაინც ჩამოშორდება ფეხბურთს. ნიკოლა ანელკას საქმე კი პირიქითაა. ფრანგთა ნაკრების მწვრთნელ როჟე ლემერს უთქვამს, „რეალის" „ბაიერნთან" მატჩის მერე გადავწვეტ, თუ იმსახურებს ეგ ბიჭი ბელგია-ჰოლანდიაში წაყვანასო. ალბათ, იმსახურებს...

მადრიდის „რეალი" კი ჩემპიონთა თასის ფინალში მეთერთმეტედ გავიდა.

**გიორგი დარჯანია**

# ბარემ ჟომოლუნგმაზე ავიდნენ

**ბოლივიელები** და ეკვადორელები რა დონის ფეხბურთსაც თამაშობენ, კარგად მოგეხსენებათ. მათი სტუმრად მოგებული თამაში დიდი ხანია, არ გვინახავს. მაგრამ შინ? სხვებს რომ თავი დავანებოთ, ბოლივიიდან თუ ეკვადორიდან სამი ქულის წაღება ბრაზილიასა და არგენტინასაც უჭირთ. თუნდაც მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი გავიხსენოთ — საკუთარ კედლებში ეს გუნდები დაუმარცხებლები არიან. და განა გასაკვირია? გინდა რონალდო იყავი და გინდა სულაც პელე, ადი კიტოში ზღვის დონიდან 2800 მეტრის სიმაღლეზე და იბურთავე, თუ ბიჭი ხარ. ეს ეკვადორში, ბოლივიური ლა პასი კი 3600 მეტრის სიმაღლეზეა და, როგორც ამბობენ, შეუჩვეველ კაცს ჟანგბადის ბალიშების გარეშე სირბილი კი არა, სიარულიც უჭირს. იქაურებს მატჩების დაწყების დროც ეშმაკურად დაუდგენიათ — შუადღის 12 საათი. დღის ამ მონაკვეთში მზის სიმხურვალე პიკს აღწევს და მოქალაქეები წყალში ყოფენ თავს, ამათ კიდევ ფეხბურთიო. ეჰ, რას არ გაიღებს გუნდი, ოღონდ ორიოდე ქულა დააგროვოს.

ეს ამბავი ათწლეულობით გრძელდებოდა და გუშინ ბოლო მოეღო. ფიფამ სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციას უბრძანა, ამ უკანასკნელმა კი ბოლივიის და ეკვადორის ფედერაციებს: ეშმაკობა აღარ გაგივათ, ბარში ჩამობრძანდებით და მეტოქეებსაც იქ მიიღებთო.

ფეხბურთელებმა შვებით ამოისუნთქეს, რომელი მთასვლელები ჩვენ ვიყავითო...

## ინგლისი

გადადებული მატჩი

**არსენალი 3:3 შეფილდ უენსდი**

1:0 დიქსონი (34), 1:1 სიბონი (58), 1:2 დე ბილდე (60), 1:3 ქუინი (70), 2:3 სილვინიო (78), 3:3 ანრი (79)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ლუჟნი, უინტერბერნი (სილვინიო 63), პარლოუ (ბერხკამპი 46), ვიეირა, გრიმანდი, ოვერმარსი, კანუ, ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
შეფილდ უენსდი: პრესმენი, აზერტონი, უოლკერი, ნოლანი, ჰინჩკლიფი, სონერი (დე ბილდე 56), იონკი, ჰორნი (ბრისკო 83), ჰასლამი (სიბონი 56), ბუტი, ე. ქუინი
მწვრთნელი: პიტერ შრივსი
მსაჯი: უინტერი
37 271 მაყურებელი

**პრემიერლიგის** გადადებულ შეხვედრაში „ჰაიბერიზე" „არსენალმა" და „შეფილდ უენსდიმ" ფრედ 3:3 ითამაშეს. მატჩი ლონდონელთათვის თითქმის არაფერს წყვეტდა, გუნდი მეორე ადგილზე მყარად დამკვიდრდა და უახლოესი მდევრები მას ვეღარ ეწევიან. „შეფილდი" კი გამარჯვების შემთხვევაში პრემიერლიგაში დარჩენის თეორიულ შანსს ინარჩუნებდა.

აღსანიშნავია, რომ სტუმრები 70-ე წუთისთვის 3:1 იგებდნენ, მაგრამ დარჩენილ დროში ანგარიში ვერ შეინარჩუნეს, ერთ წუთში ორი გოლი გაუშვეს და პირველი დივიზიონის საგზური ოფიციალურად გაიფორმეს.

მატჩის წინ შეფილდელთა მწვრთნელ პიტერ შრივსს შეგირდები დაუმოძღვრია, მართალია, პრემიერლიგიდან თითქმის გავვარდით, მაგრამ მაინც მოვინდომოთო, ჩვენთვის ბოლოსწინა შეხვედრაა და კლუბის პრესტიჟის აღდგენას ვეცადოთო.

„თამაში მომეწონა, მაგრამ ბოლო ათმა წუთმა გული დამწყვიტა — განაცხადა მატჩის შემდეგ შრივსმა — ვწუხვარ, პრემიერლიგას რომ ვტოვებთ, მაგრამ ველარაფერს გახდები. სხვა დროს „არსენალთან" „ჰაიბერიზე" ნათამაშევი ფრე დიდ წარმატებად ჩაითვლებოდა — ლონდონელთათვის შინ სამი გოლის გატანა ხომ ბევრ გუნდს არ ძალუძს, დღეს კი ნაკლებად გავიხარეთ. 78-ე წუთამდე 3:1 ვიგებდით, მაგრამ ერთ წუთში ზედიზედ ორი ბურთი გავუშვით და პრემიერლიგაში დარჩენის თეორიული შანსიც კი დავკარგეთ. თუმც გამოგიტყდებით, იმედი ისედაც მცირე იყო".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 37 | 27 | 7 | 3 | 96:45 | 88 |
| არსენალი | 37 | 22 | 7 | 8 | 71:39 | 73 |
| ლიდსი | 37 | 21 | 5 | 11 | 58:43 | 68 |
| ლივერპული | 37 | 19 | 10 | 8 | 51:29 | 67 |
| ჩელსი | 37 | 17 | 11 | 9 | 49:34 | 62 |
| ასტონ ვილა | 37 | 15 | 13 | 9 | 46:34 | 58 |
| სანდერლენდი | 37 | 16 | 10 | 11 | 56:53 | 58 |
| ლესტერი | 37 | 16 | 7 | 14 | 55:51 | 55 |
| ვესტ ჰემი | 37 | 15 | 9 | 13 | 52:53 | 54 |
| ევერტონი | 37 | 12 | 14 | 11 | 59:47 | 50 |
| ტოტენჰემი | 37 | 14 | 8 | 15 | 54:48 | 50 |
| ნიუკასლი | 37 | 13 | 10 | 14 | 59:52 | 49 |
| მიდლსბრო | 37 | 13 | 10 | 14 | 44:52 | 49 |
| ქოვენთრი | 37 | 12 | 8 | 17 | 47:53 | 44 |
| საუთჰემპტონი | 37 | 11 | 8 | 18 | 43:62 | 41 |
| დერბი ქაუნთი | 37 | 9 | 11 | 17 | 44:53 | 38 |
| უიმბლდონი | 37 | 7 | 12 | 18 | 46:72 | 33 |
| ბრედფორდი | 37 | 8 | 9 | 20 | 37:68 | 33 |
| უენსდი | 37 | 7 | 7 | 23 | 34:70 | 28 |
| უოტფორდი | 37 | 5 | 6 | 26 | 34:77 | 21 |



შეფილდელი ჰასლამი (მარცხნივ) ლონდონელ პარლოუს ხელს უშლის

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

## კონკაკაფი

კარიბეთის ზონა

კუბა — ბარბადოსი 1:1; ტრინიდადი და ტობაგო — ჰაიტი 3:1; ანტიგუა — სენტ ვისენტი 2:1

ცენტრალური ამერიკის ზონა

A ჯგუფი

სალვადორი — გვატემალა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალვადორი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:2 | 10 |
| გვატემალა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ბელიზი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | 0 |

*დარჩენილი მატჩი. 21 მაისი. გვატემალა — ბელიზი*

B ჯგუფი

ჰონდურასი — პანამა 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰონდურასი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:2 | 9 |
| პანამა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ნიკარაგუა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |

*დარჩენილი მატჩი. 21 მაისი. პანამა — ნიკარაგუა*

## დანია

XXVIII ტური. ჰერფიოლგე — ლიუნგბიუ 4:1; აკადემისკი — ვაილე 1:1; სილკებორგი — ვიბორგი 1:0; ესბიერგი — ბრონდბიუ 2:0; ოდენსე — ორჰუსი 4:0; კოპენჰაგენი — ოლბორგი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერფიოლგე | 28 | 14 | 5 | 9 | 43:43 | 47 |
| ბრონდბიუ | 28 | 13 | 7 | 8 | 51:32 | 46 |
| ოლბორგი | 28 | 11 | 12 | 5 | 47:28 | 45 |
| სილკებორგი | 28 | 12 | 7 | 9 | 43:29 | 43 |
| ვიბორგი | 28 | 12 | 6 | 10 | 41:41 | 42 |
| ლიუნგბიუ | 28 | 12 | 4 | 12 | 42:45 | 40 |
| აკადემისკი | 28 | 10 | 9 | 9 | 38:33 | 39 |
| კოპენჰაგენი | 28 | 11 | 5 | 12 | 38:31 | 38 |
| ოდენსე | 28 | 9 | 9 | 10 | 32:35 | 36 |
| ორჰუსი | 28 | 8 | 7 | 13 | 31:46 | 31 |
| ვაილე | 28 | 6 | 11 | 11 | 35:54 | 29 |
| ესბიერგი | 28 | 7 | 4 | 17 | 32:56 | 25 |

## ნორვეგია

VI ტური. ოდ გრენლანდი — ვიკინგი 2:3; ბოდიო გლიმტი — ბრანი 3:2; ბრინი — მოსი 2:0; როსენბორგი — ჰაუგესუნდი 4:1; სტარტი — მოლდე 2:2; ტრომსიო — ლილესტრიომი 1:1; ვოლერენგა — სტაბეკი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსენბორგი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:6 | 13 |
| მოლდე | 6 | 3 | 3 | 0 | 9:6 | 12 |
| ბრანი | 6 | 3 | 2 | 1 | 14:8 | 11 |
| ბოდიო გლიმტი | 6 | 3 | 2 | 1 | 12:12 | 11 |
| ოდ გრენლანდი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 8 |
| ვიკინგი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 8 |
| მოსი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 8 |
| სტაბეკი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:7 | 7 |
| ბრინი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:12 | 7 |
| ჰაუგესუნდი | 6 | 2 | 1 | 3 | 12:15 | 7 |
| ტრომსიო | 6 | 2 | 1 | 3 | 7:12 | 7 |
| ლილესტრიომი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:7 | 6 |
| ვოლერენგა | 6 | 1 | 3 | 2 | 9:9 | 6 |
| სტარტი | 6 | 0 | 2 | 4 | 5:14 | 2 |

## პოლონეთი

XXVI ტური. პლოცკი — რაძიონკოვი 1:3; ამიცა — სტომილი 1:1; ლეგია — პოგონი 5:1; ზაგლებე — პოლონია 2:1; გურნიკი — რუხი 1:2; ოდრა — გროცლინი 0:2; ლკს — ვისლა 0:2; ლეხი — ვიძევი 3:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონია | 26 | 17 | 5 | 4 | 44:22 | 56 |
| რუხი | 26 | 14 | 9 | 3 | 47:24 | 51 |
| ლეგია | 26 | 13 | 10 | 3 | 52:28 | 49 |
| ვისლა | 26 | 14 | 7 | 5 | 53:31 | 49 |
| ამიცა | 26 | 10 | 10 | 6 | 39:27 | 40 |
| ზაგლებე | 26 | 9 | 9 | 8 | 33:30 | 36 |
| ვიძევი | 25 | 9 | 6 | 10 | 36:40 | 33 |
| პოგონი | 26 | 8 | 9 | 9 | 39:46 | 33 |
| ოდრა | 26 | 9 | 5 | 12 | 28:31 | 32 |
| სტომილი | 26 | 7 | 11 | 8 | 27:36 | 32 |
| რაძიონკოვი | 26 | 9 | 4 | 13 | 31:43 | 31 |
| პლოცკი | 24 | 7 | 6 | 11 | 24:36 | 27 |
| გურნიკი | 26 | 6 | 8 | 12 | 31:32 | 26 |
| გროცლინი | 26 | 8 | 2 | 16 | 21:42 | 26 |
| ლკს | 26 | 5 | 7 | 14 | 21:35 | 22 |
| ლეხი | 25 | 4 | 6 | 15 | 30:51 | 18 |

# ჩელსი — ფენერბაჰჩე: ძოლაპარაკება

თურქულ გაზეთ „საბაჰ დეილის" ცნობით, სტამბოლის „ფენერბაჰჩეს" ხელმძღვანელობა „ჩელსის" იტალიელ ლეგიონერ ჯანფრანკო ძოლას შეთანხმებია და იგი ამ კლუბის ღირსებას გაისიდან დაიცავს.

ამჟამად იტალიელი ფეხბურთელი იმის ცდაშია, ოჯახი თურქეთში გადასვლაზე დაიყოლიოს. „ფენერბაჰჩე" კი მალე „ჩელსისთან" ოფიციალურ მოლაპარაკებას დაიწყებს — იუწყებიან თურქული გაზეთები. მათივე ცნობით, ძოლა ბოლო სიტყვას 20 მაისს, „ჩელსისა" და „ასტონ ვილას" თასის ფინალის მერე იტყვის. თუ მან კარიერა თურქეთში გააგრძელა, სავარაუდოდ, წელიწადში 2,5 მილიონ დოლარს მიიღებს.

თასების თასის ორგზის და უეფას თასის მფლობელი ჯანფრანკო ამჟამად 34 წლისაა. „ჩელსიში" იგი 1996 წელს „პარმადან" გადაბარგდა, ლონდონში ოჯახთან ერთად ცხოვრობს, ამას წინათ კი ქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში სახლიც იყიდა.

„ჩელსის" თავკაც ჯანლუკა ვიალის რეაქცია და სავარაუდო სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით უცნობია.

ძოლას თურქეთში გადასვლაზე სხვა საინტერესო ცნობაც გავრცელდა. მისი შეძენის სურვილი „ფენერბაჰჩეს" თანაქალაქელმა და ისტორიულმა მოქიშპე „ბეშიქთაშმაც", უფრო ზუსტად, ამ კლუბში ახლახან გადასულმა იტალიელმა მწვრთნელმა ნევიო სკალამაც გამოთქვა. ძოლა სკალას ყოფილი შეგირდია. ისინი „პარმაში" ერთად საქმიანობდნენ და დიდ წარმატებასაც მიაღწიეს. ცნობილმა სპეციალისტმა ფეხბურთელი „ნაპოლიში" შეამჩნია, „პარმაში" გადაიყვანა და ამის მერე იყო, რომ კლუბმა თასების მფლობელთა თასიც მოიგო და უეფასიც.

ნიკა შუღლაძე

# ბექჰემშუა ანგელოზი






ანგელოზი ბექჰემის ზურგზე, ბექჰემი — გუშინდელი გაზეთების პირველ გვერდზე

არა, ძმაო, ეს ჩვენი ბექჰემი ნაღდად ოჯახის კაციაო — უთქვამს მავან გულშემატკივარს. ერთ-ერთს იმ 60 ათასიდან, გასულ შაბათს „ოლდ ტრეფორდზე" მხარზე შვილშემოსკუპებულ დეიდ ბექჰემს რომ მიესალმა. მაგრამ ყველა ასე როდი ფიქრობს. „ხშირად არათილგანწყობას ვაწყდები" — შესჩივლა გასულ კვირას „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველმა ჟურნალ „ესქვაერს" — „ბევრს ალიზიანებს მდიდრული სახლები თუ ავტომობილები. რადა, ეს ხომ ჩემი ფულია. დიახ, ვხარობ ამ ცხოვრებით, მაგრამ თავში ნამდვილად არ ამვარდნია. რატომ იმას არავინ იხსენებს, მუშის ოჯახში გაზრდილს კვირაში 25 გირვანქად სიქა რომ მქონდა გაცლილი. ახლაც ასევე ვმუშაობ და ხელფასს, რაშიც მინდა, იმაში დავხარჯავ".

ჰოდა, ხარჯავს. იმავე „ესქვაერმა" გუშინწინ პირველმა გამოაქვეყნა ბექჰემის... ზურგის სურათი. თანაკლუბელი როი კინისა და ვეტერანი ფეხბურთელის იან რაიტის რეკომენდაციით დევიდმა სვირინგის ცნობილ ოსტატ ლუი მოლს მიაკითხა. ამისგან რაც გამოვიდა, ფოტოებზე ხედავთ.

სვირინგი მკრეხელობად რომ არავინ ჩათვალოს, გეტყვით: ეს არ არის ჯვარცმა. ბექჰემის თქმით, ეს ანგელოზის ტიპიური გამოსახულებაა. რატომ მაინცდამაინც ანგელოზი? „წელზე ჩემი შვილის სახელი მაქვს ამოსვირინგებული და მინდა, მას ანგელოზი ჰფარავდეს. მოკლედ, ჩათვალეთ, რომ ეს ბრუკლინის მფარველი ანგელოზია" — განგვიმარტავს ფეხბურთელი და ამატებს: „თუ ღმერთმა მე და ვიქტორიას შვილები კიდევ გვაჩუქა, მათ სახელებსაც ტანზე დავიწერ".

რა დაუჯდა ვარსკვლავს ეს სიამოვნება, უცნობია, თუმცა გაირკვა, რომ სვირინგის დიზაინზე მუშაობა იანვარში დაწყებულა.

# ჯიში და ჯილაგი



დეიდაშვილ-ბომბარდირები: ალანი და მელანი

ტიპიური ცენტრფორვარდია — ჯერ ბურთს წინ გაიგდებს, მერე მცველებს აქეთ-იქით მიმოყრის და ბოლოს გოლი გააქვს. არადა, მხოლოდ 19 წლისაა.

წლევანდელი სეზონი მართლაც გამორჩეული იყო მის კარიერაში — 19 მატჩში 24 გოლი შეაგდო, თუმცა არცერთი თავით. ამით განსხვავდება სხვა ინგლისელი ფორვარდებისგან.

მისი წყალობით „ბლის სპარტან კესტრელსი" ყველა მეტოქეს გაუსწორდა და პრემიერლიგის საგზურიც მოიპოვა. ახლა, მომავალ სეზონში, მას „ლევერპულის", „არსენალის" თუ „ევერტონის" მცველთა წინააღმდეგ თამაში მოუწევს.

ამბობს, ყველაზე ლამაზი გოლი „ვულვერჰემპტონს" გავუტანეო: „25 მეტრიდან ისეთი ვხიე, ლამის მეკარეც კარში შევარდა".

ახლა მას ამერიკული კონექტიკუტის კოლეჯის საფეხბურთო გუნდი ეპატიჟება და პროფესიულ კონტრაქტს სთავაზობს.

მის თამაშს გულმოდგინეთ ადევნებს თვალყურს ინგლისის ნაკრების კაპიტანი ალან შირერი, რომელიც ამბობს: „მართლაც გადასარევი ფეხბურთელია. იმედია, მალე ჩვენი ქვეყნის ნაკრების კაპიტანი იქნება".

შესაძლოა, ასეც მოხდეს, მაგრამ ის ვერასდროს შეცვლის ალან შირერს. იმიტომ, რომ... ქალია. დიახ, 19 წლის მელანი რიი ერთ-ერთი საუკეთესო ინგლისელი ფეხბურთელი ქალია. არც არის გასაკვირი: მას და შირერს ბავშვობაში ბურთი ერთად უგორებიათ. ის შირერის ალალი დეიდაშვილია.

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

სუფრა მეფური — თქვენ რომ გაგიხარდებათ. ყველაფერია: ჩადგმით, ჩამოტარებით, გადაზელილი, ცივი, ცოცხალი... ღვინო — კამკამა, წყურვილს ვერ მოიკლავ. თამადა — დიდებული, სიტყვა-პასუხით ცნობილი, დარბაისელი, ლამაზი ამბის მომყოლი, მომღერალი: პირველსაც ამბობს და მეორესაც. თენგიზა ხარლამპოვიჩ ჯიგარეიშვილი ჰქვია.

— აბა, სმენა იყოს და გაგონება. ჩვენ დღეს აქ სიყვარულისთვის ვართ შეკრებილი, ერთმანეთს უნდა მოვეფეროთ (ამ სიტყვებზე სუფრის ბოლოში, ოჯახის ახალგაზრდა ნათესავმა ერთით იქით მჯდომ ძოკლეკაბიანს გადახედა) და ვისიამტკბილოთ. ამიტომ ყურადღებას გთხოვთ. ერთმანეთს პატივი ვცეთ, მოვუსმინოთ და თან ვიმხიარულოთ. ამიტომაც პირველ სადღეგრძელოდ ყველაზე მთავარს, მშვიდობის ანუ 0:0-ის სადღეგრძელოს გთავაზობთ. აგერ, ახლა იყო „რეალმა" და „მანჩესტერმა" მადრიდში 0:0 რომ ითამაშეს და ყველა კმაყოფილი დატოვეს. იქ ყველაფერი იყო, ის ჯიგარი, ის ცეპკოსტი, ის პადსებია, მაგრამ იყო 0:0 და ამიტომ ჩვენს ნათესავობაში არავის არავინ მოუკლავს, არცკი დაუჭრია. ამიტომ მშვიდობას გაუმარჯოს...

ყველა ერთხმად სვამს. ხუთი წუთის მერე:

— ბატონებო, ერთი წუთით ყურადღებას გთხოვთ! ახლა, მე მინდა სილამაზის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ (სუფრის ბოლოში ოჯახის ახალგაზრდა ნათესავმა გულში ამოიოხრა და ერთხელაც გაიხედა (ცოტა იქით) სილამაზე სხვა ამბავია, სხვა გაგებაა. სილამაზე ისაა, ბექჰემი ბურთს რომ მიიღებს, დაფარავს, შევა და „რეალს" გაუჭედავს. მე ყველას პატივს ვცემ, მაგრამ არსებობს ის, რაც ყველასთვის ლამაზი უნდა იყოს. შეუძლებელია არ ალგაფრთოვანოს კოულის დარტყმამ, გიგზის გარღვევამ ან სქოულზის პენალტმა. კაცი ვერ უნდა იტანდე ულამაზოს, აი, მაგალითად როგორ აგორებს ბურთს რაული ვან დერ გოუს ცარიელ კარში. მეტყვით, რედონდოს ფინტიო, მაგრამ ერთხელ აყვავების ამბავი ხომ ყველამ ვიცით. აბა, სად იყო „ბაიერნთან" ან აქ ან იქ. არა, მე შემთხვევითი არაფერი მინდა, სილამაზეც კი. ყველაფერს ნამდვილს, ჭეშმარიტს ვადღეგრძელებ. აბა, ალავერდი ყველასთან ვარ.

ჯერჯერობით ისევ ერთხმად სვამენ. თორმეტი წუთის მერე:

— აბა, აბა, აბა... ერთხელაც გთხოვთ ყურადღებას. ჩემო შოთაევიჩ, ალავერდი თქვენთან ვარ...ბატონებო, ფეხები მინდა ვადღეგრძელო, ფეხებს გაუმარჯოს (სუფრის ბოლოში ახალგაზრდა ნათესავმა ხმამაღლა, ამოიოხრა და თითქოს მისკენ მოტრიალებულ ფეხებს გახედა, ოღონდ ერთის იქით). მე იმ ფეხებისას ვსვამ, ყველაფერს ვაჟკაცურად რომ აკეთებს, თუნდაც თავის კარში გაჰქონდეს გოლი. ზოგი ფეხი ფეხი არ არის, ზოგი კიდევ ორის ტოლია. ფეხი, რომელიც მარტო პენალტს არტყამს და დელ პიეროს აბია, ტყუილია, არ დაუჯეროთ, აი, ფეხი, რომელიც „ფიორენტინას" კარს გაუგლეჯს, ნაღდია, ჯიგარია. ჩემო შოთაევიჩ...

— ავიტაცოთ, ბატონებო. მე როგორც გავიგე, კინის, იერემისის და პელეგრინოს ფეხებისას ვსვამთ...

— რაო?! გეკადრება, ჩემო შოთაევიჩ. მე კაცობა ცხოვრებაში არ შემშლია და არც თამადობაში ვიჩრები.

— ბოდიში...

— არა, მოიცადე, მოიცადე. შენ ეგ არ უნდა შეგშლოდა. შენ რომ შეგეშლება, ვილაც უცხო რაღას იტყვის. როგორ, მე ისა, რა ჰქვია...

ერთი ხნის მერე ამ სადღეგრძელოსაც სვამენ, ოღონდ ახალგაზრდა ნათესავს თითქოს რაღაც ქვეტექსტი აქვს. ორმოცი წუთის მერე:

— მე მინდა... ეი, მანდ!.. მომისმინეთ კაცო, პატივი ვცეთ ერთმანეთს! მე მინდა... აჩიკო! რა მოგივიდა შე მამაძაღლო. ბოდიში არ უნდა მაგას, გაჩუმდი! ...მე მინდა იმ მკერდზე ვილაპარაკო (სუფრის ბოლოში ახალგაზრდა ნათესავმა ტუალეტში გასული მეზობლის სკამზე გადაინაცვლა და ფეხებთან და მკერდთან ძალიან ახლოს აღმოჩნდა), რომელიც ცამეტი წელიწადია, მსოფლიოს უძლიერეს ამბავს და სიყვარულს ატარებს და წინ, დიდი გამარჯვებისკენ მიუძღვის. ეს მკერდი ნაღდია. შეიძლება ვინმე შემთხვევით გადაელობოს ან მძიმე ტვირთად დააწვეს, მაგრამ ისინი მატლები არიან, მკერდი კი ჯიგარია. გამგებმა გაიგოს (თავისთვის), ვინც ვერ გაიგებს და, ფეხებზე დამეკიდოს.

ვილაცეები უკვე აღარ სვამენ. ზოგი ნახევარს ტოვებს. ორი საათის მერე:

— ე, ბიჯო! შშშნ გეუბნები, გამიგე. მე თუ არ გამიგე, ვის გაუგებ შშ სნდის გარცხილო. მე გბნები, რომ ეგ კაცი ტრ... ტრ...

— ა, ა.

— ტრლბუსივით არი. არ იცის, რას აკთებს. მარტო ის იცის, რო ხაზს უნდა გაყვეს, მოსახვევში აზრზე არრი. ვინ, ბიჯო, ვინ რბრტო კარლოსი, რა რბრტო კარლსი.

სუფრის ბოლოში შეკივლება ისმის. ვილაცა საიდანლაც ღრიალებს: თამადის ცოლია ბიჭო, რას შვები.

თამადა ბარბაცით დგება, ბოთლს ეჭიდება, სუფრის ბოლოში ისვრის და ვილაცას არტყამს.

— თქვენი „იუვენტუსის" ბალეშჩიკი დედა... — ისმის მეორე მხრიდან. გაგრძელება იყო.

პაპუნა ძედია

**ავტორი დარწმუნებულია, რომ საქართველოში 2000 წლის ბოლო ქრთამს 31 დეკემბერს აიღებენ და წინადადებით შემოდის, მისი აღებისთვის საგანგებო ჯილდო დავაწესოთ. ყურადღება: შანსი ყველას აქვს!**



ეს კოულის ფეხებია, გამოიცნეთ ხაჰაპური!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიდნეი 2000

## დარჩა 114 დღე

# სტრეპტოციდის დონეს გავცილდებივართ

*ოლიმპიურ თამაშებში წარმატების მისაღწევად უამრავი პრობლემა თუ ნიუანსია გასათვალისწინებელი. სწორედ ზოგიერთ ამგვარ საკითხთან დაკავშირებით ჩვენთან ინტერვიუში საუბრობს სეოკ-ის გენერალური მდივანი ბატონი ემზარ ზენაიშვილი.*

**— ბატონო ემზარ, ატლანტის ოლიმპიური თამაშების შედეგების განხილვისას წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად არასათანადო სამედიცინო უზრუნველყოფა მიიჩნიეს. რა მდგომარეობაა ამ მხრივ?**

— ატლანტაში ამ მხრივ მართლაც სავალალო მდგომარეობა იყო. მე ერთ-ერთ ინტერვიუში აღვნიშნე, რომ მაშინ ჩვენი გუნდი სამედიცინო უზრუნველყოფის მხრივ დაახლოებით „სტრეპტოციდის" დონეზე იყო მომზადებული. ატლანტის ცუდ შედეგებში გარკვეული როლი, რა თქმა უნდა, ამანაც ითამაშა. მიმაჩნია, რომ ყველა დიდ სპორტულ ღონისძიებაზე წარმატების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი სწორედ კარგი სამედიცინო უზრუნველყოფაა.

დღესდღეობით ამ მხრივ გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. უკვე დაინიშნა ოლიმპიური გუნდის ექიმი — ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი ზურაბ კახაბრიშვილი. სამედიცინო მომსახურების სფეროში ბატონ გია აბესაძის ხელმძღვანელობით უდიდეს დახმარებას გვიწევს სპორტული მედიცინის ასოციაცია. რაც მთავარია, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის ბატონ ავთანდილ ჯორბენაძის, აგრეთვე თემურ კალანდაძის ძალისხმევით ყველა ოლიმპიელი გადის საკმაოდ სერიოზულ და საფუძვლიან სამედიცინო გამოკვლევას ისეთ პრესტიჟულ ცენტრში, როგორიც არის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკისი ინსტიტუტი. აღსანიშნავია, რომ ამ ინსტიტუტის დირექტორი ბატონი ფრიდონ თოდუა გულისხმიერებით მოეკიდა ამ პრობლემას და გამოკვლევების შემდეგ ყველა სპორტსმენი მასთან კონსულტაციებს გადის. ამას გარდა, უკვე გავაფორმეთ ხელშეკრულება მედიკამენტების ერთ-ერთ საუკეთესო ფირმასთან, რომელიც ჩვენს გუნდს შეღავათიან ფასებში იმ პრეპარატებით უზრუნველყოფს, რომლებიც მათ წინასაოლიმპიადო მზადებისთვის ესაჭიროება.

ერთი სიტყვით, ამ მხრივ საქმე უკეთაა, ვიდრე ატლანტაში იყო.

**— ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ შეიქმნებოდა სამთავრობო კომისია სიდნეი-2000-ის მზადებასთან დაკავშირებით...**

— დიახ, საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის 25 აპრილის განკარგულების საფუძველზე შეიქმნა სამთავრობო კომისია ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებასთან დაკავშირებით. მას სათავეში თავად პრეზიდენტი ჩაუდგა. უახლოეს მომავალში, როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდება მთავრობა, გაიმართება სხდომა, სადაც შეჯერდება ყველა ის აუცილებელი საკითხი, რომლებიც ოლიმპიადისთვის ნაყოფიერ მომზადებას ითვალისწინებს. უკვე განისაზღვრა სპორტსმენთა საპრიზო ფონდიც. პრიზიორებს შესაბამისად გადაეცემათ 50, 30 და 20 ათასი დოლარის ექვივალენტი ლარებში. ამას გარდა IV, V და VI ადგილებზე გასული სპორტსმენებიც შესაბამისად 6, 4 და 2 ათასით დაჯილდოვდებიან, რადგან მიგვაჩნია, რომ ჩვენი დუხჭირი პირობების კვალობაზე ოლიმპიურ თამაშებზე ექვსეულში მოხვედრა ცუდი შედეგი არ უნდა იყოს. ბუნებრივია, დაჯილდოვდებიან სპორტსმენის პირადი და ნაკრების მთავარი მწვრთნელებიც. პირველს გადაეცემა საპრიზო ფონდის 20 პროცენტი, ოღონდ არა სპორტსმენის ფონდიდან, მთავარი მწვრთნელის საპრიზოზე კი სეოკ-ისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ცალკე ვიმსჯელებთ.

**— გავიგეთ, რომ თავისუფალი სტილის მოჭიდავეები სიდნეიში ჩასვლას 20 სექტემბრის მერე ითხოვენო. რა კომენტარს გაუკეთებდით ამ ფაქტს?**

— ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. მათ შეჯიბრება 28 სექტემბერს ეწყებათ და ბუნებრივია, რომ სიდნეიში 20 დღით ადრე ჩასვლამ შეიძლება შედეგებზე უარყოფითად იმოქმედოს. ჩვენ ამის თაობაზე ფედერაციის ხელმძღვანელობამ მოგვმართა თხოვნით. გადაწყდა, რომ ისინი სიდნეიში შეჯიბრებამდე 8 დღით ადრე ჩამოვლენ. რაც შეეხება აკლიმატიზაციას, ეს უკვე მათი პრობლემაა. რაკი თავად ასე სურთ, ალბათ თავიანთი საქმისა უკეთ უწყიან.

**ქახა ბერიძე**



REUTERS ოლიმპიადან



# ტალიამ მზეს ცეცხლი მოსწყვიტა, ლამბროსმა კი გზას გაუყენა

უკვე 64 წელი გავიდა მას მერე, რაც ანტიკურ ოლიმპიაში, ჰერას ტაძრის ნანგრევების ადგილზე ყოველ ნაკიან წელიწადს, მზის სხივებისგან ოლიმპიური ცეცხლი ინთება და ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტაც იწყება. გუშინწინ ასეთი პატივი, როგორც ვიუწყებოდით, წილად ხვდა ცნობილ ბერძენ მსახიობ ქალს ტოლია პროკოპიუს. გუშინ იქვე გაიმართა ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის დასაწყისის ოფიციალური ცერემონიალი. პროკოპიუს დანთებული ცეცხლი ჩაიბარა მისმა თანამემამულემ, სიმაღლეზე მხტომელმა ლამბროს პაპაკოსტასმა და ჩირაღდნის ესტაფეტაც დაიწყო. ამ სურათებზე სწორედ ეს ამბებია აღბეჭდილი.

# ბრძოლების დაწყებამდე მესამენი ვართ
## მერე სადღა ვიქნებით?

*პრაქტიკულად დასრულებულია ყველა ოლიმპიური სალიცენზიო ასპარეზობა. საქართველოს სპორტსმენებს დღესდღეობით 32 ოლიმპიური ლიცენზია აქვთ მოპოვებული, მათ შორის 7 ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეებს. მათ დარჩათ კიდევ 2 საერთაშორისო ტურნირი. ისინი მაისის ბოლოს ბელარუსის დედაქალაქ მინსკში და 15-16 ივლისს ფინეთში იასპარეზებენ. გუნდში შექმნილ ამჟამინდელ ვითარებაზე, წინასაოლიმპიადო მოსამზადებელი პერიოდის გავლასა და სხვა საკითხებზე გავესაუბრეთ საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების უფროს მწვრთნელ ბეგი დარჩიას.*

—გუნდში ვითარება ნორმალურია — გვიამბობს ბეგი დარჩია — ბიჭები გულმოდგინედ ვარჯიშობენ. მაისის ბოლოს ქალაქ მინსკში გაიმართება საერთაშორისო ტურნირი, სადაც ლიცენზიანტთა უმრავლესობაც გაემგზავრება. შეგვეძლო მერვე ლიცენზიაც მოგვეპოვებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ. თუმცა არც 7 ლიცენზიაა ურიგო შედეგი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ლიცენზიები აშკარად საუკეთესოებმა მოიპოვეს.

**— როგორი შედეგებს გეგმავთ სიდნეიში?**

— პროგნოზებისგან თავს ვიკავებ, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ჩვენი შვიდივე ლიცენზიანტი მედლისთვის იბრძოლებს. თუმცა ძალზედ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული წილისყრაზე. ისე, ყველა ჩვენს მოჭიდავეს ძალუძს ნახევარფინალში გასვლა, რის შემდეგაც მათ უკვე საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლის შანსი ეძლევათ.

**— მირიან გიორგაძეს კარელინთან ბრძოლაში რა შანსი აქვს?**

— გიორგაძის წონაში გამოდის, ჩემი აზრით, ყველა დროის საუკეთესო ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე, რუსი ალექსანდრ კარელინი, რომელსაც უკვე 12 წელია არ წაუგია ოფიციალური თუ არაოფიციალური ბრძოლა. გიორგაძეს საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში კარელინის გამოცდილებამ შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს. ამით მე იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ მირიანს თავისი პოტენციალით კარელინის ბევრად ჩამორჩება, თუმცა, ჩვენს სახელოვან ფოფოლა ბევრი შემთხვევა, როდესაც ფავორიტს მასთან შედარებით სუსტ მეტოქესთან წაუგია, სავარაუდოა, რომ კარელინი ფსიქოლოგიურად დაძაბული იქნება, იგი ხომ ზედიზედ მეოთხე ოლიმპიური ოქროსთვის იბრძოლებს — გიორგაძეს კი დასაკარგი არაფერი აქვს. კარელინს ძალიან ბევრი ტიტული აქვს მოპოვებული, ჩემი აზრით, იგი ჭიდაობისთვის დაბერდა. მას აღარა აქვს უმაღლესი ჯილდოს მოსაგებად საჭირო მოტივაცია. ამის გარდა, იგი ბევრი სხვა რამითაცაა დაკავებული.



ბეგი დარჩია

**— არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში რომელი ადგილის დაკავება გძალუძთ?**

— ოლიმპიურ ლიცენზიების საერთო რაოდენობით საქართველოს ნაკრები მსოფლიოში რუსეთისა და უკრაინის ეროვნული გუნდების შემდეგ მესამე ადგილზეა. ჩვენი ნაკრების პოტენციალი ძალზე დიდია და თავისუფლად შეგვიძლია საუკეთესო ექვსეულში მოხვედრა, თუმცა, რუსეთისა და უკრაინის გარდა საკმაოდ ძლიერი ნაკრებები ეყოლება თურქეთს, ბელარუსის, სამხრეთ კორეას და კუბას. მედლის მოგების კარგი შანსი ექნება ასევე ბულგარეთს, რომელთა ორივე ლიცენზიაც ე. წ. „ლეგიონერების" ანგარიშზეა — მურეიკო წარმოშობით ბელარუსიდან არის, ნაზარიანი კი სომეხია. 2-3 ძლიერი მოჭიდავე ეყოლება ასვე საფრანგეთსა და გერმანიას, მაგრამ აქვე მინდა დავძინო, რომ მიუხედავად ასეთი ძლიერი შემადგენლობისა, ჩვენ გვძალუძს გავაუმჯობესოთ 1997 წლის ევროპის ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგი გუნდურ ჩათვლაში, როდესაც საქართველოს ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა.

**— ვინ მიგაჩნიათ გუნდის ლიდერად ან ლიდერებად?**

— მიჭირს ვინმეს გამოყოფა, რადგანაც საკმაოდ თანაბარი ძალის მოჭიდავეები გვყავს, თუმცა თუკი სპორტსმენის მიერ ნაჩვენები შედეგებით ვიმსჯელებთ ასეთებად ჩაჩუასა და მელელაშვილს დავასახელებდი.

**ზურაბ თალაკვაძე**

# გიორგი ვაზაგაშვილი: რა აზრი აქვს სიდნეიში ჩვენს ჩასვლას



*114 დღის მერე სიდნეიში, ოლიმპიური ცეცხლი აგიზგიზდება. ცხადია, მწვანე კონტინენტზე ქართველი სპორტსმენებიც იასპარეზებენ, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ მხოლოდ მონაწილეობას გამოვრჩეთ, დიახ, მძიმე დღეები უდგას ქართულ სპორტს, ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ გამკითხავიც არავინაა. სწორად ბრძანა ამ ორიოდ თვის წინათ პარლამენტარებთან შეხვედრისას ბატონმა გოგი თოფაძემ — დღეს ქართული სპორტის პანაშვიდზე ვართო, ჩვენის მხრივ კი ამას დავამატებთ, რომ თუ ვითარება რადიკალურად არ შეიცვალა, გამოსვენება შეიძლება პირდაპირ სიდნეიდან მოგვიწიოს. ალბათ ამიტომაც ძიუდოს დარბაზში შესულს თვალში გიორგი ვაზაგაშვილის ნაღვლიანი სახე მეცა.*

*მასში მხოლოდ გულგატეხილობასა და იმედგაცრუებას თუ ამოიკითხავდით, არადა, იგი სიდნეიში მედლის მოპოვების ერთ-ერთ პრეტენდენტად ითვლება. სათქმელი ბევრი მაქვსო, მითხრა გიორგიმ და ჩვენც სასაუბროდ მყუდრო ადგილას განვმარტოვდით.*

— როგორც იცით, შარშან თითქმის სულ 73 კგ წონის კატეგორიაში ვიჭიდავე — გვეუბნება გიორგი— ჩემს საბრძოლო წონით კატეგორიაში 66-კგ-ში მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიასპარეზე, მაგრამ ვთვლი, რომ საერთაშორისო ასპარეზზე მაინც ასე თუ ისე ნორმალური შედეგები ვაჩვენე და ევროპის III პრიზიორიც გავხდი. ასე რომ, გასულ წელს ნამდვილად არ ვემდური.

**— როგორ ფიქრობთ, შარშანდელი შედეგები თქვენი მაქსიმუმი იყო?**

— რა თქმა უნდა, არა. მეტის მიღწევაც შემეძლო. მსოფლიოს ჩემპიონატზე სულაც უმედლოდ დავრჩი, თანაც სწორედ ჩემს წონაში გამოსვლისას, ამას თავის ახსნა აქვს. უპირველესი მიზეზი ისევ და ისევ არასათანადო ფინანსური უზრუნველყოფაა. სპორტსმენს ის მინიმალური მაინც ხომ უნდა მისცენ, რაც მას ვარჯიშის შემდეგ ესაჭიროება. როცა შენზე წუთითაც არავინ ფიქრობს, როცა არ გაგაჩნია ელემენტარული საარსებო პირობები, ამ დროს კი შენს მოწინააღმდეგეს ყველაფერი საათივითა აქვს აწყობილი და დარდი არ აწუხებს, მასთან ბრძოლა? მე თუ მკითხავთ, ასეთი პირობების კვალობაზე ჩვენ კიდევ ნორმალურ შედეგებს ვაჩვენებთ, მაგრამ რად გინდა, დამფასებელი მაინც არავინაა.

**— გამოდის, რომ თქვენს ბოლოდროინდელ არასტაბილურ შედეგებს ქართული სპორტის კრიზისულ მდგომარეობას მიაწერთ.**

— რა თქმა უნდა. ამაში ლომის წილი სახელმწიფოს მიერ სპორტისადმი გულგრილ დამოკიდებულებას მიუძღვის. აბა, როცა სპორტის დეპარტამენტს შენი 8 თვის ხელფასი და შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე წარმატებისთვის დაწესებული, მაგრამ გაუცემელი პრემიები მართებს და ყურსაც არ იბერტყავენ, სავარჯიშოდ გული მოგიბრუნდება? დამისახელეთ თუნდაც ერთი ქვეყანა, სადაც სპორტსმენს, რომლისგანაც საერთაშორისო ასპარეზზე მაღალ შედეგებს ითხოვენ, 8 თვეს ჯამაგირს არ აძლევენ. ჩვენც ხომ ოჯახები გვაქვს, მათაც ხომ რჩენა უნდათ. რა გზით უნდა იშოვო ლუკმა-პური, როდესაც ჩვენი შემოსავლის ერთადერთი წყარო სპორტია? ამიტომ რამდენიმე დღეში პოლონეთში ევროპის ჩემპიონატი რომ გველის, იქ წამსვლელი არ ვარ.

**— ეს როგორ გავიგოთ?**

— ისე, როგორც ვამბობ. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ვიდრე იმის ნახევარს მაინც არ მივიღებ რაც მეკუთვნის, ევროპის ჩემპიონატზე ფეხის გამდგმელი არ ვარ.

ასევე გადაწყვიტეს გიორგი რევაზიშვილმა (73 კგ) და ნესტორ ხერგიანმაც (60 კგ). თუ ჩვენს პირობებს არ დააკმაყოფილებენ, მაშინ ყველას დიდ ბოდიშს მოვუხდი, პოლონეთში გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე გუდანაბადს ავიკრავ და შინ წავალ, იქ კი როგორმე მოვიფიქრებ თავი რით ვირჩინო. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ხომ თავისი ზღვარი აქვს. სადამდე უნდა დავრჩეთ ენთუზიასტებად?

**— შინ წავალო, ამბობთ. არ გიფიქრიათ, რომ ამან შეიძლება მავანთა უკმაყოფილება გამოიწვიოს?**

— თქვენ ალბათ საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელ ბატონ შოთა ხაბარელს გულისხმობთ. ბიჭები მას უდიდეს პატივს ვცემთ და სავარჯიშოდაც მისი ხათრით დავდივართ. იგი ყველანაირად ცდილობს მხარში ამოგვიდგეს და საკუთარი გზით მაინც მოახერხოს ჩვენი დახმარება. მას ჰქონდა საუბარი სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან და დაპირდნენ, რომ აუცილებლად დაგვეხმარებოდნენ, მაგრამ ხომ გაგიგიათ, შეაყარე კედელს ცერცვიო.

ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ ბატონ შოთასთან გვქონდა საუბარი და დარწმუნებული ვარ, რომ მისი მხრიდან პრობლემა არ გვექნება.

**— თუ არ ვცდებით, ამ რამდენიმე დღის წინათ ძიუდოისტებს ბატონ კახისთან პირადად გქონდათ შეხვედრა.**

— ცდებით. ჩვენ გვქონდა ამის სურვილი, მაგრამ მის კაბინეტამდე ვერ მივაღწიეთ. მისაღებში ბატონი გივი ჯიშიაშვილი დაგვხვდა და ერთი ამბავი დაგვაწია, აქ რა გინდათო. ეგ კი არა, ბოლოს ისიც მოგვაძახა, ახლა კი არა, სიდნეიდან სულ ოქროს მედლებით დახუნძლული რომ დაბრუნდეთ, გასამრჯელო შეიძლება იმ შემთხვევაშიც ვერ მიიღოთო.

აი, ასეთი „დამამშვიდებელი“ სიტყვით გამოგვისტუმრა. ამას რომ ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე 4 თვით ადრე სპორტის დეპარტამენტში გეტყვიან, საერთოდ ყველაფერი ჩალით ყოფილა დაფარული. შეიძლება ბატონ კახის მართლაც არ ჰქონდეს ჩვენი ხელფასების გასასტუმრებელი ფული, მაგრამ მაშინ ნურც შედეგს მოგვთხოვენ.

**— ყველაზე მეტად დახმარებას ვისგან გრძნობთ?**

— ერთადერთი კაცი, ვისგანაც უდიდეს დახმარებას ვგრძნობთ, ეს სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ პრეზიდენტი ბერდია გუგავაა, რომელიც ჩემი პირადი მწვრთნელიც არის. ბატონ შოთა ხაბარელზე უკვე არაფერს ვამბობ.

**— ალბათ თვალი საზღვარგარეთისკენაც გაგირბით?**

— ძალიან სამწუხაროა, რომ ქართველ სპორტსმენებს საქმე უცხოეთში გასაქცევად გაგვხდომია, მაგრამ რას იზამ, როცა თავს ზემოთ ძალა არ არის. სიმართლის გაგება თუ გინდათ, საქართველოდან აქამდე უნდა წავსულიყავი. ხედავთ სადამდე მივედით? სამშობლოში დარჩენა სანანებლად გაგვხდომია.

შარშან მიწვევები საბერძნეთიდან და ისრაელიდან მქონდა, მაგრამ მაშინ სპორტის დეპარტამენტმა არ გამიშვა და ტყუილი დაპირებებით ამავსო. ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი ფუჭი სიტყვები იქნებოდა, მაგრამ ქვეყნის სიყვარულმა მაინც შინ დარჩენა გადამაწყვეტინა. ახლა ასეთ შეცდომას აღარ გავიმეორებ და ოლიმპიური თამაშების შემდეგ აუცილებლად წავალ.

**— ყველაფრის მიუხედავად, სიდნეისთვის ალბათ მაინც ემზადები?**

— კი ვემზადები, ამას თუ მომზადება ჰქვია. საერთოდ ყველაფერზე ხელი მაქვს ჩაქნეული. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სპორტი და სპორტსმენის ბედი, უკაცრავად და, ყველას ფეხებზე ჰკიდია. ყოველივე ამის მერე განა შეიძლება, რომ სასიდნეოდ სათანადოდ მომზადებულნი ვიყოთ? განა აზრი აქვს ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენს გამგზავრებას? თუ შედეგი მართლა სურთ, მაშინ კეთილი ინებონ და ოლიმპიურმა კომიტეტმა, სპორტის დეპარტამენტმა და სხვა სათანადო ინსტანციებმა დროზე მოგვხედონ. სიდნეიმდე ოთხად-ოთხი თველაა დარჩენილი და ისიც ისე გაირბენს, თვალის დახამხამებასაც ვერ მოვასწრებთ.

**— რაკი სასიდნეოდ მაინც ემზადებით, რას ჰპირდებით ქართველ გულშემატკივარს?**

— კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ თუ სპორტის დეპარტამენტმა და ოლიმპიურმა კომიტეტმა დარჩენილ დროში მაინც მოგვხედა ისე, როგორც წესი და რიგია, მაშინ სიდნეიდან მთლად ცარიელნი არ დავბრუნდებით. თუ არადა, ატლანტის ორი ბრინჯაოც შეიძლება სანატრელი გაგვიხდეს. ჩემი ერთადერთი და ჯერჯერობით განუხორციელებელი ოცნება საქართველოში სპორტის აღორძინება და ჩემი ქვეყნის სახელით ოლიმპიური ოქროს მოპოვებაა.

**ბახა ბერიძე**

## ისინი იასპარეზებენ სიდნეიში

### ივერი ჯიქურაული

#### ძიუდო-100 კგ



*ივერი ჯიქურაული დაიბადა 1976 წლის 22 მარტს დუშეთის რაიონის სოფელ არაგვისპირში. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1987 წელს შოთა ხერკელაძესთან.*

*ივერი ჯიქურაული არის 1993 წლის ვალკენსვაარდის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების II პრიზიორი, 1994 წლის ევროპის ჩემპიონატის III და მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის II პრიზიორი, 1995 წლის მსოფლიოს პირველობის ვერცხლის მედალოსანი და მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი.*

სამი შეკითხვა ლიცენზიანტებს

**1. რატომ აირჩიეთ სპორტის ეს სახეობა?**

**2. გაიხსენეთ რაიმე კურიოზი თქვენი სპორტული ცხოვრებიდან.**

**3. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე რომელი ადგილის დაკავებას ვარაუდობთ?**

*1. ჩემი მოჭიდავედ გახდომა მამაჩემის უდიდესი სურვილი იყო. არ ვიცი რატომ, მაგრამ ბავშვობაში სპორტის ამ სახეობისადმი ინტერესს მეც ვიჩენდი, ამას დაუმატეთ კარგი ფიზიკური მონაცემებიც და...*

*2. ერთხელ ქობულეთში ვიყავით შეკრებაზე. ვარჯიშის შემდეგ მე და გიორგი გუგავამ გადავწყვიტეთ ბათუმში წავსულიყავით. ბათუმის მშვენიერ სანაპიროზე სეირნობა გაგვიტკბა და უკან გვიან ღამით დავბრუნდით, ამას კოკისპირული წვიმაც დაერთო. ისე მოხდა, რომ ქობულეთს გავცდით. ეს საკმაოდ გვიან აღმოვაჩინეთ. უკან დაბრუნებულები ჩვენს საცხოვრებელ ადგილს კვლავ ავცდით და ჩაქვის გადასასვლელს შევუდექით. ბოლოს გამვლელებს დავეკითხეთ, რომ გაიგეს, ქობულეთში ბათუმიდან მოვდიოდით და პირი ისევ აჭარის დედაქალაქისაკენ გვეჭირა, იფიქრეს, ან დაგვცინიან, ანაც მთლად დალაგებულები ვერ არიანო.*

*3. ყველა სპორტსმენი უმაღლესი მწვერვალის დასაპყრობად ისწრაფვის და გამონაკლისი არც მე ვარ. ბედნიერი ვიქნები, თუ სიდნეიში ფეხს უმაღლეს კვარცხლბეკზე შევდგამ. ისე, სხვა სინჯის მედალზეც ყაბულს ვარ.*

## ოლიმპიური კურიერი

**მაროკოში** დაბადებული მარათონელი მსოფლიოს რბენაში ჰალიდ ელ-ხან-უჩი, რომელმაც 6 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის სტატუსი მიიღო, ვერ იასპარეზებს 11 მაისს ტორონტოში გასამართ გრან-პრიზე. საქმე ისაა, რომ მან ჯერ კიდევ თებერვალში მუხლი დაიშავა, მაგრამ, ვარშავასა და სოლტ-ლეიკ-სიტიში გამართულ მარათონებში მაინც იასპარეზა. ელ-ხან-უჩის ფიზიოთერაპევტის რუენ კლარკის თქმით, ჰალიდი ივნისის ბოლომდე არ იასპარეზებს არც ერთ საერთაშორისო ტურნირში, რათა სიდნეის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე მთლიანად მოიშუშოს მუხლი. „სიდნეიში ოქროს მედლის მოსაპოვებლად მივემგზავრები და ოლიმპიადამდე დარჩენილ დროში მინდა მაქსიმალურად სწრაფად მოვიშუშო ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო ტრავმა“ — განაცხადა ჰალიდ ელ-ხან-უჩიმ 8 მაისს გამართულ პრესკონფერენციაზე.

* * *

**სიდნეის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე ლიტვის დელეგაციას დროშით ხელში წარუძღვება კალათბურთელი არტურას კარნიშოვასი.**

**„ჩემთვის ეს უდიდესი პატივია, რადგან ლიტვის ნაკრებში ბევრი ძლიერი და ევროპაში სახელგანთქმული სპორტსმენია. თუმცა, ჩემი აზრით, ეს პატივი არვიდას საბონისისთვის უნდა გადაეცათ, მაგრამ, სამწუხაროდ, მან თავიდანვე განაცხადა, რომ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში. ამჟამად საბონისის გუნდი „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი“ დიდებულად თამაშობს ოკეანის მიღმა მიმდინარე პლეი-ოფში, რაც უფრო საეჭვოს ხდის, ჩემი აზრით, ევროპის ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელის მონაწილეობას სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში“ — განაცხადა კარნიშოვასმა 8 მაისს იტალიის ქალაქ ბოლონიაში გამართულ პრესკონფერენციაზე.**

* * *

**მსოფლიოში** ერთ-ერთი პოპულარული ხმის ჩამწერი კომპანია EMI სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის გამოუშვებს როკ-მუსიკის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო ჩანაწერების ნაკრებს, რომელშიც შევლენ: „EURYTHMICS“ (სიმღერა „KING AND QUEER OF AMERICA“), AC/DC („MONEY TALKS“) DIRE STRAITS („SULTANS OF SWING“) DEEP PURPLE („FIREBALL“) და კიდევ ათი სუპერპოპულარული ჯგუფი.

ალბომის ჩაწერა 14 ივლისს დასრულდება, ერთი კვირის მერე კი EMI-ის კალიფორნიულ ფილიალში ზემოხსენებული ჯგუფები და მათთან ერთად ერიკ კლეპტონი ჩაწერენ ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო როკ-ჰიმნის, DEEP PURPLI-ის კომპოზიციას „SMOKE ON THE WATER“.

## ქართველები ოლიმპიურ თამაშებზე

1980 წელი. მოსკოვი

1. ქეთევან ლოსაბერიძე (მშვილდოსნობა) — I
2. ვახტანგ ბლაგიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — I
3. შოთა ხაბარელი (ძიუდო) — I
4. ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა) — II
5. საიდა გუნბა (მძლეოსნობა) — II
6. თემურ ხუბულური (ძიუდო) — II
7. ალექსანდრე ანპილოგოვი (ხელბურთი) — II
8. ლიანა ცოტაძე (წყალში ხტომა) — III
9. ნიკოლოზ დერიუგინი (კალათბურთი) — III
10. ალექსანორე ჩივაძე (ფეხბურთი) — III
11. რევაზ ჩელებაძე (ფეხბურთი) — III
12. თამაზ იმნაიშვილი (სასტენდო სროლა) — IX
13. დავით კვაჭაძე (კრივი) — II წრე
14. თამაზ ნამგალაური (ძიუდო) — II წრე
15. ირინა გერასიმოვა (ცურვა) — დისკვალიფიკაცია.

*სულ მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა 15 სპორტსმენი, რომლებმაც მოიპოვეს: 3 ოქროს, 4-4 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი*



ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ქეთევან ლოსაბერიძე მეორე ქართველი ქალია, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა

ოლიმპიური ჩანართი მოამზადა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურმა

# ბაქრაძე წავიდა...

*ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ადრე თუ გვიან აუცილებლად დგება ფიქრისა და განსჯის ჟამი. ყოვნდები, წარსულს თვალს გადაავლებ და რაღაც განსაკუთრებული ნაბიჯისთვის ემზადები. ეს ის ნაბიჯია, რომელიც მკვეთრად ცვლის შენს ყოფას.*

*მოვა დრო და ესა თუ ის სპორტსმენი არჩევანის წინაშე დადგება. მისთვის ეს დღე მტკივნეული იქნება, გაუჭირდება დაჯერება, მაგრამ რეალობას ვერსად გაექცევა — უნდა წავიდეს.*

*ძნელია, ძალიან ძნელია, საყვარელ საქმეს შეელიო. ერთიორად გულსატკენია, როცა იძულებული ხარ, ასე მოიქცე...*

*ვის-ვის და ირაკლი ბაქრაძეს დიახაც რომ ნაღდი კალათბურთი უთამაშია. 16 წლისა იყო, მის ოცნებას ფრთები რომ შეესხა — ლევან მოსეშვილმა თბილისის „დინამოს" კარი გაუღო. მოგვიანებით ბერძნული „არისის" ღირსებასაც იცავდა ირაკლი, ამ გუნდთან ერთად თასების მფლობელთა თასიც (ახლანდელი საპორტას თასი) მოუგია.*

*კარიერა დასრულდა. 28 წლის ასაკში ირაკლი ბაქრაძე ტრავმამ ჩამოაშორა აქტიურ სპორტს. „ბანდურა" (ასე იცნობენ ბაქრაძეს საკალათბურთო წრეებში) მხოლოდ ტკბილად თუ მოიგონებს კალათბურთში გატარებულ წლებს...*



**ირაკლი ბაქრაძე**

დაიბადა
1971 წლის 16 აგვისტოს
სიმაღლე: 192სმ
წონა: 96 კგ
1987-92: „დინამო", თბილისი
1992-93: „არისი", საბერძნეთი
1993-94: „ვაო", საბერძნეთი
1994-95: „ვითა", თბილისი
1996-99: სენტ პიტერსბურგ ჯუნიორ კოლეჯი, აშშ
1999: „ვითა", თბილისი
2000: „ბასკო", ბათუმი
ტიტული: ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1993), საქართველოს ჩემპიონი (1992, 1995, 1999)

— ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ისაა, რომ ტრავმის გამო მომიხდა კალათბურთიდან წასვლა. ძალიან გამიჭირდება, მაგრამ რას ვიზამ, უნდა შევეგუო, როდესღაც ხომ მაინც მომიწევდა საყვარელ საქმესთან გამოთხოვება.

**— მაინც, რა შეგემთხვათ ასეთი?**

— ბოლო დროს წელის ტკივილი დამჩემდა. თავიდან ვიფიქრე, ხომ არ გავცივდი-მეთქი, მერე ბათუმის ნესტსაც დავაბრალე, მაგრამ ერთი თვე გავიდა და ტკივილი კიდევ უფრო გამიძლიერდა. მირჩიეს, ექიმებისთვის მიმემართა. წელზე სურათი რომ გადამიღეს, აღმოჩნდა, ხერხემლის მალა იყო დაზიანებული, უფრო სწორად — გადაადგილებული, მალებს შუა მოყოლილი ნერვები კი უხერხული მოძრაობისას აუტანლად მაწუხებდა. შემდეგ თბილისში საფუძვლიანი გამოკვლევა ჩავიტარე, საუკეთესო ექიმებს გავესინჯე და ყველამ ერთი და იგივე მითხრა, ორი თვე ტყავის კორსეტი ატარე, იქნებ ოპერაცია თავიდან ავიცილოთო. ვარჯიშზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, შეიძლებოდა დავინვალიდებულიყავი.

**— ადრე არ გქონიათ მსგავსი ტკივილი?**

— არასოდეს. ხომ გითხარით, პირველად წელმა ბათუმში შემაწუხა.

**— იქნებ ყოველივე იმიტომ დაგემართათ, რომ „ბასკოში" ზედმეტად დაიტვირთეთ?**

— ბათუმში თავი მართლა არ დამიზოგავს, დღეში სამჯერ ვვარჯიშობდი, მაგრამ არა მგონი, მთლად ამის ბრალი იყოს. თუ ასეა, რაღა მარტო მე მომივიდოდა ეს, ფიზიკურ დატვირთვებს ვისზე ნაკლებად ვუძლებ?

**— ირაკლი, დავუშვათ, მალევე გამოჯანმრთელდით. დაბრუნდებით ხელმეორედ კალათბურთში?**

— არა მგონია. მე რომ მინდა, ისე თამაშს ველარასოდეს შევძლებ. ეს ისეთი ტრავმაა, რომ ბოლომდე განკურნება შეუძლებელია. რაღაც დონეს ყოველთვის შევინარჩუნებ, მაგრამ ეს არ მაკმაყოფილებს. არადა, სულ სხვა გეგმები მქონდა, მსურდა, ადრინდელი ფორმა დამებრუნებინა და ჩემს ახალ კლუბსა და ნაკრებს შევშველებოდი. სამწუხაროდ, არ გამომივიდა. მარტო ის, რომ ეროვნულ ჩემპიონატში მივიღო მონაწილეობა, არც ღირს რისკის ფასად. რა აზრი აქვს ამას?

**— თუ ასეა, როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი უკალათბურთოდ?**

— მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ზუსტად არც კი ვიცი, მომავალში რა გზას ავირჩევ. არა მგონია, რომ მწვრთნელობას მოვკიდო ხელი. ალბათ, ჩემი პროფესიით გავაგრძელებ მოღვაწეობას.

**— თუ საიდუმლო არაა, რა პროფესიის ბრძანდებით?**

— პროგრამისტი ვარ, უფრო მარტივად რომ ვთქვა, ინტერნეტის დიზაინერი. განათლება ამერიკაში მივიღე, სამი წელი ვსწავლობდი შტატებში.

**— თქვენი კალათბურთით დაინტერესება ოჯახურ ტრადიციას ხომ არ უკავშირდება?**

— არც უმაგისობაა. თავის დროზე ჩემი ოჯახის თითქმის ყველა წევრი მისდევდა სპორტს. მამაჩემი საკმაოდ კარგი ჩოგბურთელი იყო, მე კი ბავშვობიდანვე კალათბურთისკენ გამიწია გულმა. რვა წლის ვიყავი, როცა „ნორჩ დინამოელში" მიმიყვანეს სავარჯიშოდ, ჩემი პირველი მწვრთნელები ჯამლეტ ხუხაშვილი და გურამ მეგრელიძე იყვნენ. სისტემატურად მიწვევდნენ სხვადასხვა ასაკის ნაკრებებში, 15 წლისა უკვე „დინამოს" დუბლებში ამიყვანა თამაზ ოქრუაშვილმა. ერთი წლის შემდეგ „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში მქონდა დებიუტი.

**— უეჭველად გეხსომებათ ის შეხვედრა...**

— სულ პირველად ლევან მოსეშვილმა რიგაში „ვეფის" წინააღმდეგ მათამაშა. ერთი-ორი წუთით გამიყვანა მოედანზე, ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარი, ამიტომ, ვფიქრობ, ჩემი ნამდვილი დებიუტი თბილისში, ვილნიუსის „სტატიბას" წინააღმდეგ შედგა. ის მატჩი მართლაც განსაკუთრებულად მაგონდება.

მახსოვს, ტიუბინის დაბადების დღე იყო. ანდრეიმ ძალიან კარგად ითამაშა, 30 ქულა გააკეთა. მერე მოსეშვილმა მას დასვენების საშუალება მისცა და დამთავრებამდე 8 წუთით ადრე მოედანზე მის ნაცვლად შემიყვანა. მეც იმედები არ გავუცრუე მწვრთნელს. დარჩენილ დროში 14 ქულა მოვაგროვე, ყველაფერი გამომივიდა. მოსეშვილმაც, ეს რომ დაინახა, ბოლომდე აღარ გამოვუცვლივარ. ქართველმა გულშემატკივრებმაც სწორედ „სტატიბასთან" თამაშისას გამიცნეს და მატჩის საუკეთესო კალათბურთელის გამოვლენის დრო რომ დადგა, „ბაქრაძე-ბაქრაძეო", გაიძახოდნენ. პრიზი მართლაც მე გადმომცეს, მაშინ ძალიან დიდი ნდობა და მხარდაჭერა ვიგრძენი ხალხისგან.

**— კარგი იქნება, თქვენი კარიერის საუკეთესო მატჩსაც თუ გაიხსენებთ...**

— ასეთად ნოვოსიბირსკის „დინამოსთან" თამაში მიმაჩნია. ყველაზე მეტად მაშინ დავრჩი კმაყოფილი ჩემი თავით. მეტოქის ლიდერს, ბაბკოვს ვმეურვეობდი და ამოსუნთქვის საშუალება არ მივეცი, ორი თუ სამი ქულა ჩააგდო სულ, მე კი კარგად მახსოვს, იმ თამაშში 14-ჯერ ჩავჭერი ბურთი.

**— თქვენ ყოველთვის დაცვის მოთამაშედ ითვლებოდით. მოწინააღმდეგის ყველაზე სახიფათო კალათბურთელის ამოკეტვასაც ამიტომ გავალებდნენ...**

— ეს, ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ ფიზიკურად ყოველთვის კარგად ვიყავი მომზადებული. თუმცა, ჩემი აზრით, დაცვაში თამაშისას სხვა პლუსებიც მქონდა. ამერიკაში ყოფნისას ჩემი უნივერსიტეტის გუნდშიც ვთამაშობდი. იქაურმა მწვრთნელმა ერთხელ დამიბარა და მითხრა, შენში ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ ძალიან ალღოიანი ხარ, წინასწარ ხვდები, მოწინააღმდეგე რას გააკეთებსო. ალბათ, სხვა მწვრთნელებიც ამას ფიქრობდნენ და ამიტომ მავალებდნენ მეტოქის ლიდერის გაუვნებლებას.

**— არსებობს მოსაზრება, რომ მწვრთნელებმა დაგაკომპლექსეს, თავიდანვე დაცვითი ფუნქციებით შემოგფარგლეს და ამიტომაც იყავით შეტევაში ნაკლებად საიმედო. ეთანხმებით ამას?**

— ნაწილობრივ. შეტევისას მართლაც არასდროს ვყოფილვარ ისეთი შედეგიანი და სახიფათო, როგორც დაცვაში, თუმცა დაკომპლექსება არაფერ შუაშია. რიდი და შიში არასდროს მქონია, ჩემი მიზანი ყოველთვის ის იყო, რომ მეტოქე ფსიქოლოგიურად გამეტეხა. მე, უბრალოდ, არ ვაძლევდი თავს უფლებას, მეკისრა დამაგვირგვინებელი სროლა, როცა იმ წუთას მოედანზე ჩემზე კარგი შემსრულებლები იყვნენ. გვერდით გელა დარსაძე რომ მედგა, ცხადია, მას ვაწვდიდი ბურთს, მე კი სხვა სამუშაოს ვასრულებდი. არასდროს მიფიქრია, რომ მაინცდამაინც მე მესროლა და ჩამეგდო, ყოველთვის მერჩივნა, კარგი პასი მიმეცა პარტნიორისთვის, ეს უფრო დიდ სიამოვნებას მანიჭებდა.

**— როგორ გგონიათ, ყველაზე მეტად რომელ კომპონენტში მოიკოჭლებდით?**

— ვერასოდეს მივაღწიე სროლაში სტაბილურობას. ალბათ, ბავშვობაში დავაკელი რაღაც, სათანადო ყურადღება არ მივაქციე.

**— ვინ იყო თქვენთვის საუკეთესო პარტნიორი მოედანზე?**

— გელა დარსაძე და დათო უსტიაშვილი. მათი განსაკუთრებულად მესმოდა. დარსაძე სულაც ყველასთვის გამორჩეული იყო.

**— იდეალი?**

— შარუნას მარჩულიონისი და ვალდის ვალტერსი. ძალიან ძლიერები იყვნენ, მათი თამაში ყოველთვის განსაკუთრებულად მომწონდა.

**— ახლა ის ვთქვათ, საბერძნეთში როგორ აღმოჩნდით...**

— პირველად ჩემმა მეგობარმა, იგორ მურაიტოვმა მიაშურა თავის ისტორიულ სამშობლოს და მალე „არისში" ჩაირიცხა. სწორედ მან დააინტერესა ჩემით ბერძნები. მიმიწვიეს, გამსინჯეს და მეც „არისში" ამოვყავი თავი. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ იმ წელს „არისში" დიდი რეფორმები მოხდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გუნდმა ნიკოს გალისი გაყიდა, რადგან სასწრაფოდ სჭირდებოდა ფული. სწორედ გალისის წასვლას დაემთხვა ჩემი ამ კლუბში მისვლა და ძალიან მწყინს, რომ ამ ლეგენდარული კალათბურთელის გვერდით არ მომიწია თამაში.

მიუხედავად ამისა, „არისში" გატარებულ დროს ყოველთვის სიამაყით ვიხსენებ. ამ კლუბთან ერთად თასების მფლობელთა თასი მოვიგე. მართალია, ფინალში არ მითამაშია, მაგრამ მთელი ტურნირის სიმძიმემ ჩემს ზურგზეც გადაიარა.

**— „არისიდან" ნაკლებად ცნობილ და უტიტულო „ვაოში" რატომღა გადახვედით?**

— სეზონის ბოლოს ფეხის ტრავმა მივიღე, მკურნალობას დრო სჭირდებოდა, „არისის" მწვრთნელს კი ჯანმრთელი ვუნდოდი. „ვაოში" გადასვლა იმიტომ გადავწყვიტე, რომ იქ ტრავმის მორჩენის საშუალება მეძლეოდა. სხვა მიზეზებიც იყო, „ვაოში" წამყვანი მოთამაშე ვიქნებოდი, „არისში" კი ძირითადად სკამზე ჯდომა მომიწევდა, ძალიან დიდი კონკურენცია იყო.

**— დღევანდელი გადასახედიდან როგორ მიგაჩნიათ, „ვაოში" გადასვლა გამართლებული ნაბიჯი იყო?**

— როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ მიჩვენა, არასწორად მოვიქეცი. „არისიდან" მხოლოდ იმიტომ წამოვედი, რომ შეძლებისდაგვარად გამემდიდრებინა სათამაშო პრაქტიკა. სულ მალე კი ამ კლუბს ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს, რომელიც მთლიანად ახალგაზრდებს დაეყრდნო. ბიჭები, რომლებიც სულ სათადარიგოებში იყვნენ, ძალიან მალე „არისის" წამყვან მოთამაშეებად იქცნენ. რომ არ ავჩქარებულიყავი, დარწმუნებული ვარ, მეც მათ გვერდით ვიქნებოდი, უფრო დიდხანს ვითამაშებდი მაღალ დონეზე.

**— როგორ გგონიათ, თქვენი შესაძლებლობები ბოლომდე ამოწურეთ?**

— ვფიქრობ, მეტის გაკეთებაც შემეძლო, მაგრამ ჩემი თავით უკმაყოფილო მაინც არ ვარ. სხვა თუ არაფერი, უამრავ კარგ ადამიანს დავუახლოვდი, მათ გარეშე დღეს არავინ არ ვიქნებოდი.

**— ორიოდ სიტყვით თქვენს ოჯახურ მდგომარეობაზეც გვითხარით...**

— მყავს ძალიან მოსიყვარულე მეუღლე — ეკა ბარამიძე და ორი ვაჟი, 7 წლის ნიკუშა და 5 წლის გეგი. ნიკუშა მომავალი კალათბურთელია, აკადემიაში ვარჯიშობს გელა დარსაძესთან. გეგი, ალბათ, ბაბუის კვალს გაჰყვება, ძალიან მინდა, რომ ჩოგბურთზე იაროს.

**— მეგობრები „ბანდურას" გიწოდებენ, რატომ?**

— „ბანდურა" ბავშვობაში შემერქვა. ერთ-ერთ ჩემს მეგობარს ხუმრობით უთქვამს, შეხედეთ, როგორ დარბის, დაბანდურებსო. იმის მერე ახლობლები ირაკლის თითქმის აღარც მეძახიან.

**— კალათბურთის გარდა კიდევ რა გიყვართ გამორჩეულად?**

— სპორტის სახეობებიდან ფეხბურთი და ჩოგბურთი. გატაცებული ვარ კომპიუტერითაც, თუმცა ეს ჩემი პროფესიაა და გასაკვირიც არ უნდა იყოს. გარდა ამისა, ფსიქოლოგია მაინტერესებს, ყოველთვის მინდოდა, ღრმად შემესწავლა ადამიანის შინაგანი ბუნება. სხვათა შორის, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფსიქოლოგი ჩემი „სეხნიაა", ბანდურა ჰქვია. ამერიკაში სწავლისას ერთ-ერთი ლექტორისგან ეს რომ გავიგე, ვიფიქრე, დამცინის-მეთქი. მერე ძალიან გამიხარდა, უცებ საქართველო გამახსენდა, ჩემი მეგობრები, ნოსტალგია მომეძალა...

**— ცხოვრებას ახლიდან რომ იწყებდეთ, რას შეცვლიდით?**

— არ ვიცი. ვფიქრობ, მოსახდენი მაინც მოხდებოდა. ერთის თქმა გადაჭრით შემიძლია, კალათბურთს აუცილებლად გავყვებოდი, იმიტომ, რომ ჩემთვის ძალიან ძვირფასია სპორტის ეს სახეობა. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კალათბურთმა ადამიანებთან ურთიერთობა მასწავლა. ეს მთელი სამყაროა, ცხოვრების ინსტიტუტი, ერთი სიტყვით, ყველაფერი — მეგობრობა, კაცობა, სიყვარული...

**გიორგი ბიძაშვილი**

## სლოვენია

მესამე ადგილისთვის
(ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ოლიმპია | 2 |
| სლოვანი | 0 |

**სლოვანი 69:83 ოლიმპია**

სლოვანი: ნოვაკი (19), ლაკოვიჩი, ჟაკელი (1), უგრეხელიძე, ჯურკოვიჩი (10), კოვაჩი (10), პავიჩი (2), ბოისა (2), მარავიჩი (21), შუშტარშიჩი, ცქიტიშვილი (4)
ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (22), გოლემაცი (8), ბრეჟეცი (17), ზდოვცი (10), კოტნიკი (3), მილიჩი (9), იასიკევიჩუსი (12), პარავინია, მოდრიჩი (2)

ლიუბლიანის „სლოვანმა" სეზონი დაასრულა, დაიკავა მეოთხე ადგილი და კმაყოფილია. გეგმა გადაჭარბებითაა შესრულებული, რადგან სეზონის წინ „სლოვანის" ხელმძღვანელობა მხოლოდ ექვსეულში მოხვედრას ისახავდა მიზნად.

ამ მატჩს ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა. იგი უნდა გამართულიყო და გაიმართა კიდეც, დამთავრდა ისე, როგორც უნდა დამთავრებულიყო — „ოლიმპიამ" სლოვანიის ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა.

„სლოვანის" ქართველებმა ამ მატჩში ბევრი ვერაფრით გამოიჩინეს თავი. მათგან საუკეთესო ნიკა ცქიტიშვილი იყო, რომელმაც 22 წუთში ოთხი ქულა და ექვსი მოხსნა გააკეთა. ვლადიმერ ბოისამ 16 წუთი ითამაშა და ორიდან ერთი ორქულიანი ჩააგდო. დავით უგრეხელიძემ კი ათ წუთში ორი პერსონალური მიიღო. ქართველი კალათბურთელები გუშინვე გამოემგზავრნენ ლიუბლიანიდან და საქართველოს ნაკრებს მოაშურეს.

## საფრანგეთი

პლეი ოფის ნახევარფინალი

(ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ვილერბანი | 2 |
| სტრასბური | 0 |

**სტრასბური 69:76 ვილერბანი**

სტრასბური: ფორტი (20), მაკკარდი (2), კლანტი, ვაიტი (19), სმიტი (13), ლესმონი (9), კეიტა (6), ლოტიანი
ვილერბანი: სონკო (13), ლარანიაგა (19), პლუვი (10), პერსევო, სილსი (11), ბლომი, მაქსი (14), ლოვერნი (2), ბილბა (7)

| | |
|---|---|
| ლიმოჟი | 1 |
| პო ორტეზი | 1 |

**პო ორტეზი 69:60 ლიმოჟი**

პო ორტეზი: ფატუ (3), რიზაშე (16), ტ. გადუ (18), რივზი (3), დ. გადუ 5), მ. პიეტრუსი, მაზინგი, ბრაისონი (24), სმიტი
ლიმოჟი: დიუმა, ბრაუნი (20), ჰემი, ბონატო (10), სტაჟიჩი (2), მეტელი (2), რუპერი, ვილიამსი (18), ფრიგუ (2), ვეისი (6)


რეკლამა სარბიელში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

სწრაფად და შეღავათიან ფასებში ვასრულებთ დიზაინერულ, საპროექტო, სამშენებლო, სარემონტო და შენობის გამაგრებით სამუშაოებს
Tel. 96 56 67

ქირავდება
საოფისედ 4 ოთახიანი ბინა. საერთო ფართი 150 კვ.მ. „დინამო" სტადიონთან ქურდიანის (ყოფილი გლდანის) ქუჩაზე.
ტელ: 34-80-68

# რა თქმა უნდა, შაკილი!

## ლეიკერსის ცენტრი სეზონის უძვირფასესი მოთამაშეა

9 მაისს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 1999-2000 წლების სეზონის უძვირფასესი მოთამაშის გამოკითხვა ჩატარდა და მასში ვინ გაიმარჯვებდა, თუ არა „ლოს ანჯელესის ლეიკერსის“ სუპერცენტრი შაკილ ონილი. მთელი სეზონის განმავლობაში არასდროს დასმულა კითხვა, ვის ერგებოდა ყველაზე პრესტიჟული ტიტული. უბრალოდ, ონილს საეჭვოდ არ გაუხდია თავისი პირველობა და ეს გუშინწინ ჩატარებულმა გამოკითხვამაც დაადასტურა. შაკმა 1210 შესაძლებლიდან 1207 ქულა დააგროვა. გამოკითხვაში 121 ამერიკელი და კანადელი კალათბურთზე მწერალი ჟურნალისტი მონაწილეობდა და მათგან 120-მა სწორედ ონილს მიაკუთვნა პირველი ადგილი, ერთმა კი მასზე წინ ფილადელფიელი ალენ აივერსონი დააყენა. შაკილმა ლამის სამჯერ მეტი ქულა დააგროვა, ვიდრე გამოკითხვაში მეორე ადგილზე გასულმა „მინესოტა ტიმბერვულვზის“ თავდამსხმელმა კევინ გარნეტმა. მხოლოდ მეოთხე ადგილი ერგო წინა სეზონის უძვირფასესს, კარლ მელოუნს. ალენ აივერსონი კი მედიამ სულაც მეშვიდე ადგილს დააჯერა.



შაკილ ონილმა დიდი უპირატესობით მოიგო უძვირფასესის ტიტული

უკვე განვლილ რეგულარულ ჩემპიონატში შაკილ ონილი იმდენად შეუდარებელი იყო, რომ უძვირფასესი მოთამაშის გამოკითხვა ფაქტობრივად ფორმალობად იქცა. შაკილის სეზონის სტატისტიკურად ასე გამოიყურება — საშუალოდ მატჩში დაგროვებული 29, 7 ქულა, რამაც მას მეორედ მოუტანა სეზონის ბომბარდირის წოდება (ეს მაჩვენებელი საუკეთესოა მის რვაწლიან კარიერაში), 13,6 მოხსნა, მეორე ადგილი მოხსნელთა შორის (ასევე საუკეთესო შედეგი კარიერაში) და 3,06 დაფარება, მესამე ადგილი ლიგაში. ონილი აგრეთვე პირველ ადგილზე გავიდა თამაშიდან ჩაგდებული სროლების 57,4 პროცენტით. შაკილ ონილი რეგულარულ სეზონში ექვსიდან სამჯერ გახდა თვის საუკეთესო მოთამაშე, სამჯერაც კვირის მოთამაშის წოდება ირგუნა. ამასთან იგი წლევანდელი „ოლ სტარის“ უძვირფასეს მოთამაშედაც აღიარეს ტიმ დანკანთან ერთად. ლეიკერსელის ბრწყინვალე თამაში, ცხადია, მისი გუნდის შედეგებზეც აისახა. „ლეიკერსმა“ სეზონში 82 თამაშდან 67 მოიგო და მხოლოდ 15 დათმო, რაც მეექვსე შედეგია ასოციაციის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში.

ამდენად, 216-სანტიმეტრიანი გიგანტის პირველობა ეჭვს არ იწვევს. „ერთადერთი, ვისაც შაკილ ონილის გაჩერება შეუძლია, ეს თავად შაკილ ონილია“ — ამბობს მისი თანაგუნდელი გლენ რაისი. „ღმერთო ჩემო, მე მრცხვენია იმ ერთი კაცის მაგივრად, რომელმაც გამოკითხვაში შაკის პირველობას ხმა არ მისცა. როდესაც მის თამაშს ვუყურებ, ხანდახან ეჭვი მეპარება, იყო თუ არა უილტ ჩემბერლენი პირველი ცენტრი“ — ამ სიტყვების მთქმელ ლეგენდარულ ჯერი ვესტს 60-70-იან წლებში დიდი ჩემბერლენის მხარდამხარ უთამაშია და 1972 წელს მასთან ერთად „ლეიკერსი“ ჩემპიონი გაუხდია. ახლა ჯერი ვესტი მშობლიური „ლეიკერსის“ გენერალური მენეჯერია და ლამის ყოველდღე უყურებს შაკის სასწაულებს. ამდენად სხვაზე კარგადაც შეუძლია 60-იანი და 90-იანი წლების ეს ორი დიდი ცენტრი ერთმანეთს შეადაროს. თავად ონილი, ცხადია, გაახარა ამ წარმატებამ, თუმც თქვა, ეს ჩემთვის მოულოდნელობა არ ყოფილაო. ისე, არც თავმდაბლობა დავიწყებია: „მინდა, მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც პირველი ადგილი მომცა და იმ ერთ ბიჭსაც, რომელმაც მეორე ადგილზე გამიყვანა“.

აღსანიშნავია, რომ ონილი პირველი ლეიკერსელია, ვინც ბოლო ათი წლის განმავლობაში სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული ირგუნა. ბოლოს ეს პატივი ლეიკერსელთაგან ლეგენდარულ მეჯიქ ჯონსონს ხვდა წილად 1990 წელს. ლეიკერსის მოთამაშეებს სულ შვიდჯერ უმარჯვიათ სეზონის უძვირფასესი მოთამაშის გამოკითხვაში — ონილს ერთხელ, სამჯერ ქარიმ აბდულ-ჯაბარს და ამდენჯერვე მეჯიქ ჯონსონს.

**ივანე ძოწიაშვილი**

საბერძნეთი

# მიბაძეთ ალვერტისს: იქორწინეთ მატჩის წინ!

პლეი ოფის ნახევარფინალი
(ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 2 |
| აეკ | 1 |

**პანათინაიკოსი 88:60 აეკ**

პანათინაიკოსი: ალვერტისი (22), კოჩი (6), როჯერსი (9), ფოცისი (5), ჯენტილე (5), ბოდიროგა (18), რებრაჩა (9), ბერკი (8), კატაში (6)

აეკ: პაპანიკოლოპულოსი (6), ჰანსელი (2), კიკილიასი (2), ოსალივანი (4), ხაძისი (5), კორონიოსი (14), დიკუდისი (4), ცაკალიდისი (4), მიუურსეპი (8), კაკიუზისი (7), ბოუი (4)

სად საბერძნეთის საკალათბურთო ჩემპიონატი და სად ქართული ფეხბურთი, თუმცა „პანათინაიკოს“-აეკ-ის ნახევარფინალის გადამწყვეტი მატჩის წინ მომხდარმა ამბავმა რაღაც საერთო გამოკვეთა.

გადამწყვეტი მატჩის წინა დღეს „პანათინაიკოსის“ კაპიტანმა, 26 წლის ფრაგისკოს ალვერტისმა ცოლი მოიყვანა. მან უნივერსიტეტის თანაჯგუფელ ანტა ტომაზე იქორწინა და სახელდახელოდ გამართულ წვეულებაზე 500 კაცი დაპატიჟა. ამჯერად ეს ვიკმარეთ, ცოტა ხანში კი უფრო დიდ ქორწილს გადავიხდითო, დაპირდა ალვერტისი ხალხს. მეორე დღეს კი „პანათინაიკოსს“ მეტად მძიმე და სერიოზული მატჩი ელოდა აეკ-თან: წაგებული ფინალს მიღმა რჩებოდა.

ერთი ქართველი საფეხბურთო მწვრთნელი გაგვახსენდა, რომელიც კატეგორიულად უშლიდა თავის მოთამაშეებს დაქორწინებას და ვინც არ დაემორჩილებოდა, უკეთეს შემთხვევაში, კარგა ხნით (ან სამუდამოდ) სათადარიგოთა სკამზე ისტუმრებდა. ალვერტისს წვეულებაზე „პანათინაიკოსის“ იუგოსლაველი მწვრთნელი ჟელკო ობრადოვიჩიც ჰყავდა დაპატიჟებული. ჩვენთვის უცნობია, ითამადა თუ არა ობრადოვიჩმა ალვერტისის ქორწილში, მაგრამ იქ რომ გახლდათ, ეს უეჭველია.

წესით, ალვერტისს გადამწყვეტი მატჩი არ უნდა ეთამაშა, ის კი არა, ჩვენებური მწვრთნელის ლოგიკით, ახალი გუნდის ძებნა უნდა დაეწყო... მაგრამ, ალვერტისსა და ქართველ ფეხბურთელებს შორის ზუსტად იმდენი სხვაობაა, რამდენიც ბერძნულ კალათბურთსა და ქართულ ფეხბურთს შორის. ალვერტისმა აეკ-ის წინააღმდეგ უკაპიტნა „პანათინაიკოსს“ და 22 ქულა გააკეთა. მეტიც, სიძემ ექვსიდან ექვსი სამქულიანი ჩააგდო, აეკი წელში გატეხა და თავისიანები ფინალში გაიყვანა. ისიც გავიხსენოთ, რომ ობრადოვიჩმა ევროლიგის ფინალის წინა დღეს თავის გუნდის ტომით ებრაელი მოთამაშე ოდედ კატაში ებრაელთა რელიგიურ დღესასწაულ ფესახის აღსანიშნავად თელ ავივის „მაკაბის“ კალათბურთელებთან და მწვრთნელებთან გაუშვა. არადა, „პანათინაიკოსი“ ფინალში „მაკაბის“ ხვდებოდა, ხოლო თავად კატაში წინა სეზონში მაკაბელი იყო.



ყოჩაღ, სიძე: ფრაგისკოს ალვერტისმა „პანათინაიკოსი“ ფინალში გაიყვანა

„პანათინაიკოსმა“ პირველივე წამებიდან გააფთრებით შეუტია და 13:0 დაწინაურდა. მერე იყო 21-ქულიანი უპირატესობა (43:22). ფრაგისკოს ალვერტისმა ყველა დაჩრდილა და ზუსტი სროლების გაკვეთილი ჩაატარა. „პანათინაიკოსმა“ ტაიმი 45:25 მოიგო, შესვენების შემდეგ კი უფრო და უფრო ზრდიდა ანგარიშში სხვაობას. აეკ-ს მატჩის და სერიის გადარჩენის თეორიული შანსიც არ ჰქონია. ის კი არა, დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე 35 ქულით აგებდა (75:40).

„პანათინაიკოსი“ ფინალში გავიდა, სადაც სალონიკის პაოკ-ს დაუპირისპირდება. ათენელებს საკუთარი მოედნის უპირატესობა აქვთ. აეკი კი მესამე ადგილს და, ამასთან ერთად, სუპერლიგის საგზურს შეეცილება პირეოსის „ოლიმპიაკოსს“.

პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# ცემა-ტყეპა მაიამიში

დასავლეთი

9 მაისი

| | |
|---|---|
| პორტლენდი | 2 |
| იუტა | 0 |

**პორტლენდი 103:85 იუტა**

პორტლენდი: სტუდემაიერი (9), სმიტი (19), პიპენი (5), ვოლესი (14), საბონისი (10); ველსი (17), შრემპფი (13), ენტონი (13), ონილი (2), ოგმონი (1), ბ. გრანტი, გ. გრანტი

იუტა: სტოქტონი (9), ჰორნაჩეკი (2), რასელი (12), მელოუნი (15), პოლინაისი (2); ვონი (10), ეისლი (9), პადჯეტი (8), ოსტერტაგი (7), ლუისი (6), გილიამი (5)

„იუტასთან“ პირველი გამარჯვების შემდეგ „პორტლენდის“ მთავარი მწვრთნელი მაიკ დანლივი შიშობდა, დღეს ჩვენ „იუტას“ ნამდვილი თამაში ვერ ვნახეთ, მეორედ გაცილებით მეტი ჯაფა დაგვადგება, ამიტომაც განსაკუთრებულად უნდა მოვემზადოთო. პორტლენდელთა თავკაცის შიში უსაფუძვლო გამოდგა, „ჯაზმა“ კიდევ უფრო ცუდად ითამაშა, ვიდრე წინა შეხვედრაში და პორტლენდში მეორე წაგებით შემდეგ წრეში გასვლის შანსი კიდევ უფრო შეიმცირა. როგორც ჩანს, პირველ წრეში „სიეტლის“ ძლევას კარლ მელოუნმა და კომპანიამ დიდი ძალა შეალიეს და ახლა ჭირის წელში გამართვა, მით უმეტეს მაშინ, როცა მეტოქე „პორტლენდია“.

„თხუთმეტი წელია, „იუტაში“ ვარ და ამაზე საუკეთესო გუნდურ თამაშს ვერ ვიხსენებ. დღეს მათ დაცვაში პირდაპირ სული ამოგვხადეს“ — ამბობს „იუტა ჯაზის“ დამრიგებელი ჯერი სლოუნი და „პორტლენდს“ ლიგის ყველაზე შეკრულ გუნდად მოიხსენიებს. „იუტას“ თამაშის სტილიც ხომ ასეთია, მაგრამ... ლიგის ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი გამთამაშებელი ჯონ სტოქტონი თავისივე ლანდს ჰგავდა. მან ვერა და ვერ დაალაგა თამაში და მისი გუნდიც მთელი 48 წუთის განმავლობაში არეულად ირჯებოდა. მასპინძლებმა წარმატებით გადაჭრეს მეტოქის მეორე ლიდერის, კარლ მელოუნის პრობლემაა. მხცოვან მელოუნს ხან მაღალი და გამხდარი რაშიდ ვოლესი მეურვეობდა, ხან შედარებით დაბალი და ჯანიანი ბრაიან გრანტი, ხანაც ორივე ერთად. მათ მარწუხებში მოქცეულმა „ფოსტალიონმა“ წლევანდელ პლეი ოფში უარესი მატჩი ჩაატარა და სულ 15 ქულას და სამ მოხსნას დასჯერდა.

ამ დროს კი, როცა სტუმრები ერთ გაწამაწიაში იყვნენ, მასპინძელი გუნდი წუთიდან წუთამდე ზრდიდა სხვაობას. იმ დღეს „პორტლენდი“ ყველაფერს აკეთებდა, რასაც მოისურვებდა. მატჩის ბოლო მეოთხედის დასაწყისში, როდესაც მასპინძელთა სათადარიგო ბონზი ველსმა სამიანი ჩააგდო, „პორტლენდი“ 33 ქულით გავიდა წინ — 96:63. თამაშმა საერთოდ დაკარგა აზრი. 20 463-კაციანმა დარბაზმა „როუზ გარდენმა“ კი თავისიანთა ქომაგობა შეწყვიტა და აგუგუნდა — „დასცხეთ „ლეიკერსს“, დასცხეთ „ლეიკერსს“!“ პორტლენდში „იუტას“ უკვე მეტოქედ აღარც მიიჩნევენ და თავიანთ რჩეულთაგან შემდეგ წრეში „ლეიკერსის“ დამარცხებას მოითხოვენ. ისე, იქ ჯერ არც „პორტლენდია“ და არც „ლეიკერსი“.



პორტლენდი — იუტა. უტევს პორტლენდელი არვიდას საბონისი

აღმოსავლეთი

9 მაისი

| | |
|---|---|
| მაიამი | 1 |
| ნიუ იორკი | 1 |

**მაიამი 76:82 ნიუ იორკი**

მაიამი: ჰარდევეი (13), მარლი (3), მაშბურნი (25), ბრაუნი (4), მურნინგი (17 ქულა, 17 მოხსნა, 4 დაფარება); კარტერი (6), ვეზერსპუნი (5), ტორპი (3), ბოუენი

ნიუ იორკი: ვორდი (13), ჰიუსტონი (12), სპრიუელი (11), ჯონსონი (12), იუინგი (13); კემბი (10), ტომასი (6), ჩაილდსი (5)

„მაიამი“ — „ნიუ იორკის“ წყვილი კონფერენციების ნახევარფინალებში ანუ მეორე წრეში მოთამაშე წყვილებიდან ყველაზე თანაბარძალოვანია და ყველაზე დაძაბული ბრძოლაც მათ შორის გაჩაღდა. ამჯერად გამარჯვება „ნიუ იორკს“ ხვდა წილად. ეს გუნდები ზედიზედ მეოთხედ ხვდებიან ერთმანეთს პლეი ოფში და „მაიამიმ“ მესამედ დაკარგა მოედნის უპირატესობა. ახლა თუ საქმე ბოლო, გადამწვეტ თამაშამდე მივიდა, დარჩენილი ხუთი შეხვედრიდან „ნიუ იორკი“ სამს შინ თამაშობს.

მატჩი უკიდურესად დაძაბული გამოდგა და ორივე გუნდს გვარიანად დააწყდა ნერვები, განსაკუთრებით მასპინძლებს და მათ ლიდერს, სეზონის უძვირფასესი მოთამაშის გამოსავლენ გამოკითხვაში მესამე ადგილზე გასულ ალონზო მურნირგს. მან ააცილა თავისი პირველი ათი სროლა თამაშიდან, სულ 18-დან ხუთი ჩააგდო. მართალია, „მაიამი“ სოლიდურ უპირატესობას ფლობდა ფარქვეშ, ჯანიანი მურნინგი აშკარად სჯობდა ბებერ პატრიკ იუინგს, მაგრამ ამას ვერ იყენებდა, თავის აცილებულ სროლას თვითონვე ხსნიდა, შემდეგ ისევ აცილებდა, ხსნიდა და ასე შემდეგ. ამ მხრივ სტუმრებიც ბევრს სცოდავდნენ და ეს უშლიდათ ხელს, მნიშვნელოვანი სხვაობით დაწინაურებულიყვნენ. მიუხედავად ამისა, „ნიქსი“ თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში წინ იყო. მესამე მეოთხედის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე მურნინგმა თავისივე აცილებულ სროლას დაამატა და სხვაობა ერთ ქულამდე დაიყვანა, მაგრამ ამის შემდეგ მასპინძლებმა მესამე მეოთხედის დასასრული და მეოთხეს საწყისი წუთები 23:6 დათმეს და ანგარიშიც 74:56 გახდა. „მაიამი“ არ ცხრებოდა და სხვაობამ თანდათან კლება იწყო, თუმც მასპინძლებმა მხოლოდ ხუთ ქულამდე შეამცირეს ჩამორჩენა. თავისივე უხეირო თამაშით გაცეცხლებულმა მურნინგმა უხეშობას მიჰყო ხელი, ფარქვეშ რამდენჯერმე უთავაზა მუჯლუგუნი მეტოქე გუნდის კალათბურთელებს, ერთხელ კი მარკუს კემბის ვითომ შემთხვევით სახეში იდაყვი სთხლიშა და მოედნიდან გასატანი გახადა. კემბი აღარც დაბრუნებულა. არც სტუმრები აკლებდნენ ხელს მაიამელებს. იუინგმა თავისი მძიმე მარჯვენა უთავაზა ჯამალ მაშბურნს, ძირს დასცა და ისე აართვა ბურთი, თუმცა ამგვარი უხეშობანი რატომღაც მსაჯთა ყურადღების მიღმა რჩებოდა.

სერიის მომდევნო თამაში 12 მაისს ნიუ იორკში გაიმართება.

**ირაკლი ფირაშვილი**

„კროკოს“ მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე
(კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში)
11[00] საათიდან 18[00] საათამდე მუშაობს


### ინგლისი. პირველი დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 46 | 27 | 10 | 9 | 79:45 | 91 | 15 | 3 | 5 | 37:18 | 12 | 7 | 4 | 42:27 |
| სიტი | 46 | 26 | 11 | 9 | 78:40 | 89 | 17 | 2 | 4 | 48:17 | 9 | 9 | 5 | 30:23 |
| იფსვიჩი | 46 | 25 | 12 | 9 | 71:42 | 87 | 16 | 3 | 4 | 39:17 | 9 | 9 | 5 | 32:25 |
| ბარნსლი | 46 | 24 | 10 | 12 | 88:67 | 82 | 15 | 4 | 4 | 48:24 | 9 | 6 | 8 | 40:43 |
| ბირმინგემი | 46 | 22 | 11 | 13 | 65:44 | 77 | 15 | 5 | 3 | 37:16 | 7 | 6 | 10 | 28:28 |
| ბოლტონი | 46 | 21 | 13 | 12 | 69:50 | 76 | 14 | 5 | 4 | 43:26 | 7 | 8 | 8 | 26:24 |
| ვულვზი | 46 | 21 | 11 | 14 | 64:48 | 74 | 15 | 5 | 3 | 45:20 | 6 | 6 | 11 | 19:28 |
| ჰადერსფილდი | 46 | 21 | 11 | 14 | 62:49 | 74 | 14 | 5 | 4 | 43:21 | 7 | 6 | 10 | 19:28 |
| ფულემი | 46 | 17 | 16 | 13 | 49:41 | 67 | 13 | 7 | 3 | 33:13 | 4 | 9 | 10 | 16:28 |
| ქუინზ პარკი | 46 | 16 | 18 | 12 | 62:53 | 66 | 9 | 12 | 2 | 30:20 | 7 | 6 | 10 | 32:33 |
| ბლექბერნი | 46 | 15 | 17 | 14 | 55:51 | 62 | 10 | 9 | 4 | 33:20 | 5 | 8 | 10 | 22:31 |
| ნორვიჩი | 46 | 14 | 15 | 17 | 45:50 | 57 | 11 | 6 | 6 | 26:22 | 3 | 9 | 11 | 19:28 |
| ტრანმერი | 46 | 15 | 12 | 19 | 57:68 | 57 | 10 | 8 | 5 | 35:27 | 5 | 4 | 14 | 22:41 |
| ნოტინგემი | 46 | 14 | 14 | 18 | 53:55 | 56 | 9 | 10 | 4 | 29:18 | 5 | 4 | 14 | 24:37 |
| კრ. პალასი | 46 | 13 | 15 | 18 | 57:67 | 54 | 7 | 11 | 5 | 33:26 | 6 | 4 | 13 | 24:41 |
| შეფილდ იუნ. | 46 | 13 | 15 | 18 | 59:71 | 54 | 10 | 8 | 5 | 38:24 | 3 | 7 | 13 | 21:47 |
| სტოკპორტი | 46 | 13 | 15 | 18 | 55:67 | 54 | 8 | 8 | 7 | 33:31 | 5 | 7 | 11 | 22:36 |
| პორტსმუთი | 46 | 13 | 12 | 21 | 55:66 | 51 | 9 | 6 | 8 | 36:27 | 4 | 6 | 13 | 19:39 |
| ქრიუ | 46 | 14 | 9 | 23 | 46:67 | 51 | 9 | 5 | 9 | 27:31 | 5 | 4 | 14 | 19:36 |
| გრიმსბი | 46 | 13 | 12 | 21 | 41:67 | 51 | 10 | 8 | 5 | 27:25 | 3 | 4 | 16 | 14:42 |
| ვესტ ბრომი | 46 | 10 | 19 | 17 | 43:60 | 49 | 7 | 11 | 6 | 27:27 | 3 | 8 | 11 | 16:33 |
| უოლსოლი | 46 | 11 | 13 | 22 | 52:77 | 46 | 7 | 6 | 10 | 26:34 | 4 | 7 | 12 | 26:43 |
| პორტველი | 46 | 7 | 15 | 24 | 48:69 | 36 | 6 | 6 | 11 | 27:30 | 1 | 9 | 13 | 21:39 |
| სუინდონი | 46 | 8 | 12 | 26 | 38:77 | 36 | 5 | 6 | 12 | 23:37 | 3 | 6 | 14 | 15:40 |

### ინგლისი. მეორე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პრესტონი | 46 | 28 | 11 | 7 | 74:37 | 95 | 15 | 4 | 4 | 37:23 | 13 | 7 | 3 | 37:14 |
| ბარნლი | 46 | 25 | 13 | 8 | 69:47 | 88 | 16 | 3 | 4 | 42:23 | 9 | 10 | 4 | 27:24 |
| ჯილინგემი | 46 | 25 | 10 | 11 | 79:48 | 85 | 16 | 3 | 4 | 46:21 | 9 | 7 | 7 | 33:27 |
| უიგანი | 46 | 22 | 17 | 7 | 72:38 | 83 | 15 | 3 | 5 | 37:14 | 7 | 14 | 2 | 35:24 |
| მილუოლი | 46 | 23 | 13 | 10 | 76:50 | 82 | 14 | 7 | 2 | 41:18 | 9 | 6 | 8 | 35:32 |
| სტოკი | 46 | 23 | 13 | 10 | 68:42 | 82 | 13 | 7 | 3 | 37:18 | 10 | 6 | 7 | 31:24 |
| როვერსი | 46 | 23 | 11 | 12 | 69:45 | 80 | 13 | 7 | 3 | 34:19 | 10 | 4 | 9 | 35:26 |
| ნოტსი | 46 | 18 | 11 | 17 | 61:55 | 65 | 9 | 6 | 8 | 32:27 | 9 | 5 | 9 | 29:28 |
| ბრისტოლი | 46 | 15 | 19 | 12 | 59:57 | 64 | 7 | 14 | 2 | 31:18 | 8 | 5 | 10 | 28:39 |
| რედინგი | 46 | 16 | 14 | 16 | 55:63 | 62 | 10 | 9 | 4 | 28:18 | 6 | 5 | 12 | 29:45 |
| რექსჰემი | 46 | 17 | 11 | 18 | 52:60 | 62 | 9 | 6 | 8 | 23:24 | 8 | 5 | 10 | 29:37 |
| უიკომბი | 46 | 16 | 13 | 17 | 56:53 | 61 | 11 | 4 | 8 | 32:24 | 5 | 9 | 9 | 24:29 |
| ლუტონი | 46 | 17 | 10 | 19 | 61:65 | 61 | 10 | 7 | 6 | 41:35 | 7 | 3 | 13 | 20:30 |
| ოლდემი | 46 | 16 | 12 | 18 | 50:55 | 60 | 8 | 5 | 10 | 27:28 | 8 | 7 | 8 | 23:27 |
| ბერი | 46 | 13 | 18 | 15 | 61:64 | 57 | 8 | 10 | 5 | 38:33 | 5 | 8 | 10 | 23:31 |
| ბორნმუთი | 46 | 16 | 9 | 21 | 59:62 | 57 | 11 | 6 | 6 | 37:19 | 5 | 3 | 15 | 22:43 |
| ბრენტფორდი | 46 | 13 | 13 | 20 | 47:61 | 52 | 8 | 6 | 9 | 27:31 | 5 | 7 | 11 | 20:30 |
| კოლჩესტერი | 46 | 14 | 10 | 22 | 59:82 | 52 | 10 | 4 | 9 | 36:40 | 5 | 6 | 12 | 23:42 |
| კემბრიჯი | 46 | 12 | 12 | 22 | 64:65 | 48 | 8 | 6 | 9 | 38:33 | 4 | 6 | 13 | 26:32 |
| ოქსფორდი | 46 | 12 | 9 | 25 | 43:73 | 45 | 6 | 5 | 12 | 24:38 | 6 | 4 | 13 | 19:35 |
| კარდიფი | 46 | 9 | 17 | 20 | 45:67 | 44 | 5 | 10 | 8 | 23:34 | 4 | 7 | 12 | 22:33 |
| ბლექპული | 46 | 8 | 17 | 21 | 49:77 | 41 | 4 | 10 | 9 | 26:37 | 4 | 7 | 12 | 23:40 |
| სკანთორპი | 46 | 9 | 12 | 25 | 40:74 | 39 | 4 | 6 | 13 | 16:34 | 5 | 6 | 12 | 24:40 |
| ჩესტერფილდი | 46 | 7 | 15 | 24 | 34:63 | 36 | 5 | 7 | 11 | 17:25 | 2 | 8 | 13 | 17:38 |

### ინგლისი. მესამე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სუონსი | 46 | 24 | 13 | 9 | 51:30 | 85 | 15 | 6 | 2 | 32:11 | 9 | 7 | 7 | 19:19 |
| როტერჰემი | 46 | 24 | 12 | 10 | 72:36 | 84 | 13 | 5 | 5 | 43:17 | 11 | 7 | 5 | 29:19 |
| ნორთჰემპტონი | 46 | 25 | 7 | 14 | 63:45 | 82 | 16 | 2 | 5 | 36:18 | 9 | 5 | 9 | 27:27 |
| დარლინგტონი | 46 | 21 | 16 | 9 | 66:36 | 79 | 13 | 9 | 1 | 43:15 | 8 | 7 | 8 | 23:21 |
| პიტერბორო | 46 | 22 | 12 | 12 | 63:54 | 78 | 14 | 4 | 5 | 39:30 | 8 | 8 | 7 | 24:24 |
| ბარნეტი | 46 | 21 | 12 | 13 | 59:53 | 75 | 12 | 6 | 5 | 36:24 | 9 | 6 | 8 | 23:29 |
| ჰარტლპული | 46 | 21 | 9 | 16 | 60:49 | 72 | 16 | 1 | 6 | 32:17 | 5 | 8 | 10 | 28:32 |
| ჩელტენემი | 46 | 20 | 10 | 16 | 50:42 | 70 | 13 | 4 | 6 | 28:17 | 7 | 6 | 10 | 22:25 |
| ტორკი | 46 | 19 | 12 | 15 | 62:52 | 69 | 12 | 6 | 5 | 35:20 | 7 | 6 | 10 | 27:32 |
| როჩდეილი | 46 | 18 | 14 | 14 | 57:54 | 68 | 8 | 7 | 8 | 21:25 | 10 | 7 | 6 | 36:29 |
| ბრაიტონი | 46 | 17 | 16 | 13 | 64:46 | 67 | 10 | 7 | 6 | 38:25 | 7 | 9 | 7 | 26:21 |
| პლიმუთი | 46 | 16 | 18 | 12 | 55:51 | 66 | 12 | 10 | 1 | 38:18 | 4 | 8 | 11 | 17:33 |
| მაკლსფილდი | 46 | 18 | 11 | 17 | 66:61 | 65 | 9 | 7 | 7 | 36:30 | 9 | 4 | 10 | 30:31 |
| ჰალი | 46 | 15 | 14 | 17 | 43:43 | 59 | 7 | 8 | 8 | 26:23 | 8 | 6 | 9 | 17:20 |
| ლინკოლნი | 46 | 15 | 14 | 17 | 67:69 | 59 | 11 | 6 | 6 | 38:23 | 4 | 8 | 11 | 29:46 |
| საუთენდი | 46 | 15 | 11 | 20 | 53:61 | 56 | 11 | 5 | 7 | 37:31 | 4 | 6 | 13 | 16:30 |
| მენსფილდი | 46 | 16 | 8 | 22 | 50:65 | 56 | 9 | 6 | 8 | 33:26 | 7 | 2 | 14 | 17:39 |
| ჰალიფაქსი | 46 | 15 | 9 | 22 | 44:58 | 54 | 7 | 5 | 11 | 22:24 | 8 | 4 | 11 | 22:34 |
| ლეიტონი | 46 | 13 | 13 | 20 | 47:52 | 52 | 7 | 7 | 9 | 22:22 | 6 | 6 | 11 | 25:30 |
| იორკი | 46 | 12 | 16 | 18 | 39:53 | 52 | 7 | 10 | 6 | 21:21 | 5 | 6 | 12 | 18:32 |
| ექსეტერი | 46 | 11 | 11 | 24 | 46:72 | 44 | 8 | 6 | 9 | 27:30 | 3 | 5 | 15 | 19:42 |
| შრიუსბერი | 46 | 9 | 13 | 24 | 40:67 | 40 | 5 | 6 | 12 | 20:27 | 4 | 7 | 12 | 20:40 |
| კარლაილი | 46 | 9 | 12 | 25 | 42:75 | 39 | 6 | 8 | 9 | 23:27 | 3 | 4 | 16 | 19:48 |
| ჩესტერი | 46 | 10 | 9 | 27 | 44:79 | 39 | 5 | 5 | 13 | 20:36 | 5 | 4 | 14 | 24:43 |

### საფრანგეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 33 | 20 | 5 | 8 | 68:35 | 65 | 13 | 4 | 0 | 37:11 | 7 | 1 | 8 | 31:24 |
| პსჟ | 33 | 16 | 9 | 8 | 52:38 | 57 | 11 | 4 | 2 | 30:17 | 5 | 5 | 6 | 22:21 |
| ლიონი | 33 | 16 | 7 | 10 | 43:40 | 55 | 10 | 5 | 2 | 24:11 | 6 | 2 | 8 | 19:29 |
| ბორდო | 33 | 15 | 8 | 10 | 51:39 | 53 | 11 | 3 | 3 | 32:15 | 4 | 5 | 7 | 19:24 |
| სტრასბური | 33 | 13 | 7 | 13 | 42:49 | 46 | 9 | 4 | 4 | 28:20 | 4 | 3 | 9 | 14:29 |
| ოსერი | 33 | 13 | 8 | 12 | 37:37 | 47 | 11 | 3 | 3 | 29:16 | 2 | 5 | 9 | 8:21 |
| სედანი | 33 | 13 | 8 | 12 | 41:42 | 47 | 9 | 4 | 3 | 22:14 | 4 | 4 | 9 | 19:28 |
| ლანსი | 33 | 13 | 7 | 13 | 39:41 | 46 | 8 | 3 | 5 | 25:19 | 5 | 4 | 8 | 14:22 |
| მეცი | 33 | 9 | 17 | 7 | 38:31 | 44 | 6 | 9 | 2 | 24:15 | 3 | 8 | 5 | 14:16 |
| ბასტია | 33 | 11 | 11 | 11 | 42:38 | 44 | 11 | 4 | 1 | 31:7 | 0 | 7 | 10 | 11:31 |
| სენტ ეტიენი | 33 | 12 | 9 | 12 | 43:46 | 45 | 6 | 5 | 5 | 25:22 | 6 | 4 | 7 | 18:26 |
| ტრუა | 33 | 13 | 3 | 17 | 34:50 | 42 | 9 | 1 | 6 | 21:17 | 4 | 2 | 11 | 13:33 |
| მარსელი | 33 | 9 | 14 | 10 | 43:43 | 41 | 6 | 7 | 4 | 28:19 | 3 | 7 | 6 | 15:24 |
| ნანტი | 33 | 11 | 7 | 15 | 38:40 | 40 | 9 | 2 | 6 | 27:17 | 2 | 5 | 9 | 11:23 |
| რენი | 33 | 11 | 7 | 15 | 42:48 | 40 | 9 | 3 | 4 | 30:18 | 2 | 4 | 11 | 12:30 |
| ნანსი | 33 | 10 | 9 | 14 | 41:45 | 39 | 7 | 4 | 5 | 23:18 | 3 | 5 | 9 | 18:27 |
| ლე ავრი | 33 | 9 | 7 | 17 | 30:51 | 34 | 7 | 4 | 5 | 18:14 | 2 | 3 | 12 | 12:37 |
| მონპელიე | 33 | 7 | 9 | 17 | 37:48 | 30 | 4 | 7 | 5 | 20:17 | 3 | 2 | 12 | 17:31 |

### შოტლანდია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 34 | 27 | 6 | 1 | 95:24 | 87 | 15 | 1 | 1 | 51:12 | 12 | 5 | 0 | 44:12 |
| სელტიკი | 34 | 20 | 5 | 9 | 88:38 | 65 | 11 | 3 | 3 | 56:17 | 9 | 2 | 6 | 32:21 |
| ჰარტსი | 34 | 14 | 9 | 11 | 45:38 | 51 | 6 | 6 | 5 | 23:17 | 8 | 3 | 6 | 22:21 |
| მოზერუელი | 34 | 12 | 10 | 12 | 45:62 | 46 | 7 | 3 | 7 | 25:34 | 5 | 7 | 5 | 20:28 |
| სტ. ჯონსტონი | 34 | 10 | 11 | 13 | 34:41 | 41 | 5 | 6 | 6 | 16:18 | 5 | 5 | 7 | 18:23 |
| ჰიბერნიანი | 34 | 10 | 11 | 13 | 48:58 | 41 | 7 | 6 | 5 | 30:27 | 3 | 5 | 8 | 18:31 |
| დანდი იუნ. | 34 | 11 | 6 | 17 | 33:53 | 39 | 6 | 4 | 7 | 15:20 | 5 | 2 | 10 | 18:33 |
| დანდი | 34 | 11 | 5 | 18 | 44:62 | 38 | 3 | 3 | 10 | 19:31 | 8 | 2 | 8 | 25:31 |
| კილმარნოკი | 34 | 7 | 13 | 14 | 34:45 | 34 | 4 | 5 | 8 | 13:20 | 3 | 8 | 6 | 21:25 |
| აბერდინი | 34 | 7 | 6 | 21 | 37:82 | 27 | 5 | 4 | 8 | 23:36 | 2 | 2 | 13 | 14:46 |

### იტალია, სერია B

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 33 | 17 | 6 | 10 | 58:37 | 57 | 13 | 2 | 1 | 39:12 | 4 | 4 | 9 | 19:25 |
| ბრეშა | 33 | 14 | 13 | 6 | 47:30 | 55 | 9 | 5 | 3 | 28:11 | 5 | 8 | 3 | 19:19 |
| ატალანტა | 33 | 15 | 9 | 9 | 43:31 | 54 | 11 | 3 | 2 | 29:14 | 4 | 6 | 7 | 14:17 |
| ნაპოლი | 33 | 14 | 11 | 8 | 45:38 | 53 | 9 | 6 | 1 | 26:13 | 5 | 5 | 7 | 19:25 |
| სამპდორია | 33 | 13 | 11 | 9 | 36:31 | 50 | 7 | 6 | 3 | 20:15 | 6 | 5 | 6 | 16:16 |
| სალერნიტანა | 33 | 13 | 10 | 10 | 50:45 | 49 | 10 | 5 | 2 | 32:15 | 3 | 5 | 8 | 18:30 |
| ტრევიზო | 33 | 12 | 10 | 11 | 43:39 | 46 | 11 | 4 | 1 | 31:13 | 1 | 6 | 10 | 12:26 |
| ჯენოა | 33 | 13 | 7 | 13 | 40:36 | 46 | 11 | 4 | 2 | 30:14 | 2 | 3 | 11 | 10:22 |
| რავენა | 33 | 10 | 13 | 10 | 32:30 | 43 | 8 | 6 | 2 | 18:7 | 2 | 7 | 8 | 14:23 |
| კიევო | 33 | 10 | 12 | 11 | 40:42 | 42 | 7 | 8 | 2 | 24:17 | 3 | 4 | 9 | 16:25 |
| ჩეზენა | 33 | 8 | 17 | 8 | 38:35 | 41 | 7 | 10 | 0 | 25:11 | 1 | 7 | 8 | 13:24 |
| მონცა | 33 | 8 | 17 | 8 | 36:37 | 41 | 6 | 11 | 0 | 20:12 | 2 | 6 | 8 | 16:25 |
| ემპოლი | 33 | 10 | 11 | 12 | 33:46 | 41 | 10 | 4 | 2 | 23:16 | 0 | 7 | 10 | 10:30 |
| პესკარა | 33 | 8 | 16 | 9 | 49:44 | 40 | 6 | 6 | 4 | 30:19 | 2 | 10 | 5 | 19:25 |
| კოზენცა | 33 | 9 | 13 | 11 | 28:35 | 40 | 8 | 5 | 3 | 16:10 | 1 | 8 | 8 | 12:25 |
| ტერნანა | 33 | 8 | 15 | 10 | 35:41 | 39 | 5 | 9 | 2 | 20:16 | 3 | 6 | 8 | 15:25 |
| პისტოიეზე | 33 | 11 | 9 | 13 | 33:37 | 38 | 9 | 5 | 3 | 20:12 | 2 | 4 | 10 | 13:25 |
| ალზანო | 33 | 9 | 11 | 13 | 31:41 | 38 | 8 | 4 | 5 | 23:23 | 1 | 7 | 8 | 8:18 |
| სავოია | 33 | 6 | 11 | 16 | 31:50 | 29 | 5 | 8 | 4 | 19:17 | 1 | 3 | 12 | 12:33 |
| ფერმანა | 33 | 6 | 10 | 17 | 32:55 | 28 | 6 | 5 | 6 | 19:21 | 0 | 5 | 11 | 13:34 |

### იტალია. სერია C1/a

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 33 | 16 | 10 | 7 | 39:21 | 58 | 12 | 3 | 2 | 28:9 | 4 | 7 | 5 | 11:12 |
| პიზა | 33 | 14 | 12 | 7 | 33:23 | 54 | 8 | 4 | 4 | 20:15 | 6 | 8 | 3 | 13:8 |
| ვარეზე | 33 | 13 | 14 | 6 | 42:26 | 53 | 9 | 6 | 2 | 23:11 | 4 | 8 | 4 | 19:15 |
| ჩიტადელა | 33 | 13 | 13 | 7 | 37:26 | 52 | 9 | 5 | 3 | 23:10 | 4 | 8 | 4 | 14:16 |
| ბრეშელო | 33 | 12 | 13 | 8 | 33:30 | 49 | 6 | 8 | 3 | 17:13 | 6 | 5 | 5 | 16:17 |
| ლუკეზე | 33 | 11 | 15 | 7 | 34:29 | 48 | 9 | 6 | 2 | 20:11 | 2 | 9 | 5 | 14:18 |
| ლივორნო | 33 | 10 | 15 | 8 | 38:33 | 45 | 7 | 6 | 4 | 23:16 | 3 | 9 | 4 | 15:17 |
| სპალ | 33 | 11 | 12 | 10 | 33:30 | 45 | 7 | 6 | 3 | 17:10 | 4 | 6 | 7 | 16:20 |
| კომო | 33 | 9 | 17 | 7 | 29:24 | 44 | 5 | 10 | 2 | 14:10 | 4 | 7 | 5 | 15:14 |
| ალბინოლეფე | 33 | 10 | 12 | 11 | 32:34 | 42 | 7 | 5 | 4 | 21:14 | 3 | 7 | 7 | 10:14 |
| მოდენა | 33 | 9 | 14 | 10 | 24:31 | 41 | 4 | 9 | 4 | 11:13 | 5 | 5 | 6 | 13:18 |
| ლუმეცანე | 33 | 8 | 14 | 11 | 29:34 | 38 | 5 | 7 | 5 | 17:15 | 3 | 7 | 6 | 12:19 |
| კარარეზე | 33 | 8 | 14 | 11 | 29:35 | 38 | 4 | 10 | 2 | 18:14 | 4 | 4 | 9 | 11:21 |
| რეჯანა | 33 | 9 | 10 | 14 | 32:36 | 37 | 7 | 4 | 5 | 19:15 | 2 | 6 | 9 | 13:21 |
| ლეკო | 33 | 7 | 14 | 12 | 24:36 | 35 | 3 | 9 | 4 | 10:14 | 4 | 5 | 8 | 14:22 |
| კრემონეზე | 33 | 6 | 16 | 11 | 26:35 | 34 | 4 | 9 | 3 | 16:15 | 2 | 7 | 8 | 10:20 |
| მონტევარკი | 33 | 5 | 14 | 14 | 24:38 | 29 | 4 | 7 | 5 | 14:16 | 1 | 7 | 9 | 10:22 |
| სანდონა | 33 | 3 | 17 | 13 | 23:40 | 26 | 2 | 9 | 5 | 13:16 | 1 | 8 | 8 | 10:24 |

### იტალია. სერია C1/b

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კროტონე | 33 | 18 | 12 | 3 | 61:26 | 66 | 12 | 4 | 0 | 36:8 | 6 | 8 | 3 | 25:18 |
| ანკონა | 33 | 17 | 11 | 5 | 48:24 | 62 | 11 | 6 | 0 | 33:13 | 6 | 5 | 5 | 15:11 |
| ასკოლი | 33 | 12 | 17 | 4 | 50:29 | 53 | 6 | 8 | 2 | 29:15 | 6 | 9 | 2 | 21:14 |
| ვიტერბეზე | 33 | 14 | 11 | 8 | 45:36 | 53 | 9 | 7 | 1 | 28:13 | 5 | 4 | 7 | 17:23 |
| არეცო | 33 | 13 | 13 | 7 | 47:34 | 52 | 7 | 9 | 1 | 32:17 | 6 | 4 | 6 | 15:17 |
| კატანია | 33 | 12 | 13 | 8 | 39:30 | 49 | 8 | 6 | 2 | 23:12 | 4 | 7 | 6 | 16:18 |
| პალერმო | 33 | 12 | 13 | 8 | 27:23 | 49 | 8 | 6 | 2 | 17:7 | 4 | 7 | 6 | 10:16 |
| ნოჩერინა | 33 | 10 | 15 | 8 | 27:25 | 45 | 9 | 7 | 1 | 18:6 | 1 | 8 | 7 | 8:18 |
| სტაბია | 33 | 9 | 14 | 10 | 38:38 | 41 | 7 | 5 | 5 | 24:17 | 2 | 9 | 5 | 14:21 |
| აველინო | 33 | 10 | 11 | 12 | 31:33 | 41 | 8 | 5 | 3 | 22:12 | 2 | 6 | 9 | 9:21 |
| დი სანგრო | 33 | 9 | 13 | 11 | 29:36 | 40 | 7 | 4 | 6 | 20:20 | 2 | 9 | 5 | 9:16 |
| ჯულიანოვა | 33 | 10 | 10 | 13 | 34:42 | 40 | 7 | 5 | 4 | 16:11 | 3 | 5 | 9 | 18:31 |
| ბენევენტო | 33 | 8 | 14 | 11 | 27:32 | 38 | 6 | 7 | 3 | 18:11 | 2 | 7 | 8 | 9:21 |
| ლოდიჯანი | 33 | 9 | 11 | 13 | 38:46 | 38 | 7 | 4 | 5 | 21:18 | 2 | 7 | 8 | 17:28 |
| ფ. ანდრია | 33 | 7 | 13 | 13 | 30:40 | 34 | 5 | 8 | 4 | 17:16 | 2 | 5 | 9 | 13:24 |
| გუალდო | 33 | 6 | 14 | 13 | 32:44 | 32 | 5 | 10 | 2 | 17:13 | 1 | 4 | 11 | 15:31 |
| ატლეტიკო | 33 | 5 | 10 | 18 | 24:48 | 25 | 4 | 5 | 8 | 15:24 | 1 | 5 | 10 | 9:24 |
| მარსალა | 33 | 5 | 7 | 21 | 22:63 | 22 | 2 | 5 | 9 | 10:20 | 3 | 2 | 12 | 12:43 |

### გერმანია. მეორე ბუნდესლიგა

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 30 | 17 | 8 | 5 | 59:31 | 59 | 11 | 4 | 0 | 39:10 | 6 | 4 | 5 | 20:21 |
| ბოხუმი | 30 | 16 | 6 | 8 | 58:43 | 54 | 10 | 1 | 4 | 36:22 | 6 | 5 | 4 | 22:21 |
| კოტბუსი | 30 | 14 | 4 | 12 | 52:37 | 46 | 10 | 2 | 2 | 32:13 | 4 | 2 | 10 | 20:24 |
| ნიურნბერგი | 30 | 12 | 10 | 8 | 46:43 | 46 | 10 | 5 | 0 | 34:16 | 2 | 5 | 8 | 12:27 |
| გლადბახი | 29 | 11 | 12 | 6 | 49:37 | 45 | 9 | 3 | 3 | 32:16 | 2 | 9 | 3 | 17:21 |
| ალემანია | 30 | 12 | 9 | 9 | 42:45 | 45 | 8 | 4 | 3 | 25:14 | 4 | 5 | 6 | 17:31 |
| ჰანოვერი | 30 | 12 | 7 | 11 | 50:47 | 43 | 7 | 4 | 4 | 30:24 | 5 | 3 | 7 | 20:23 |
| ბერლინი | 30 | 10 | 10 | 10 | 39:42 | 40 | 8 | 4 | 3 | 23:17 | 2 | 6 | 7 | 16:25 |
| ობერჰაუზენი | 30 | 9 | 12 | 9 | 34:32 | 39 | 7 | 6 | 2 | 23:14 | 2 | 6 | 7 | 11:18 |
| ვალდჰოფი | 29 | 9 | 12 | 8 | 43:44 | 39 | 8 | 5 | 1 | 30:19 | 1 | 7 | 7 | 13:25 |
| ფიურტი | 30 | 8 | 15 | 7 | 34:35 | 39 | 3 | 11 | 1 | 11:7 | 5 | 4 | 6 | 23:28 |
| მაინცი | 30 | 8 | 12 | 10 | 35:35 | 36 | 6 | 8 | 1 | 20:9 | 2 | 4 | 9 | 15:26 |
| ქემნიცი | 30 | 9 | 9 | 12 | 38:43 | 36 | 6 | 6 | 3 | 28:19 | 3 | 3 | 9 | 10:24 |
| ზტ. პაული | 30 | 7 | 14 | 9 | 29:34 | 35 | 3 | 9 | 3 | 12:13 | 4 | 5 | 6 | 17:21 |
| კიკერსი | 30 | 9 | 7 | 14 | 45:52 | 34 | 8 | 3 | 4 | 27:22 | 1 | 4 | 10 | 18:30 |
| ოფენბახი | 30 | 7 | 11 | 12 | 30:49 | 32 | 7 | 3 | 6 | 20:23 | 0 | 8 | 6 | 10:26 |
| ფორტუნა | 30 | 5 | 11 | 14 | 28:45 | 26 | 5 | 6 | 4 | 19:17 | 0 | 5 | 10 | 9:28 |
| კარლსრუე | 30 | 4 | 11 | 15 | 32:49 | 23 | 3 | 6 | 6 | 12:15 | 1 | 5 | 9 | 20:34 |

### რუსეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 7 | 6 | 1 | 0 | 17:4 | 19 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 3 | 0 | 0 | 10:2 |
| ლოკომოტივი | 7 | 6 | 1 | 0 | 10:0 | 19 | 4 | 0 | 0 | 5:0 | 2 | 1 | 0 | 5:0 |
| დინამო | 7 | 4 | 2 | 1 | 5:4 | 14 | 2 | 2 | 0 | 3:0 | 2 | 0 | 1 | 2:4 |
| ანჟი | 7 | 4 | 1 | 2 | 7:5 | 13 | 3 | 1 | 0 | 4:1 | 1 | 0 | 2 | 3:4 |
| ჩერნომორეცი | 7 | 3 | 3 | 1 | 9:2 | 12 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 1 | 3 | 0 | 3:0 |
| ტორპედო | 7 | 3 | 3 | 1 | 7:3 | 12 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 1 | 2 | 1 | 2:1 |
| როსტსელმაში | 7 | 2 | 4 | 1 | 6:4 | 10 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 1 | 2 | 1 | 3:3 |
| რი ტორი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:14 | 10 | 2 | 0 | 2 | 5:11 | 1 | 1 | 1 | 2:3 |
| ფაკელი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:10 | 9 | 2 | 2 | 0 | 7:5 | 0 | 1 | 2 | 2:5 |
| ზენიტი | 7 | 2 | 2 | 3 | 4:6 | 8 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 1 | 1 | 2 | 3:5 |
| სატურნი | 7 | 2 | 2 | 3 | 3:6 | 8 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 0 | 1 | 3 | 0:6 |
| კრილია | 7 | 2 | 0 | 5 | 6:9 | 6 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 0 | 0 | 3 | 2:6 |
| ურალანი | 7 | 1 | 2 | 4 | 4:7 | 5 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 1 | 3 | 2:5 |
| ნ. ნოვგოროდი | 7 | 0 | 4 | 3 | 3:6 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 0 | 2 | 1 | 1:2 |
| ალანია | 7 | 0 | 2 | 5 | 6:13 | 2 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 0 | 1 | 3 | 3:8 |
| ცსკა | 7 | 0 | 1 | 6 | 1:11 | 1 | 0 | 1 | 2 | 0:5 | 0 | 0 | 4 | 1:6 |

### ესპანეთი. მეორე დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლას პალმასი | 38 | 18 | 11 | 9 | 52:34 | 65 | 9 | 6 | 4 | 26:15 | 9 | 5 | 5 | 26:19 |
| ვილიარეალი | 38 | 17 | 10 | 11 | 55:41 | 61 | 10 | 5 | 4 | 26:17 | 7 | 5 | 7 | 29:24 |
| ოსასუნა | 38 | 18 | 6 | 14 | 41:32 | 60 | 11 | 3 | 5 | 24:11 | 7 | 3 | 9 | 17:21 |
| ესტრემადურა | 38 | 16 | 12 | 10 | 45:39 | 60 | 12 | 7 | 0 | 30:9 | 4 | 5 | 10 | 15:30 |
| სალამანკა | 38 | 16 | 11 | 11 | 47:38 | 59 | 10 | 4 | 5 | 27:16 | 6 | 7 | 6 | 20:22 |
| ლეიდა | 38 | 16 | 8 | 14 | 58:48 | 56 | 10 | 5 | 4 | 33:18 | 6 | 3 | 10 | 25:30 |
| სპორტინგი | 38 | 16 | 7 | 15 | 48:43 | 55 | 9 | 3 | 7 | 26:19 | 7 | 4 | 8 | 22:24 |
| ლევანტე | 38 | 14 | 13 | 11 | 48:45 | 55 | 11 | 6 | 2 | 31:13 | 3 | 7 | 9 | 17:32 |
| მერიდა | 38 | 14 | 13 | 11 | 36:33 | 55 | 8 | 7 | 4 | 21:14 | 6 | 6 | 7 | 15:19 |
| კორდობა | 38 | 14 | 12 | 12 | 41:39 | 54 | 10 | 3 | 6 | 25:23 | 4 | 9 | 6 | 16:16 |
| ლეგანესი | 38 | 14 | 13 | 11 | 39:39 | 52 | 9 | 7 | 3 | 20:8 | 5 | 6 | 8 | 19:31 |
| ტენერიფე | 38 | 13 | 11 | 14 | 45:44 | 50 | 9 | 6 | 4 | 31:18 | 4 | 5 | 10 | 14:26 |
| ალბასეტე | 38 | 12 | 14 | 12 | 45:50 | 50 | 7 | 7 | 4 | 22:19 | 5 | 7 | 8 | 23:31 |
| ბადახოსი | 38 | 9 | 21 | 8 | 33:33 | 48 | 4 | 10 | 5 | 18:22 | 5 | 11 | 3 | 15:11 |
| ეიბარი | 38 | 11 | 15 | 12 | 40:46 | 48 | 7 | 8 | 4 | 21:16 | 4 | 7 | 8 | 19:30 |
| ელჩე | 38 | 10 | 17 | 11 | 41:47 | 47 | 6 | 9 | 4 | 23:24 | 4 | 8 | 7 | 18:23 |
| ატლეტიკო B | 38 | 12 | 9 | 17 | 40:53 | 45 | 7 | 4 | 8 | 26:27 | 5 | 5 | 9 | 14:26 |
| ხეტაფე | 38 | 12 | 8 | 18 | 35:43 | 44 | 8 | 4 | 7 | 21:18 | 4 | 4 | 11 | 14:25 |
| კომპოსტელა | 38 | 9 | 16 | 13 | 44:50 | 43 | 6 | 7 | 6 | 25:22 | 3 | 9 | 7 | 19:28 |
| ლოგრონიესი | 38 | 10 | 12 | 16 | 48:51 | 42 | 7 | 8 | 4 | 29:23 | 3 | 4 | 12 | 19:28 |
| უელვა | 38 | 11 | 9 | 18 | 38:48 | 42 | 5 | 5 | 9 | 22:25 | 6 | 4 | 9 | 16:23 |
| ტოლედო | 38 | 8 | 8 | 22 | 28:51 | 32 | 6 | 4 | 10 | 19:24 | 2 | 4 | 12 | 9:27 |

### პორტუგალია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 33 | 22 | 8 | 3 | 53:22 | 74 | 13 | 3 | 1 | 31:10 | 9 | 5 | 2 | 22:12 |
| პორტუ | 33 | 22 | 7 | 4 | 65:24 | 73 | 16 | 1 | 0 | 42:9 | 6 | 6 | 4 | 23:15 |
| ბენფიკა | 33 | 20 | 6 | 7 | 56:32 | 66 | 13 | 2 | 1 | 34:11 | 7 | 4 | 6 | 22:21 |
| ბოავიშტა | 33 | 16 | 6 | 11 | 38:29 | 54 | 10 | 2 | 4 | 21:12 | 6 | 4 | 7 | 17:17 |
| ჟილ ვისენტე | 33 | 13 | 11 | 9 | 46:33 | 50 | 9 | 5 | 2 | 33:13 | 4 | 6 | 7 | 13:20 |
| მარიტიმუ | 33 | 13 | 11 | 9 | 41:34 | 50 | 8 | 7 | 2 | 21:10 | 5 | 4 | 7 | 20:24 |
| გიმარაეში | 33 | 14 | 6 | 13 | 46:40 | 48 | 12 | 2 | 3 | 32:15 | 2 | 4 | 10 | 14:25 |
| ამადორა | 33 | 9 | 15 | 9 | 37:35 | 42 | 5 | 7 | 4 | 20:16 | 4 | 8 | 5 | 17:19 |
| ბრაგა | 33 | 12 | 6 | 15 | 42:43 | 42 | 8 | 2 | 7 | 23:18 | 4 | 4 | 8 | 19:25 |
| ლეირია | 33 | 10 | 11 | 12 | 31:35 | 41 | 7 | 6 | 4 | 20:14 | 3 | 5 | 8 | 11:21 |
| ალვერკა | 33 | 11 | 8 | 14 | 39:46 | 41 | 9 | 4 | 4 | 24:15 | 2 | 4 | 10 | 15:31 |
| ბელენენსეში | 33 | 9 | 13 | 11 | 35:36 | 40 | 6 | 8 | 3 | 21:17 | 3 | 5 | 8 | 14:19 |
| კამპომაიორ. | 33 | 10 | 6 | 17 | 31:48 | 36 | 8 | 3 | 6 | 17:17 | 2 | 3 | 11 | 14:31 |
| სალგეიროში | 33 | 9 | 7 | 17 | 30:45 | 34 | 5 | 5 | 6 | 15:18 | 4 | 2 | 11 | 15:27 |
| სეტუბალი | 33 | 9 | 5 | 19 | 25:49 | 32 | 6 | 2 | 8 | 18:22 | 3 | 3 | 11 | 7:27 |
| ფარენსე | 33 | 7 | 11 | 15 | 33:59 | 32 | 5 | 6 | 5 | 22:24 | 2 | 5 | 10 | 11:35 |
| რიუ ავე | 33 | 7 | 9 | 17 | 32:54 | 30 | 6 | 6 | 4 | 22:19 | 1 | 3 | 13 | 10:35 |
| სანტა კლარა | 33 | 6 | 10 | 17 | 32:48 | 28 | 4 | 7 | 5 | 16:20 | 2 | 3 | 12 | 16:28 |

### ჰოლანდია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 33 | 26 | 3 | 4 | 103:24 | 81 | 13 | 1 | 2 | 58:12 | 13 | 2 | 2 | 45:12 |
| ჰერენვენი | 33 | 21 | 4 | 8 | 64:35 | 67 | 11 | 3 | 3 | 37:17 | 10 | 1 | 5 | 27:18 |
| ფეიენოორდი | 33 | 18 | 9 | 6 | 65:41 | 63 | 10 | 3 | 3 | 29:13 | 8 | 6 | 3 | 36:28 |
| ვიტესი | 33 | 18 | 8 | 7 | 65:41 | 62 | 13 | 1 | 2 | 42:21 | 5 | 7 | 5 | 23:20 |
| აიაქსი | 33 | 18 | 7 | 8 | 71:48 | 61 | 12 | 1 | 4 | 44:23 | 6 | 6 | 4 | 27:25 |
| ტვენტე | 33 | 16 | 11 | 6 | 56:36 | 59 | 12 | 3 | 2 | 38:18 | 4 | 8 | 4 | 18:18 |
| ალკმარი | 33 | 17 | 4 | 12 | 67:56 | 55 | 8 | 3 | 6 | 27:14 | 9 | 1 | 6 | 40:42 |
| როდა | 33 | 15 | 7 | 11 | 59:51 | 52 | 10 | 0 | 6 | 38:25 | 5 | 7 | 5 | 21:26 |
| ტილბურგი | 33 | 13 | 8 | 12 | 54:64 | 47 | 8 | 5 | 4 | 33:33 | 5 | 3 | 8 | 21:31 |
| უტრეხტი | 33 | 13 | 4 | 16 | 52:60 | 43 | 9 | 4 | 3 | 31:20 | 4 | 0 | 13 | 21:40 |
| ვალვაიკი | 33 | 12 | 6 | 15 | 43:65 | 42 | 6 | 6 | 5 | 24:30 | 6 | 0 | 10 | 19:35 |
| სიტარდი | 33 | 10 | 7 | 16 | 45:52 | 37 | 6 | 5 | 6 | 30:27 | 4 | 2 | 10 | 15:25 |
| სპარტა | 33 | 11 | 4 | 18 | 48:68 | 37 | 7 | 2 | 8 | 28:29 | 4 | 2 | 10 | 20:39 |
| გრააფსხაპი | 33 | 8 | 8 | 17 | 40:59 | 32 | 5 | 5 | 6 | 22:22 | 3 | 3 | 11 | 18:37 |
| ნაიმეგენი | 33 | 7 | 6 | 20 | 35:60 | 27 | 7 | 1 | 9 | 17:22 | 0 | 5 | 11 | 18:38 |
| მაასტრიხტი | 33 | 6 | 6 | 21 | 37:67 | 24 | 4 | 4 | 8 | 21:29 | 2 | 2 | 13 | 16:38 |
| კამბური | 33 | 5 | 7 | 21 | 33:65 | 22 | 2 | 5 | 9 | 16:28 | 3 | 2 | 12 | 17:37 |
| დენ ბოსხი | 33 | 3 | 11 | 19 | 29:74 | 20 | 2 | 8 | 6 | 17:31 | 1 | 3 | 13 | 12:43 |

### საფრანგეთი. მეორე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 36 | 24 | 7 | 5 | 56:24 | 79 | 16 | 1 | 1 | 33:7 | 8 | 6 | 4 | 23:17 |
| გენგამი | 36 | 18 | 11 | 7 | 61:40 | 65 | 10 | 4 | 4 | 35:21 | 8 | 7 | 3 | 26:19 |
| ტულუზი | 36 | 17 | 8 | 11 | 48:30 | 59 | 9 | 3 | 6 | 27:13 | 8 | 5 | 5 | 21:17 |
| სოშო | 36 | 16 | 8 | 12 | 49:40 | 56 | 9 | 3 | 6 | 27:20 | 7 | 5 | 6 | 22:20 |
| გენიონი | 36 | 12 | 17 | 7 | 46:30 | 53 | 6 | 9 | 3 | 25:15 | 6 | 8 | 4 | 21:15 |
| ლე მანი | 36 | 12 | 15 | 9 | 44:41 | 51 | 8 | 10 | 0 | 25:13 | 4 | 5 | 9 | 19:28 |
| ლავალი | 36 | 13 | 15 | 9 | 40:37 | 51 | 10 | 4 | 4 | 24:17 | 3 | 11 | 5 | 16:20 |
| აიაჩო | 36 | 14 | 8 | 14 | 35:39 | 50 | 10 | 2 | 6 | 18:13 | 4 | 6 | 8 | 17:26 |
| კაენი | 36 | 11 | 16 | 9 | 46:36 | 49 | 7 | 8 | 3 | 32:19 | 4 | 8 | 6 | 14:17 |
| ნიმი | 36 | 12 | 11 | 13 | 41:41 | 47 | 7 | 7 | 4 | 27:23 | 5 | 4 | 9 | 14:18 |
| შატორუ | 36 | 12 | 11 | 13 | 39:44 | 47 | 7 | 5 | 5 | 21:19 | 5 | 5 | 8 | 15:22 |
| ნიორი | 36 | 10 | 15 | 11 | 41:44 | 45 | 8 | 6 | 4 | 22:20 | 2 | 9 | 7 | 19:24 |
| კანი | 36 | 11 | 12 | 13 | 31:34 | 45 | 8 | 5 | 5 | 16:14 | 3 | 7 | 8 | 15:20 |
| ნიცა | 36 | 8 | 20 | 8 | 27:32 | 44 | 5 | 12 | 1 | 16:8 | 3 | 8 | 7 | 11:24 |
| ლორიანი | 36 | 11 | 11 | 14 | 30:36 | 44 | 5 | 8 | 5 | 19:14 | 6 | 3 | 9 | 11:22 |
| ვასკეალი | 36 | 8 | 16 | 12 | 31:39 | 40 | 6 | 8 | 4 | 19:17 | 2 | 8 | 8 | 12:22 |
| კრეტეი | 36 | 10 | 10 | 16 | 33:51 | 40 | 8 | 8 | 4 | 27:23 | 2 | 3 | 12 | 9:31 |
| ამიენი | 36 | 7 | 14 | 15 | 30:43 | 35 | 4 | 8 | 5 | 15:16 | 3 | 6 | 10 | 15:27 |
| ვალანსი | 36 | 6 | 14 | 16 | 34:51 | 32 | 6 | 7 | 5 | 18:15 | 0 | 7 | 11 | 16:36 |
| ლუანი | 36 | 5 | 9 | 22 | 31:61 | 24 | 4 | 6 | 8 | 18:22 | 1 | 3 | 14 | 13:39 |

### შვედეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 13 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 1 | 1 | 0 | 4:2 |
| ჰალმსტადი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:1 | 12 | 2 | 0 | 1 | 5:1 | 2 | 0 | 0 | 3:0 |
| იორგრიტე | 5 | 4 | 0 | 1 | 7:2 | 12 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 2 | 0 | 1 | 3:2 |
| აიკ | 5 | 3 | 1 | 1 | 5:6 | 10 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 1 | 0 | 1 | 2:5 |
| ჰელსინგბორგი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 1 | 0 | 1 | 3:4 |
| ნორჩიოპინგი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 1 | 1 | 1 | 3:4 |
| ტრელებორგი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 7 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 1 | 0 | 1 | 1:1 |
| ჰამარბი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:3 | 7 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 1 | 1 | 1 | 1:1 |
| იორებრო | 5 | 1 | 3 | 1 | 12:9 | 6 | 1 | 1 | 0 | 7:1 | 0 | 2 | 1 | 5:8 |
| ჰაკენი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:9 | 5 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 0 | 2 | 1 | 3:5 |
| სუნდსვალი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | 4 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 | 0 | 1 | 2:2 |
| ფრიოლუნდა | 5 | 1 | 1 | 3 | 1:8 | 4 | 1 | 0 | 2 | 1:2 | 0 | 1 | 1 | 0:6 |
| გაის | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 0 | 3 | 1:7 |
| ელფსბორგი | 5 | 0 | 0 | 5 | 3:8 | 0 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 | 0 | 3 | 0:3 |

### ჩეხეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 28 | 23 | 3 | 2 | 75:22 | 72 | 13 | 1 | 0 | 45:8 | 10 | 2 | 2 | 30:14 |
| სლავია | 28 | 20 | 5 | 3 | 48:21 | 65 | 12 | 1 | 1 | 31:8 | 8 | 4 | 2 | 17:13 |
| დრნოვიცე | 28 | 14 | 5 | 9 | 35:26 | 47 | 10 | 2 | 2 | 20:5 | 4 | 3 | 7 | 15:21 |
| ბრნო | 28 | 11 | 6 | 11 | 32:31 | 39 | 9 | 3 | 2 | 25:11 | 2 | 3 | 9 | 7:20 |
| ტეპლიცე | 28 | 10 | 9 | 9 | 37:37 | 39 | 8 | 5 | 1 | 23:11 | 2 | 4 | 8 | 14:26 |
| ბოჰემიანსი | 28 | 10 | 9 | 9 | 23:25 | 39 | 7 | 3 | 4 | 13:7 | 3 | 6 | 5 | 10:18 |
| ლიბერეცი | 28 | 8 | 11 | 9 | 19:21 | 35 | 6 | 5 | 3 | 10:5 | 2 | 6 | 6 | 9:16 |
| ვიქტორია | 28 | 9 | 8 | 11 | 37:41 | 35 | 7 | 6 | 1 | 27:17 | 2 | 2 | 10 | 10:24 |
| დუკლა | 28 | 9 | 7 | 12 | 31:36 | 34 | 8 | 3 | 3 | 23:13 | 1 | 4 | 9 | 8:23 |
| ბლშანი | 28 | 9 | 6 | 13 | 26:44 | 33 | 8 | 0 | 6 | 15:18 | 1 | 6 | 7 | 11:26 |
| ბუდეიოვიცე | 28 | 9 | 5 | 14 | 32:43 | 32 | 8 | 2 | 4 | 23:14 | 1 | 3 | 10 | 9:29 |
| სიგმა | 28 | 6 | 12 | 10 | 28:36 | 30 | 4 | 7 | 3 | 17:14 | 2 | 5 | 7 | 11:22 |
| ბანიკი | 28 | 6 | 11 | 11 | 37:44 | 29 | 4 | 8 | 2 | 25:20 | 2 | 3 | 9 | 12:24 |
| ოპავა | 28 | 6 | 10 | 12 | 31:34 | 28 | 6 | 6 | 2 | 21:10 | 0 | 4 | 10 | 10:24 |
| იაბლონეცი | 28 | 6 | 10 | 12 | 20:36 | 28 | 5 | 6 | 3 | 16:12 | 1 | 4 | 9 | 4:24 |
| ჰ. კრალოვე | 28 | 4 | 11 | 13 | 20:34 | 23 | 3 | 6 | 5 | 10:14 | 1 | 5 | 8 | 10:20 |

# კაცი, რომელიც იბრძოდა, იბრძოდა...

**კაცს, რომელსაც საჩოგბურთო სამყაროში უდრეკობისა და ბრძოლისუნარიანობისთვის „კლდეს“ უწოდებდნენ, ამიერიდან კორტზე ველარ ვიხილავთ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი და ოთხი დიდი სლემის ტურნირის გამარჯვებული ჯიმ კურიე სამშაბათს ოფიციალურად გამოეთხოვა დიდ სპორტს.**

„ოდესღაც ერთმა ბრძენმა ადამიანმა მითხრა, როდესაც გაიღვიძებ და ჩოგბურთში უკეთ თამაშის სურვილი აღარ გექნება, შეჩერების დრო დამდგარაო. ეს დღე უკვე დიდი ხანია, ახლოვდებოდა. ბოლო 12 წლის მანძილზე თითქმის შესვენებების გარეშე ვშრომობდი, შეიძლება ამიტომაც მივდივარ სხვებზე ადრე.“

ბოლო სეზონებში კურიეს სხვადასხვა ქრონიკული ტრავმები ტანჯავდა და, თუ დევისის თასის მარათონულ შეხვედრებს არ ჩავთვლით, თავს კორტსგარეთ უფრო იჩენდა: შარშან ავტომობილის ნასვამ მდგომარეობაში ტარებისთვის დაატუსაღეს, ჩვეულებრივ მეტად კორექტული ჩოგბურთელი თამაშის დროს უხამსი სიტყვებისა და მეტოქის გინებისთვის დააჯარიმეს.

„ეს გადაწყვეტილება იანვარში მივიღე. ვგრძნობდი, რომ ენთუზიაზმი თანდათან მიქრებოდა, ვარჯიში კი არა, უკვე თამაშიც კი მეზარებოდა“ — აღნიშნა ამერიკელმა პრესკონფერენციაზე.

კურიე ჩოგბურთით სერიოზულად 7 წლის ასაკში დაინტერესდა, 11 წლისა კი დედამ ჯონ მაკინროის ლეგენდარულ მწვრთნელ ჰარი ჰოპმანთან მიიყვანა. ოჯახს მატერიალურად არ ულხინდა, ამიტომ 50-დოლარიანი გაკვეთილისთვის საჭირო თანხის შესაგროვებლად პატარა ჯიმი ოთხი კვირის მანძილზე თიბავდა გაზონებს და ეზოებს ფოთლებისგან წმენდდა.

თუმცა ეს დროის ტყუილი ხარჯვა გამოდგა: წითური ბიჭის საქმეში ხილვისთანავე ჰოპმანმა განაცხადა, რომ გაკვეთილებში ფულს არ აიღებდა და მას უფასოდ გაწვრთნიდა.

1985-ში კურიე ნიკ ბოლეტიერის საჩოგბურთო აკადემიაში გადაბარგდა. მომავალი ვარსკვლავების აკიაფების მანიით შეპყრობილი მოძღვარი მასზე მეტ ყურადღებას კოლორიტულ გრძელთმიან შეგირდს, ანდრე აგასის აქცევდა და ჯიმმაც მალე სხვაგან არჩია სწავლის გაგრძელება.

პროფესიონალებში ამერიკელი თავიდან დიდად არ გამოირჩეოდა, მაგრამ ორ-სამ სეზონში მძიმე შრომითა და მკვლელი, მძლავრი ფორჰენდით შეიარაღებულმა სანაქებო რეპუტაცია შეიქმნა. მეტოქეებს ლამის ეშინოდათ ამ თეთრკეპმორგებულ ტყისმჭრელთან თამაში, რომელიც ყოველთვის ბოლომდე, ჯიგრიანად იბრძოდა, კორტზე სულს და გულს ტოვებდა და არავის არაფერს უთმობდა.

1991 წელს როლან გაროსის ფინალში კურიემ სწორედ აგასი დაამარცხა, ეს ტიტული 1992-ში შეინარჩუნა და ზედიზედ ორჯერ იმარჯვა ავსტრალიის ღია პირველობაზეც. ამერიკელი დანარჩენი ორი დიდი სლემის ტურნირის ფინალისტიც გახლდათ, ამასთან 58 კვირის მანძილზე კაცების კლასიფიკაციასაც ედგა სათავეში.

სწრაფმა და ხმაურიანმა წარმატებამ ჯიმი შეცვალა: „თავიდან ჩოგბურთი ჩემი ცხოვრება იყო, მაგრამ თანდათან ცხოვრება ჩოგბურთზე მნიშვნელოვანი გახდა. თითქოს თამაშის სტიმულიც დავკარგე.“

შემაშფოთებელი ნიშნები უკვე 1993-ის ნოემბერში გამოჩნდა. მსოფლიოს ჩემპიონატზე ანდრეი მედვედევთან შეხვედრაში გეიმებს შორის შესვენებების დროს კურიე არმისტიდ მოპინის წიგნს, „შეიძლება მთვარეს“ კითხულობდა. ერთ მომენტში კი მწვრთნელ ხოსე იგერასს მიუბრუნდა და ჰკითხა, იცი, ეს-ესაა ვფიქრობდი, ნაფტა-ს ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს თუ არაო.

1994-ის დასაწყისში ჯიმმა „ფსიქოლოგიური შვებულება“ აიღო, რათა თავისივე სიტყვებით, „ვარდების ყნოსვა ისევ ესწავლა“. ძველ სიმაღლეებს ის ვეღარასოდეს დაუბრუნდა და იქიდან მოყოლებული დიდი სლემის ტურნირის ფინალშიც აღარ გასულა.

მიუხედავად იმისა, რომ 90-იანების მეორე ნახევარში ჩოგბურთელი უბრალოდ „დამსახურებულ ვეტერანად“ იქცა და უბადლო საბრძოლო თვისებებითაც იშვიათად ახარებდა თავის გულშემატკივრებს, კურიეს მიღწევები მაინც შთამბეჭდავად გამოიყურება: 23 ტიტული ერთეულებში, ექვსი წყვილებში, ორი გამარჯვება დევისის თასზე, 50 მილიონი დოლარი საპრიზოებითა და რეკლამებით.

„ის გამძვინვარებული ხარი იყო ლომის გულით. თავისი შეუდარებელი ფიზიკური მზადყოფნით სხვებიც აიძულა, მეტი ევარჯიშათ და ეშრომათ. ხალხი ისე არ აფასებს ჯიმს, რასაც სინამდვილეში იმსახურებს. იგი დიდი ჩოგბურთელი იყო“ — ეს მაკინროის სიტყვებია.

თავად კურიე არ აპირებს საყვარელ სპორტს სრულიად ჩამოშორდეს. ის საკაბელო არხების, TNT-სა და CNNOISI-ის კომენტატორი იქნება წლევანდელ უიმბლდონზე.

„მგონი, ჩემი მეგობრები უკვე კანკალებენ. მათ იციან, რომ არაფერს დავმალავ და ხალხს შევატყობინებ, თუ ბოლომდე არ დაიხარჯებიან — ღიმილით განაცხადა ამერიკელმა — ეს სამუშაო ამ წუთისთვის ზედგამოჭრილია ჩემთვის, მე ნამდვილი გამოწვევა მჭირდებოდა. ეს ძალიან ძნელი იქნება, როგორც თოკზე სიარული დამცავი ბადის გარეშე.“

თუმცა ჯიმ კურიე დიდი ხანია, შეჩვეულია დაბრკოლებების გადალახვას.

**ავთანდილ სვანიძე**



ჯიმ კურიე

| რომი. მასტერსის სერია — იტალიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 3 მილიონი $ |
|---|
| პირველი წრე: **ანდრე აგასი** (1, აშშ) — ტოდ მარტინი (აშშ) 6:2, 7:6 (7:4); **ევგენი კაფელნიკოვი** (2, რუსეთი) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 6:3, 2:6, 7:5; **მაგნუს ნორმანი** (3, შვედეთი) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 6:3, 7:6 (7:2); **გუსტავო კუერტენი** (4, ბრაზილია) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 6:4, 6:1; **სედრიკ პიოლინი** (5, საფრანგეთი) — კრის ვუდრაფი (აშშ) 6:1, 6:1; **ნიკოლას ლაპენტი** (6, ეკვადორი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:4, 7:5; **ლეიტონ ჰიუიტი** (9, ავსტრალია) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:2, 6:2; **მარატ საფინი** (რუსეთი) — მარსელო რიოსი (11, ჩილე) 6:1, 6:4; **ბოგდან ულირახი** (ჩეხეთი) — პატრიკ რაფტერი (12, ავსტრალია) 3:6, 6:4, 6:3; **ალექს კორეტხა** (10, ესპანეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:2, 4:6, 7:6 (7:5); **მარკ ფილიპუსისი** (ავსტრალია) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:3, 1:6, 7:6 (7:2) |

# მზიური ავდარშიც მზიურია

ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ კორტებზე დასრულდა ამავე სახელწოდების საჩოგბურთო კლუბის მიერ ორგანიზებული ნოდარ დუმბაძის სახელობის ტურნირი მოზარდთა შორის. პირველობის მონაწილეთა უმეტესობა თბილისელი იყო, თუმცა ბევრმა აქაურმა მოზარდმა აქ გამოსვლას ბათუმში, აღმოსავლეთ ევროპის იუნიორთა ჩემპიონატში თამაში ამჯობინა. ორგანიზატორებს საფიქრალი ამინდმაც გაუჩინა — ავდარმა ტურნირის რეგლამენტი გვარიანად არია.

გოგონები სამ ასაკობრივ ჯგუფში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. უფროსებში (1986-87 წლებში დაბადებულნი) ყველას თათა მიქაძემ აჯობა, მომდევნოებში (1988-89) — მანანა შაფაქიძემ, ხოლო უმცროსებში (1991) — თეონა ცერცვაძემ.

ბიჭები ოთხ ჯგუფად დაიყვნენ. უფროსთა ჯგუფი 1984-85 წლებში დაბადებულებს აერთიანებდა, დანარჩენების ასაკი კი ზუსტად ემთხვეოდა გოგონებისას. აქ ჩემპიონები გახდნენ შალვა გუმბერიძე, ლევან ლორია, ბაჩო ხვედელიძე და გიორგი ტატუნაშვილი.

**ირაკლი თავაძე**





| ჟან ალეზი |
|---|
| საფრანგეთი |
| დაიბადა 1964 წლის 11 ივნისს ავინიონში |
| იაპონელ მეუღლესთან ერთად ცხოვრობს ჟენევაში |
| სიმაღლე 170 სმ, წონა 74 კგ |
| პირველი სტარტი — 1989 (საფრანგეთის დიდი პრიზი) |
| პირველი გამარჯვება — 1995 (კანადის დიდი პრიზი) |
| გუნდები: ტირელი (1989-90), ფერარი (1991-95), ბენეტონი (1996-97), ზაუბერი (1998-99), პროსტი (2000) |
| 172 რბოლა; 2 პოული; 4 უსწრაფესი წრე; 236 ქულა |

# ალეზიმ სირაჯობა დაიწყო

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

სამეფო რბოლების მარაქაში სულ 22 კაცია გარეული. საყოველთაო ყურადღება, ცხადია, მუდამ ჩემპიონობისთვის მებრძოლებისკენაა მიპყრობილი, სატურნირო ცხრილის ქვედა ნახევრის წარმომადგენლებისთვის კი ნაკლებად ვიცლით. თუმც საინტერესო მოვლენები მათ „სამყაროშიც“ ხდება.

რაკი ერთ-ერთი უიმედო აუტსაიდერია, სადღეისოდ ფორმულის უხნეს პილოტ ჟან ალეზის შედარებით იშვიათად სწყალობს პრესა და ტელევიზია. აბა, რა იქნება, თავისი უნიათო ბედაურების გადამკიდემ კარიერაში ერთადერთხელ გაიმარჯვა, ბოლო წლებში კი ათეულში შეღწევასაც ვერ ახერხებს. ფრანგ მრბოლს სადღეისოდ ისღა დარჩენია, რომ ყველა დროის მთავარ პენსიონერთა სიაში შესვლით იტრაბახოს. ამ პრესტიჟული მნიშვნელობის, მეორეს მხრივ კი სიბერის მაჩვენებელს, 35 წლის პილოტმა გასულ კვირას ბარსელონაში, ესპანეთის დიდი პრიზის გათამაშების სტარტზე გამოსვლით მიაღწია. სწორედაც რომ მხოლოდ სტარტზე გამოსვლით, რადგან პირველივე წრეზე მასპინძელ პედრო დელა როსას „ეროუზთან“ შეჯახების მერე მისი „პროსტი“ რბოლას გამოეთიშა. თუმცა, ცხადია, ის ორიოდე წუთიც საკმარისი გახდა საიმისოდ, რომ ალეზის 172-ედ დაეფიქსირებინა სამეფო რბოლებში თავისი მონაწილეობა და იმ ისტორიული ცხრილის მეათე საფეხურზე ლეგენდარული ნიკი ლაუდა შეეცვალა. კიდევ ხუთი ეტაპის შემდეგ ჟანი ერთბაშად ორ კონკურენტს, 176-რბოლიანებს — გრემ ჰილსა და ჟაკ ლეფიტსაც გადაასწრებს, მომავალი სეზონის ბოლოს კი ორასსაც „მიუკაკუნებს“. რაც შეეხება რიკარდო პატრეზეს ფანტასტიკურ რეკორდს (256), მის დასამხობად ფრანგს უბრალოდ დრო აღარ ეყოფა.

წლევანდელი სეზონი მეთორმეტეა ალეზის კარიერაში. დებიუტი, რომელიც მშობლიურ ლეკასტელეს ავტოდრომზე შედგა 1989 წლის 9 ივლისს ბრიტანელი კენ ტირელის ბოლიდის საჭესთან, მისთვის ერთობ იმედისმომცემი გამოდგა — პირველივე რბოლაში მეოთხე ადგილი უიშვიათესი შემთხვევაა. მაგრამ შემდგომში, მიუხედავად იმისა, რომ ლამის ყველა ერთხმად საჩემპიონო მომავალს უწინასწარმეტყველებდა, ჟანმა აშკარად გაზვიადებული ქათინაურები ვერანაირად ვერ გაამართლა. წლები გადიოდა, ის კი ორჯერ (1994, 95) მხოლოდ მეხუთე ადგილზე გასვლით თუ მოიწონებდა თავს. ის ერთადერთი დიდი პრიზიც სწორედ იმ პერიოდში, 1995 წელს, კანადაში მოიგო „ფერარისთვის“, თუმცა იტალიელთა ეროვნული სიამაყე მაშინ სულთმობრძავს უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩემპიონობის პრეტენდენტს.

ალეზის შედეგები ოდნავ გამოუკეთდა, როცა ბავშვობიდან დღემდე მისთვის მაინც სათაყვანებელი „ფერარიდან“, 1996 წელს „ბენეტონში“ გადაბარგდა და ზედიზედ ორი სეზონი მეოთხემ დაასრულა. 1997 წელს კი თავისდა უნებურად მესამე ადგილზე აღმოჩნდა. მიხაელ შუმახერს ტრასაზე არასპორტული ქცევისთვის მთელი ჩემპიონატის ქულები გაუუქმეს და მეორე ადგილიც ჩამოართვეს. ვერცხლის პრიზიორი ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი გახდა, ჟანმაც ერთი საფეხურით მაღლა აიწია.

შარშანდელი, ყველაზე უხეირო სეზონის შემდეგ, როცა ორად ორი ქულით მე-15 ადგილზე დარჩა, ალეზისთვის შვების მომგვრელი ჩანდა ჩაჩანაკი „ზაუბერიდან“ ლეგენდარული თანამემამულისა და მეგობრის პროსტის საჯინიბოში მოხვედრა, მაგრამ ჯერჯერობით მას არც იქ უმართლებს — ხუთ რბოლაში ერთხელ მიაღწია ფინიშამდე, ისიც მხოლოდ მეათე პოზიციაზე.

სიცილიური წარმოშობის კვალობაზე ალეზი ზედმეტად ფიცხი პიროვნებაა და მეტოქეების მიმართ ტრასაზე კორექტული ქცევის მიუხედავად, ხშირად თითქმის უმიზეზოდ გახვეულა შარში. თუმცა ეს წინათ, დალვინებამდე უფრო მოსდიოდა. მართლა, როგორც ყველა ფრანგმა, მან ღვინის გემოც იცის და ფასიც და უზარმაზარ ვენახებსაც ფლობს. მეორე ცოლის, მომხიბლავი იაპონელის, კუმიკო გოტოს დახმარებით აკი საკუთარი ნაწარმის გასაღების მშვენიერ ბაზარსაც მიაგნო — ჟანის ნუნუას ამომავალი მზის ქვეყანაში დიდი გასავალი აქვს. ასე რომ, პენსიაში გასვლის მერე ალეზის უზრუნველი სიბერე გარანტირებული აქვს.

**ირაკლი ნიკოლაძე**

ხელბურთი

# ქალები აქაც უსტვენენ

საქართველოს 10 ჩემპიონატი

**კვირას** ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს საიუბილეო, მე-10 ეროვნული ჩემპიონატი დასრულდა. ორშაბათს თასის გათამაშების ნახევარფინალებიც გაიმართა და მედალოსნებთან ერთად ევროთასებზე მოასპარეზე გუნდებიც გამოვლინდნენ.

ჩემპიონატის მეოთხე წრემ კვლავაც თბილისის „ზოოვეტის“ გარეშე ჩაიარა. საქართველოს ხელბურთის ასოციაციამ იგი პირველობაში სამონაწილეო თანხის გადაუხდელობისთვის მესამე ეტაპიდან მოკვეთა იმ პირობით, რომ ყველა გუნდთან წაგებას ჩაუთვლიდა, ხოლო მეოთხედან, თუ ფულს გადაიხდიდა, ისევ ათამაშებდა. ვეტერინარებმა საჭირო თანხა ვერ იშოვეს და ასოციაციამაც ჩემპიონატიდან მოხსნა. ამიტომ გამოუვიდათ დანარჩენ გუნდებს 19 თამაში 20-ის ნაცვლად.

როგორც ასოციაციის გენერალურმა მდივანმა თამაზ თევზაძემ გვითხრა, ამით უდანაშაულო სპორტსმენები დაზარალდნენ, მაგრამ ეს გაკეთდა საიმისოდ, რომ ჩემპიონატში ერთხელ და სამუდამოდ დამყარდეს წესრიგი. მან ისიც დასძინა, რომ საგაისოდ ყველა გუნდმა თავი უნდა მოიწესრიგოს — რეგისტრაციაში გატარდეს და სტრუქტურულად ჩამოყალიბდეს, რათა მწვრთნელს პრეზიდენტის, მენეჯერის ან სხვათა ფუნქციების შეთავსებაც არ უწევდეს. თუ არა და ასოციაცია დებულების მიხედვით იმოქმედებს.



საქართველოს უცვლელი ჩემპიონი სტუ-„მართვე“

რომ გვეგონა, მსაჯი ქალი მარტო კალათბურთში გვყავდა, მთლად ეგრეც არ ყოფილა საქმე. მანდილოსანი არბიტრები ხელბურთშიც გამოჩნდნენ და ელენე არაბულმა სათასო მატჩიც იმსაჯა. როგორც ასოციაციას წარმომადგენელმა გვითხრა, ის და მადონა ორმოცაძე ხშირად სჯიან ეროვნული პირველობის თამაშებს და ქალთა ევროთასებზეც უპირებენ გაშვებას.

...მესამე წრემ მეოთხეს გასარკვევი მხოლოდ ბრინჯაოს მედალოსნის ვინაობა დაუტოვა. ცხადი იყო, რომ სტუ-„მართვეს“ ჩემპიონობას, ხოლო თბილისის ასკ-ს მეორე ადგილს ვერავინ შეეცილებოდა. ბათუმის „მენავთობეს“, თელავის ასკ-სა და თბილისის საუ-„მამულს“ ერთმანეთისგან ორ-ორი ქულა აშორებდათ და სანუკვარ მესამე ადგილსაც რომელიმე მათგანი უნდა დაპატრონებოდა. ეს ზღვისპირელებმა შეძლეს, რომლებმაც ორივე მეტოქეს უშელავათო ბრძოლაში მოუგეს და ბრინჯაოსაც დაეუფლნენ. ამით საგაისოდ გამოწვევის თასზე თამაშის უფლებაც მოიპოვეს. ევროპის ხელბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ჩემპიონთა ლიგაში ადგილი ჩამოგვერთვა, რადგან სათანადო რეიტინგში მოსახვედრად საჭირო ქულები ვერ დავაგროვეთ. ამიტომ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი, ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე ითამაშებენ.



მიხეილ კერესელიძეს ბომბარდირის პრიზს მთავარი მსაჯი ვახტანგ ბერიაშვილი გადასცემს

საკითხავი ისღა რჩებოდა, თასის ნახევარფინალების მონაწილეთაგან ვინ იასპარეზებდა თასების მფლობელთა თასზე. ეს თელავის ასკ-სა და საუ-„მამულის“ შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა, რადგან მეორე წყვილში ერთმანეთს სტუ-„მართვე“ და თბილისის ასკ-ი ხვდებოდნენ. როგორც გითხარით, მათ უფრო პრესტიჟულ ფედერაციის თასზე თამაში განაღდებული ჰქონდათ, ამიტომ ვაკანსია თასის ფინალისტს უნდა შეევსო.

თელავის ასკ-სა და საუ-„მამულის“ უშელავათო ორთაბრძოლაში არმიელებმა 31:29 იმარჯვეს და ევროთასის საგზურიც მოიპოვეს. მეორე წყვილში ფავორიტმა სტუ-„მართვემ 36:27 მოუგო ასკ-ს. ფინალი მომავალ კვირას თელავში გაიმართება.

ბოლოს გეტყვით, რომ ჩემპიონატის ბომბარდირი 225 გოლით თბილისის არმიელი მიხეილ კერესელიძე გახდა, ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ კი ბათუმელი ედნარ ქარცივაძე მიიჩნიეს.

**ირაკლი თავაძე**

| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | სტუ-მართვე | 19 | 19 | 0 | 0 | 684:377 | 38 |
| 2. | ასკ თბილისი | 19 | 14 | 0 | 5 | 648:517 | 28 |
| 3. | მენავთობე | 19 | 9 | 0 | 10 | 596:657 | 18 |
| 4. | ასკ. თელავი | 19 | 7 | 0 | 12 | 566:619 | 14 |
| 5. | საუ-მამული | 19 | 6 | 0 | 13 | 559:635 | 12 |

რაგბი

# ხალხი პატივს გვცემს

**10-11 ივნისს** გერმანიის ქალაქ ჰაიდელბერგში შვიდკაცა რაგბის არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გაიმართება. ფინალური ეტაპის სამი საგზურისთვის 16 გუნდი იბრძოლებს, მათ შორის საქართველოს ნაკრებიც. ჩვენებურებს საერთაშორისო ტურნირებში თამაშის საკმაო გამოცდილება აქვთ და შვიდკაცა რაგბის მესვეურთა სიმპათიებიც დაიმსახურეს. ალბათ, ამიტომაცაა, რომ „ბორჯღალოსნები“ რუმინეთის, უელსისა და ირლანდიის ნაკრებებთან ერთად წინასწარ არიან განთესილნი ცალ-ცალკე ჯგუფებში. ტურნირის მონაწილენი კი ოთხ ჯგუფად იასპარეზებენ. კენჭისყრამ ისინი ასე გაანაწილა:

**A** — უელსი, პოლონეთი, ჩეხეთი, მოლდოვა

**B** — რუმინეთი, დანია, ბელგია, ლუქსემბურგი

**C** — ირლანდია, გერმანია, შვეიცარია, ავსტრია

**D** — საქართველო, ჰოლანდია, იუგოსლავია, უნგრეთი

ჯგუფებში ჩატარებული, ანუ პირველი წრის მატჩების შემდეგ მოპოვებული ქულების მიხედვით გუნდები ისევ ჯგუფურ ტურნირში ითამაშებენ:

I — 1, 8, 9, 16 ადგილოსნები
II — 2, 7, 10, 15 ადგილოსნები
III — 3, 6, 11, 14 ადგილოსნები
IV — 4, 5, 12, 13 ადგილოსნები

ამ ჯგუფებში გამარჯვებულები ნახევარფინალში შეხვდებიან ერთმანეთს და გამოავლენენ იმ სამ გუნდს, რომლებიც არგენტინაში გაემგზავრებიან. მსოფლიოს ჩემპიონატი კი 2001 წელს ჩატარდება.

დამეთანხმებით, ერთობ გაჭიანურებული პროცედურაა, თუმცა შვიდკაცა რაგბი უფრო დინამიური, სწრაფი თამაშია და მაყურებელი ამ ორი დღის განმავლობაში ნამდვილად არ მოიწყენს. ჩვენებურებმა კი უკვე დაიწყეს მზადება ჰაიდელბერგის ტურნირისთვის და ნაკრების მწვრთნელებს — მალხაზ ჭეიშვილსა და კლოდ სორელს წარმატების იმედიც აქვთ.

**ზურა ბენიძე**

ველორბოლა

# ტრიუმფი — სამქიმარი

**მთელი** კვირა სერავდნენ შვეიცარის ციცაბო გზებს სხვადსხვა ფირმების დიდებული ველოსიპედები. „რომანდიის ტური“ ჟენევის ტბის ლამაზ სანახებში დასრულდა და იგი იტალიელმა პაოლო სავოლდელიმ მოიგო. სხვანაირი შედეგი უსამართლობა იქნებოდა. სავოლდელის, რომელმაც საერთო ჩათვლის ლიდერობა თავიდანვე მიიტაცა, ერთი დღის გარდა მწვანე მაისურა აღარც გაუხდია. ის ერთი დღე 5 მაისი იყო, როცა მარინიდან ორბემდე ჯერ 66-კილომეტრიანი სპრინტი მოეწყო და მერე კი ორბესავე ირგვლივ მრბოლებმა 24,2-კილომეტრიანი სიჩაუქის გამოცდა ჩააბარეს. სპრინტმა ვერაფერი შეცვალა. იტალიელმა ედი მაზოლენიმ იგი მთავარ ჯგუფთან სამწამიანი უპირატესობით მოიგო, ოღონდ სავოლდელიც მთავარ ჯგუფში აღმოჩნდა და საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე დარჩა. სიჩაუქის გამოცდაზე ესპანელმა ხოსება ბელოკიმ აიწყვიტა. პირენეელის გიჟურმა ქროლამ 24,2 კილომეტრზე 29 წუთსა და 21,7 წამს გასტანა და არავითარი ხეირი იქიდან, რომ სავოლდელი მეორე იყო... იგი ესპანელს 28 წამით ჩამორჩენოდა, რამაც ერთიანი ჩათვლის ლიდერის შესაცვლელად სავსებით იკმარა. ბელოკიმ პირველ ადგილზე აინაცვლა, თუმცა ბოლოს მაინც მეორეობა ეწერა. მან, ეტყობა, იმდენი ძალა დაახარჯა სიჩაუქის გამოცდას, რომ 163,9-კილომეტრიან მეხუთე ეტაპზე ათეულშიც ვერ მოხვდა, სავოლდელისთან 22 წამი წააგო და მწვანე მაისურაც დაუბრუნა, რაც ხანმოკლე მოწინავეობის დათმობას ნიშნავდა. ეტაპი იტალიელმა ანდრეა ნოემ მოიგო, რითაც „რომანდიის ტურზე“ აპენინელთა ბატონობას ერთხელაც გაუსვა ხაზი (ეტაპების უმრავლესობა სწორედ იტალიელებმა მოიგეს). ვერ ვიტყვით, რომ ეს გამარჯვება ნოემ სისხლის ფასად მოიპოვა, მისი რვაწამიანი უპირატესობა უახლოეს მდევართან, თვისტომ ფრანცესკო კასაგრანდესთან სავსებით იძლეოდა ფინიშის ხაზის სეირნობა-სეირნობით გადაკვეთის უფლებას. ლიდერს თორმეტი წამით ჩამორჩნენ გილბერტო სიმონი, ვლადიმერ ბელი, ნახსენები სავოლდელი (კვლავ იტალიელები!) და ორი სხვაც — რუსი პაველ ტონკოვი და შვეიცარიელი ლორენ დიუფო. ეს უკანასკნელი ერთ-ერთი წინა ეტაპის მოგებით გემახსოვრებათ.



პაოლო სავოლდელი

7 მაისს „რომანდიის ტურის“ გადამწყვეტი ეტაპი მოეწყო, რომელიც ისევ იტალიელმა მოიგო. 177,8-კილომეტრიანი გზის დასასრულთან ამჯერად ათზე მეტი მრბოლისგან შემდგარი დაჯგუფება მიიჭრა და ვეტერანმა მარიო ჩიპოლინიმაც სწორედ აქ იმარჯვა, კარიერის 148-ე გამარჯვება მოიპოვა და მთლიანად ტურზე ორი ეტაპის მოგებით მოახლოებული „ჯირო დიტალიისთვის“ მშვენიერი პროლოგი გამოუვიდა. საერთო ჩათვლა კი სავოლდელისა იყო, რომელმაც ბელოკისთან 12-წამიანი უპირატესობა შეინარჩუნა და ცხოვრებაში პირველი ტური მოიგო. რახან ასეა, მასზე მეტსაც ვიტყვით. 27 წლის მარიო სავოლდელი პირველი იტალიელია, ვისაც ბოლო 21 წლის მანძილზე „რომანდიის ტური“ მოუგია, გასული წლის „ჯიროზე“ მისთვის მხოლოდ თანაგუნდელ ივან გოტის ხელშეწყობა დაუკისრებიათ და წლეულს კი უფრო სერიოზული მიზნების მიღწევა განუზრახავს. კეთილშობილი კაციც უნდა იყოს — გასულ პარასკევს მხცოვანი იტალიელი ველომრბოლი, „ტურ დე ფრანსის“ ორჯერ მომგები, 85 წლის ჯინო ბარტალი რომ გარდაიცვალა, სავოლდელიმაც თავისი წარმატება სწორედ მის ხსოვნას უძღვნა. ასეა თუ ისე, სავოლდელის გვარი დაიხსომეთ, მალე „ჯირო დიტალია“ იწყება.

**დავით გულუა**

„რომანდიის ტურის“ საბოლოო შედეგები

1. პაოლო სავოლდელი (იტალია) 21:01:41;
2. ხოსება ბელოკი (ესპანეთი) +12;
3. ლორან დიუფო (შვეიცარია) +27;
4. ანდრეა ნოე (იტალია) +37;
5. უილიამ ჩენ მაკ-რეი (აშშ) +1:02

მძლეოსნობა

# მაჩვენე შენი მაჯა და გეტყვი ვინ ხარ შენ

**გერმანული** დარმშტადტის სასამართლოს საქმეებიდან ჩვენ დიტერ ბაუმანის ამბავმა დაგვაინტერესა. ჯერ არსებული ვითარების შესახებ: 5000 მეტრზე რბენაში ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადის ჩემპიონს, გერმანელ დიტერ ბაუმანს შარშან ორი დოპინგ-ტესტი ჩაუტარეს და სისხლში ნანდროლონის დასაშვებზე ათჯერ მეტი შემცველობა აღმოუჩინეს. და როგორღა შევუთავსოთ ეს ამბავი იმას, რომ ბაუმანი ყოველთვის მხურვალე ანტიდოპინგისტი იყო და ეს საჯაროდაც ხშირად უთქვამს? თავად სპორტსმენის განცხადებით, ის ამ საქმეში სრულიად უცოდველი იყო (ამას ყველა ამბობს) და მხოლოდ კბილების ხეხვის ჰიგიენურმა ჩვევამ დალუპა. ვიღაც ავგულა ინტრიგანმაო, ჯერ კიდევ იმ ნოემბერში იძახდა ბაუმანი, კბილის პასტაში აკრძალული პრეპარატი გამირიაო. მერე ის პრეპარატი, ალბათ, კბილებზე მოხვდა, იქიდან მხოლოდ მედიცინისთვის ნაცნობი ბილიკებით სისხლძარღვებს უწია და ფაქტიც სახეზეა, შედეგი კი მეტად მძიმეა მოსალოდნელი. თუკი გერმანიის მძლეოსნობის ფედერაცია თავის წევრს გაამტყუნებს, ორი წელიც დაკარგულა და ეს არის, თუმცა რაღა ორი! 35 წლის მორბენალი რომ ამდენს გააცდენს, მერე რის მორბენალია, მოგჭამათ ჭირი მისმა კარიერამ!

აი, ამგვარი გასაჭირის წინ მდგომი დიტერ ბაუმანი გულისფანცქალით ელოდა დარმშტადტის სასამართლოს გადაწყვეტილებას. მისთვის ნება უნდა დაერთოთ, ფედერაციის საბოლოო ვერდიქტამდე ტურნირებზე ერბინა. თუ ეს მოხდებოდა, ბაუმანი თვის ბოლოს ტროისდორფში გერმანიის პირველობაზე გამოვიდოდა, საოლიმპიადოდ ფორმას აღიდგენდა და საერთოდ, სიდნეისთვის რაღაც შანსებს მოიტოვებდა. არაფერი გამოვიდა... სასამართლომ სპორტსმენის სურვილი უარყო და ყველაფერი უცვლელად დატოვა. ამას მოჰყვა მძლეოსნის აპელაცია და მომდევნო დღეს სიცრუის დეტექტორზე ჩაბარებული გამოცდა, რომელიც პროფესორ უდო უნდოიჩის მეთვალყურეობით ჩატარდა. პროფესორის აზრი დადებითი იყო, ბაუმანი გულწრფელი ჩანდა, პულსი ერთხელაც არ აჩქარებიაო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ გერმანული კანონებით დეტექტორის ნამუშევარი მტკიცებად არ ითვლება და მას მხოლოდ მორალური ძალა აქვს, ისევე, როგორც სპორტსმენის პრესკონფერენციას, რომელიც გუშინ შედგა. ბაუმანის აპელაციის შედეგს ერთ კვირაში გავიგებთ.



დიტერ ბაუმანს ისევ რკინის ქალამნები აცვია და სამართალს ეძებს

**დავით გულუა**

მთამსვლელობა

## ლჰოცზე 2000




*გუშინ დილიდან განსაკუთრებული მოუთმენლობით ველოდით შორეული ჰიმალაიდან მიღებულ ცნობას. საქმე ისაა, რომ როგორც 6 მაისის „სარბიელში“ ვიუწყებოდით, ქართულ-რუსული ექსპედიცია ბენო ქაშაკაშვილის მეთაურობით 9 მაისისთვის სამთავა ლჰოცზეს მთავარ პიკზე ასვლას გეგმავდა.*

*ექსპედიციის უფროსი მწვრთნელის იური ბაიკოვსკისგან მართლაც მივიღეთ ინფორმაცია, მაგრამ იგი ისევ პროზაული ამბის მაუწყებელი აღმოჩნდა — შტორმული ქარის გამო ყველა ექსპედიციის წევრები თავთავიანთ მეორე ან საბაზო ბანაკებში არიან შეყუჟულნი და გამოდარებას ელიან.*

# ლჰოცზე ქირვეულობს

## კანჩენჯანღასა და ჩო ოიუზე ტრაგედია დატრიალდა

ბაიკოვსკის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით იქაური ბოლო დღეების ქრონიკა ასეთია: 7 მაისს ქართულ-რუსული ექსპედიციის ორი წევრი ევერესტისა და ლჰოცზეს შორის მდებარე უნაგირაზე ასულა, რათა მთავარი მიზნის, აქამდე გაუვლელი ლჰოცზეს ცენტრალური პიკისკენ მიმავალი გზა დაეზვერა. ამის მერე ისინი მეორე ბანაკში დაბრუნებულან, ზემოთ ისევ ქარიშხალი დატრიალებულა და გადაუღებლად თოვს. მეორე ბანაკში კი, სადაც ექსპედიციის წევრები არიან, გუშინაც უამინდობა იყო — ღამით თოვდა, დღისით სქელი ნისლი და ღრუბელი იყო. არადა, ამინდის პროგნოზის მიხედვით, გუშინ დარი უნდა ყოფილიყო.

ყოველივე ამის გამო ჯერჯერობით ვერც ქართულ-რუსული და ვერც სხვა ექსპედიციის წევრებს 7900 მეტრის სიმაღლეზე მეოთხე ბანაკი ვერ დაუდგამთ, თუმცა ჩვენი უპირველესი საგულშემატკივრო ექსპედიციის მთელი ბარგი-ბარხანა იქ უკვე აზიდულია.

ამინდის პროგნოზის მიხედვით, ლჰოცზეს ფერდობებზე დღეს უნდა გამოიდაროს და მეოთხე ბანაკის დასადგმელადაც დღესვე გაუდგებიან გზას, რასაც ლჰოცზეს მთავარ პიკზე ასვლა მოჰყვება.

რაკი ქართულ-რუსული ექსპედიციის წევრები ყველაზე მეტად დაწინაურებულან, სხვა გუნდების მთამსვლელები მათი ასვლის მოლოდინში არიან და იცდიან, თუ როდის დაიკიდება თოკები ზედ მწვერვალამდე.

ბაიკოვსკი იმასაც გვაუწყებს, რომ ქართულ-რუსული ექსპედიციის ხუთი შერპი მთამსვლელიდან სამი დაუთხოვიათ, დარჩენილი ორიდან ერთი კი მხოლოდ მეორე ბანაკამდე „მუშაობს“.

გუშინვე ქართულ-რუსული ექსპედიციის უახლოესი „მდევრის“ დმიტრი მოსკალევისა და იური სოიფერისგანაც მივიღეთ ცნობა. როგორც ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, ეს „დუეტი“ საერთაშორისო ექსპედიციის წევრად ირიცხება, თუმცა დამოუკიდებლად მიიკვლევს გზას. მოსკალევ-სოიფერის წყვილს 7 მაისს 7100 მეტრის სიმაღლეზე მესამე ბანაკი დაუდგამს და გუშინ დილით იმ საშინელ უამინდობაში ქვემოთ ჩამოუღწევია დასასვენებლად. ისინი ადასტურებენ, რომ ქართულ-რუსული ექსპედიციის წევრები, თუ საშუალება მიეცათ, დღეს შეეცდებიან მეოთხე ბანაკის დადგმას.

* * *

ჰიმალაიდან მეტად სამწუხარო ამბებიც მოდის. „კორეა 2000 კანჩენჯანღას“ ექსპედიციის შერპ მთამსვლელს, ანგ დავა ცარანგს, ამ ხუთთავა რვაათასიანზე მოწყობილ მესამე და მეოთხე ბანაკებს შორის ყინულის ლოდი დაეცა და მძიმედ დაშავდა, მერე კი, ქვემოთ ჩამოყვანისას გარდაიცვალა.

ტრაგედია დატრიალდა დედამიწის სიმაღლით მეორე მწვერვალ ჩო-ოიუზეც, სადაც რუსულ-ფინური ექსპედიციის წევრები ადიოდნენ. მათი ორი წევრი, 35 წლის რუსი პაველ ბონადისენკო და 25 წლის ფინელი ნოორა ტოიკონენი სადღაც მესამე ბანაკს ზემოთ უგზო-უკვლოდ გაქრნენ. საბაზო ბანაკიდან დაინახეს, თუ ფინელი, ორი საათის მერე კი რუსიც როგორ დაიძრნენ მწვერვალისკენ. მოგვიანებით მწვერვალზე რომელიღაც მათგანიც შეამჩნიეს, მაგრამ ქვემოთ არცერთი აღარ დაბრუნებულა. ახლა ამ ექსპედიციის წევრები, სხვა გუნდების მთამსვლელებთან ერთად, დაკარგულთა კვალს ამაოდ ეძებენ.

აღსანიშნავია, რომ ფინელს მწვერვალიდან თხილამურებით დაშვება ჰქონდა გუნებაში.

**ავთანდილ გურასაშვილი**

კრივი

# მაიკ ტაისონი ლუისს ქუჩაში ცემას უპირებს



მაიკ ტაისონი

ამასწინათ, „მედისონ სკვერ გარდენში“ ლენოქს ლუისმა რომ მაიკლ გრანტი დაამარცხა, გამოაცხადა — მაიკ ტაისონთან შეხვედრა მწადიაო. საბჭოსა (ვბკ) და ფედერაციის (იბფ) ტიტულთა დამცველ ლუისს ოფიციალურად სხვა ბრძოლა ელის — ივლისის დასაწყისში სამხრეთაფრიკელ ფრანსუა ბოტას შეებრძოლება ლონდონში.

ლუისის დანაჩივლის გამგონე მაიკ ტაისონმა, რომელიც მალე მილანში უნდა შეერკინოს ლუ სავარეზეს, თქვა — ლუისთან შერკინებას არ გავურბივარ, მეტიც კაცურ რამეს ვთავაზობო. ეს „კაცური რამე“ კი იმას გულისხმობს, რომ ლუისმა და ტაისონმა რინგზე კი არ იბრძოლონ, არამედ ქუჩაში.

„მივიდეთ ერთმანეთზე“, თქვა ტაისონმა — „ჩვენი პირადი მცველები დავითხოვოთ და წესების დაცვით დავცხოთ. ქუჩაში ვერაფერს დამაკლებს და ვერც რინგზე“.

„მოვიდეს. მინდა რამეები გავარკვიო. მაგის ჩხუბის საცქერლად ხალხი არ დადის. ჩემს საყურებლად კი ტელევიზორებთანაც რიგი დგას“, განმარტა ტაისონმა.

ტაისონის ბოლო ბრძოლამ მანჩესტერში, ბრიტანელი ჯულიუს ფრენსისის წინააღმდეგ სრული ანშლაგით ჩაიარა. ბილეთები ორ დღეში გაიყიდა. ლუის-გრანტის ბრძოლაზე კი, „მედისონ სკვერ გარდენი“ არ გაივსო. ორიათასამდე ბილეთი გაუყიდავი დარჩა და ტელებილეთებიც ცუდად გასაღდა. ტაისონიც ამას გულისხმობს, თუმცაღა ავიწყდება, რომ ამერიკაში დიდად არ უყვართ უცხოელ მოკრივეთა ცქერა, ევროპაში კი პირიქით.

ქუჩაში დაკადაკა არ არის სპორტული ამბავი. ტაისონი, რა თქმა უნდა, ეშმაკობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ლუისთან ჩხუბი დიდად არ უნდა.

**ალბერტ ხარატიშვილი**

ჰოკეი

## PLAY OFF

### მეოთხედფინალი

# პინგვინები მშრალზე დარჩნენ

აღმოსავლეთი

9 მაისი.

**პიტსბურგი — ფილადელფია 2:4**

**პიტსბურგი — ფილადელფია 1:2**

0:1 0:1 1:0

0:1 რეკი 11'04 (3); 0:2 ლეკლერი 20'44 (6); 1:2 კორბე 50'46 (1)

ხუთ ოვერტაიმში წაგება ორ ჩვეულებრივ მარცხზე მძიმე გადასატანი ყოფილა. ურთულეს შვიდსაათიან მარათონში დამარცხებამ საბოლოოდ გატეხა პიტსბურგი, „პინგვინებმა“ ველარც მეხუთე და მეექვსე მატჩში გამოამჟღავნეს თავიანთი საუკეთესო თვისებები.

მატჩის პირველივე წუთზე ფილადელფიამ ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე დაკარგა. პიტსბურგელმა ბობ ბუგნერმა მეოთხე მატჩში გადამწყვეტი გოლის ავტორი კეიტ პრიმო ისე დაანარცხა ყინულზე, რომ ჯან-ღონით სავსე (193 სმ, 100 კგ) ჰოკეისტი საკაცით გაიყვანეს. მოგვიანებით ფილადელფიელთა თავკაცმა კრეიგ რამსეიმ თქვა — ამ მომენტმა განაპირობა მატჩის ბედი, რადგან ჩემმა შეგირდებმა შეიგნეს, რომ კიდევ უფრო მეტი შემართებით ბრძოლა მართებდათო. მართლაც, სტუმრებმა ერთობ მობილიზებულად გააგრძელეს შეხვედრა და ბოლო წუთამდე თავს ოდნავ მოშვების უფლებაც კი არ მისცეს.



პიტსბურგელებს სუპერჩეხმა იარომირ იაგრმაც ვერ უშველა

REUTERS პიტსბურგიდან

პირველი გოლიც მეტად დროული აღმოჩნდა. პიტსბურგელთა პირველივე გაძევება ჩინებულად გამოიყენეს ფილადელფიელებმა. ერიკ დესჟარდენის დარტყმა მეკარე რონ ტაგნატმა კი მოიგერია, მაგრამ უმეთვალყურეოდ დატოვებულ მარკ რეკის ველარ გაუმკლავდა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ სერიაში იმ გუნდმა იმარჯვა, რომელმაც რიცხვმრავლობა უკეთ გამოიყენა. ამ ასპექტში სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო სწორედ ფილადელფია გახლდათ.

მეორე პერიოდის პირველივე წუთზე მასპინძლებმა კიდევ ერთი შაიბა გაუშვეს. სერიის ბოლოს ათამაშებულმა რეკიმ ტაგნატი ისე დააბნია, შაიბა საერთოდ დაეკარგა თვალთახედვის არიდან და ამის შემდეგ ჯონ ლეკლერს პარტნიორისგან კარის უკნიდან მიწოდებულის კარში გაგზავნა აღარც გასჭირვებია. პიტსბურგმა ფარ-ხმალი არ დაყარა და ბოლომდე იბრძოლა. მასპინძლებმა ისიც კი მოახერხეს, რაც ბოლო 19 საპლეიოფო მატჩში არ გამოსდიოდათ, მეტოქეს დარტყმების რაოდენობით აჯობეს (28:23), განსაკუთრებით ბოლო წუთებზე იაქტიურეს, მაგრამ მხოლოდ სხვაობის შემცირება შეძლეს. აშკარად ჩანდა, რომ პიტსბურგის ლიდერები, განსაკუთრებით კი იაგრი, ძალიან დაიღალნენ.

ამრიგად, ფილადელფიამ მოიგო და გმირობის ტოლფასი საქმე გააკეთა — „მფრინავებმა“ 0:2 ჩამორჩენა გადალახეს, უილბლობას გაუძლეს, როცა, მიუხედავად უპირატესობისა, მხოლოდ ოვერტაიმებში იგებდნენ დიდი ძალისხმევის ხარჯზე.

*კონფერენციების ფინალში ითამაშებენ:*

 აღმოსავლეთი

**ფილადელფია — ნიუ ჯერსი**

სერია კვირას დაიწყება

დასავლეთი

**დალასი — კოლორადო**

შაბათს დაიწყება

მსოფლიოს ჩემპიონატი. სანკტ პეტერბურგი. რუსეთი

# რუსებმა პეტერბურგი დატოვეს

დასრულდა მეორე, საკვალიფიკაციო რაუნდი და დღეს დაიწყება მთავარი ფინალური ეტაპი, სადაც რვა საუკეთესო გუნდი მედლებს საპლეიოფო სისტემით გაითამაშებს. ამ ტურნირის ისტორიაში ყველაზე სენსაციურად შერაცხული პირველობის მთავარი მოულოდნელობა, რუსეთის ნაკრების მეოთხედფინალს მიღმა დარჩენა იყო. რით აიხსნება 14 ნჰლ-ელით გაძლიერებული გუნდის ზედიზედ ოთხი მარცხი უსუსურ მეტოქეებთან? უპირველესად იმით, რომ თავდაჯერებულმა რუსებმა მოწინააღმდეგენი სათანადოდ არ შეაფასეს. მეორეც, მხოლოდ ტურნირის წინა დღეებში შეკრებილნი ვერ შეთამაშდნენ. აშკარა იყო მწვრთნელთა შეცდომებიც და ყველაზე მნიშვნელოვანი — რუსთაგან ბევრი უპასუხისმგებლოდ მოეკიდა საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვას.

ასეა თუ ისე, ჩემპიონატი მასპინძლების გარეშე გრძელდება და ახლა სხვებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. თუნდაც კანადელებზე, რომლებიც ნორვეგიასთან წაგების შემდეგ არ გატყდნენ და ფინეთთან მომდევნო მატჩი გადაარჩინეს. სიურპრიზი გახლდათ ლატვიისა და, განსაკუთრებით, შვეიცარიის ნაკრებების დამაჯერებელი თამაში.

თავგანწირვით გამოირჩა აშშ-ის ნაკრები. ნჰლ-ის მეორე-მესამე სამეულებიდან მიწვეულმა, ნაკლებად ცნობილმა ჰოკეისტებმა კარგად გაწვრთნილი გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს. სლოვაკებმაც ასიამოვნეს მაყურებელი კომბინაციური თამაშით. ჩემპიონობის პრეტენდენტ შვედთაგან და ფინელთაგან რომელიმეს მეოთხედფინალშივე მოუწევს ფარ-ხმალის დაყრა, რადგან ისინი უკვე ამ ეტაპზე შეხვდებიან ერთმანეთს.

**სამველ ლარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დანია

29-ე ტური. ბრონდბიუ — ოდენსე 2:1; ორჰუსი — სილკებორგი 2:1; ვიბორგი — კოპენჰაგენი 1:1; ოლბორგი — აკადემისკი 0:2; ვაილე — ჰერფიოლგე 0:2; ლიუნგბიუ — ესბერგი გადაიდო

## ნორვეგია

VII ტური

ბრანი 3:1 ვოლერენგა

ჰაუგესუნდი 0:2 მოსი

მოლდე 3:3 ტრომსიო

რუსენბორგი 2:0 ოდ გრენლანდი

სტაბეკი 2:0 ბრინი

ვიკინგი 3:0 სტარტი

## ავსტრია

XXXIII ტური

შტურმი 4:1 ტიროლი

## ჩეხეთი

თასის ფინალი

ლიბერეცი 2:1 რატიშკოვიცე

## გერმანია

II ბუნდესლიგა

ვალდჰოფი 2:1 გლადბახი

# კალა მილორი

წამიც და დაიწყება კალა მილორი, ანუ ესპანური გაფრენა. მალიორკის ახლოს, სოფელ სოლ სერვერაში უკვე მერვედ შეკრებილან საჰაერო ბურთის მტორფიალენი. ექვსი ევროპული ქვეყნის ორმოცი საჰაერო გუნდი ესპანეთის ცაში აიჭრება და იქედან გადმოხედავს ამ ლამაზ ქვეყანას.



REUTERS დეპეშიდან



ეს ქალი, გაზეთი რომ გაუშლია ქალთათვის უცხო პროფესიის წარმომადგენელია ცხენებსა წვრთნის. კენტუკის დიდი პრიზის დერბიში მისი აღზრდილი დეფუთიც მონაწილეობს და ერთ-ერთ ფავორიტადაც ითვლება. ლუისვილში, სადაც ჩურჩილ დაუნზის იპოდრომზე ეს პრიზი გათამაშდება, უკვე ბევრი შესულა ფსონს ამ ქალბატონის მერანზე. თუ დეფუთი იმარჯვებს, მაშინ, მისის ჯენი საპადი პირველი ქალი მწვრთნელი იქნება, კენტუკის პრიზი რომ მოუგია.

# პირველი ქალი და პირველი კაცი

ქალბატონი საპადი ცნობილი მწვრთნელია, მაგრამ ასეზის ნაკლებ ცნობილი, ვიდრე კოვბოური იერის მქონე ეს მოხდენილი ძიაკაცი, რომელსაც ვეინ ლუკასი ჰქვია. ვეინ ლუკასი საცხენოსნო დიდების დარბაზის წევრია და კენტუკის რბოლაზე მისი გაწვრთნილი სამი ცხენი გამოვა. ფოტოზე კი ვეინი ერთ-ერთ ამ ცხენთაგანის, გოდოლფინის არაბ პატრონს, შეიხ მოჰამედ ალ მატუმს ესაუბრება.

REUTERS დეპეშიდან





# სისხლი და სიხარული

სისხლი სისხლისა წილ. ჩრდილოამერიკულ ჰოკეის ლიგაში ფლეიოფური ჭიდილი ხურს. თავგახეთქილი ფილადელფიელ კეიტ პრიმო, ვისაც პიტსბურგელმა ბობ ბაგნერმა ავი ილეთ მოუხერხა, ყინულზე გაშოტილა. ეს პირველი პერიოდი პრიმოს საკაცით გაიყვანეს გასახდელში, თამაშის ბოლოს კ გაირკვევა, რომ სისხლი ტყუილად არ დაღვრილა ფილადელფია შემდეგ წრეში გავიდა.



# წვიმა რომში

„რომა მასტერსი" შეწყვეტილია. თუკი რომელიმე სპორტ ეშინია წვიმისა, უპირველესად ჩოგბურთს. მაისი რომშ წვიმიანი სცოდნია, დაახლოებით ისეთი, როგორც თბილისშ

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, უცხოური განყოფილება გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli